“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორვი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№7 (223)
ივლისი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

ნიკოლოზ ბარათაშვილი – 200

სულისკვეთება განწირულისა



სიამოვნებით გავეცანი გამოჩენილი მხატვრისა და მწერლის რეზო ადამიას მეტად ორიგინალურ ესსეს „დაუოკებელი სულბობოქრობაა მერანი“. აქ არის მეტად თამამი მცდელობა – ახლებურად დაინახო და წაიკითხო გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,მერანი“. ეს ნარკვევი არ წააგავს არც ერთ შეფასებას, რომელიც „მერანის“ მიმართ გამოითქვა. ეს სრულიად სხვა კუთხიდან, კოსმიური მიუწვდომლობიდან დანახული ქმნილებაა. მისი ავტორი უფრო მხატვარია (ეს ასეც არის რეალობაში), ვიდრე მწერალი-ლიტერატურათმცოდნე.

რეზო ადამია თავისი ღრმაწვდომით მიიჩნევს, რომ პოეტური „ლექს-აზრად“ მოვლენილი ქმნილება ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვან გოგის, ფიროსმანიშვილის, სეზანისა და პიკასოს ნაღვაწთა დონის ნაწარმოებია. ავტორის აზრით „მერანი“ სივრცეში გაჭრილი მარად მებრძოლი, წინმსწრაფი უმძიმესი მარტვილობაა შეუცნობელ უკიდეგანობაში. რეზო ადამია არ ამეტებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ თავისი მაღალი დონით არ ჩამოუვარდება შედევრებად აღიარებულ „ჯოკონდას“, ტიციანის „დანაიას“, ბოტიჩელის „ვენერას დაბადებას“, რემბრანტის „მოსული ქალის პორტრეტს“. ესსეს ავტორი ხაზს უსვამს, რომ „მერანი“ არამიწიერი, კოსმოსური სისხლმჩქეფარი მაჯისცემაა („კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი მივცე ზღვის ღელვას, და შენს მშვენიერს, აღტაცებულს გიჟურსა ლტოლვას!...„). ორიგინალურია ავტორის მიერ „მერანის“ ლექსთწყობის შეფასება: „მერანი“ გამორჩეულია უჩინარ ფორმათა მოხმობით, ტეხილ ხაზთა და მკაცრ კონტრასტულ ფერ-ფორმათა მოძრაობის უძლიერესი, ანუ მაღალი ტექნიკით. ავტორი გრძნობს ნაწარმოების გეომეტრიულ ფორმათა კომპოზიციურ წყობას და კუბისტური მიმდინარეობის ლექსად მიაჩნია „მერანი“.

რეზო ადამია ფიქრითა და ტკივილით მოუწოდებს ყველას – მაღალი დონის ლიტერატურათმცოდნეს თუ რიგით მკითხველს, შეიცნოს „მერანის“ ღვთიური და გონით მიუწვდომელი მაღალმხატვრულობის მთლიანობის კოსმიური უფაქიზესი აზროვნების არსი.

რეზო ადამია თავის, კვლავ გავიმეორებთ, ორიგინალურ და ემოციურ ესსეში შესტრფის ნიკოლოზ ბარათაშვილს და მის უკვდავ ქმნილებას, ამ უმძიმეს გოლგოთაგამოვლილ ჯვარს და ბედნიერია, რომ „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“.

როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი

დაუოკებელი სულბობოქრობაა „მერანი“

უსასრულობის უნიკალურ და შორეულ ქმნილებათა ნამსხვრევებ ჩამოყრილი ერთიანის ჩამოსხმის სვლით, ლექს-პოეზია თვითნებურად მოდის, ანუ წარმოსახვებით მოევლინება პოეტს და ცისარტყელა მუზით აღფრთოვანებულს ჯადო თილისმად აედევნება ხოლმე. (ზეცათაც ყოფილა მშვენიერებათა დარბევები).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი წმიდათაწმიდა დიდების ლეგენდაზე ამაღლებული გვირგვინი „მერანი“ უშუალო გამოცხადებაა ღვთიური და ნათელ ლექსად გადმოსვლაა, ცისფერი ანგელოზების თანამდეობით.

ვეზიაროთ და, ამ სიახლოვე სივრცეში შემოვაბრძანოთ პოეზიის საკვირველი შეკრულ-აკაზმული ცოცხალმყოფელი ზეციურობა...

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი
მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს
სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

კოსმოსური სისტემის ურთულესი ლექსთფორმაა „მერანი“.

გენიალური ვან-გოგი, ხომ განუმეორებელი მოვლენაა ფერწერაში, მაგრამ რამდენიმე სურათშედევრი მხატვრისა, უკვე ღმერთია, სურათად ქმნილ-გარდასახული. ასევეა ცეცხლოვან-მზიური „მერანი“ უფლისმიერი საოცრება სულის ლექსად ქანდაკ-შეთხზვაა: ყველასგან განსხვავებული, მგოსნის მწუხარე დაღონებულ აღგზნებით აზროვნებათა ქარიშხალური ქროლვით, შორეული მიუწვდომლობიდან გამოხმობილ-მსრბოლელ, ქარბუქად შობილი – კაეშნური გამჭოლი არამიწიერი ხილვა, რომლის შინაგანი ძრაობა რომელიღაც გალაკტიკის ზნე-სამყაროსეული მოუთოკავი ენერგიის დაუტევებელი სივრცე ბორგვაა...

ღმერთო ჩემო! აქ, როგორი მოვარდნაა ვარსკვ-

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ქართული სიტყვის დღესასწაული

ალურ საზოგადოებასთან ერთად მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილე შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრში საკადრისად აღნიშნა. დიდი დარბაზი საპატიო სტუმართა ნაკადს ვერ იტევდა. საიუბილეო საღამო ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული მწერალთა კავშირის მიერ.

ქართული მწერლობის ასწლოვანი ისტორია იმ ორსაათნახევრიანმა ღონისძიებამ თითქოს დაიტია. წარმოდგენილი იქნა ის გმირული ეპოპეა, რომელიც ცრემლითა და სისხლით, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით გამოიარეს. საიუბილეო წარმოდგენაზე ერთმანეთს ლამაზად ერწყმოდა თეატრალური წარმოდგენებიც (განსაკუთრებული იყო პანტომიმას თეატრალური დასი), ცნობილი მსახიობების, მხატვრული კითხვის ოსტატთა მიერ შესრულებული თითოეული ნომერი და სიტყვაში გამომსვლელ მწერალთა გულში ჩამწვდომი სიტყვები. სიტყვაში გამომსვლელ თითოეულ მწერალსა თუ პოეტს – მაყვალა გონაშვილს, რევაზ მიშველაძეს, თემურ ჩალაბაშვილს, დავით თედორაძეს, ფარნა რაინაულს, მზია ხეთაგურს, ჯანსუღ ჩარკვიანს... ენაცვლებოდნენ მხატვრული კითხვის ოსტატები – ელდინო საღარაძე, ზურაბ ცინცქალაძე, მურმან ჯინორია, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მომღერალი გია ნიკოლაიშვილი, ელგუჯა ბურდული, დათო ევგენიძე, სხვები და სხვები.

საქართველოს მწერალთა კავშირის ასწლოვანი იუბილე ღირსეულად აღნიშნა ჭეშმარიტად ღირსეულმა ქართველმა საზოგადოებამ, მაგრამ დავსძენ – საიუბილეო საღამო პირდაპირი ეთერით უნდა ეხილა მთელ საქართველოს, თუმცა პირდაპირ ეთერს ვინ ჩივის, ერთ-ერთი ტელეარხი მხოლოდ ნახევარწუთიანი სიუჟეტით შემოიფარგლა.

სამწუხაროა, როდესაც ჩვენი ტელევიზიები მთელ კვირას უთმობენ რომელიღაც ლიბერტალიანელ, საკუთარი დედისა და მამის, ქვეყნის მაგინებელ ვაი მწერლების დაბადების დღეებს და ასეთ მასშტაბურ ღონისძიებებზე კი კრინტსაც არ ძრავენ!

რასაც დავთესავთ, იმას მოვიმკით. ამით რას მოიგებს საქართველო, ახლო მომავალი გვიჩვენებს!

ავთანდილ მესხი

განცხადება

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტებზე უნდა მიეთითოს დევიზი).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა, ასევე ბოლო სამი წლის განმავლობაში „შოთაობის“ პრემიით დაჯილდოებული პირებისა.

დაწესებულია შემდეგი პრემიები:

პირველი პრემია – 1000 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტისაგან;

ორი მეორე პრემია – 500-500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კახური ტრადიციული მეღვინეობის კომპანიისაგან;

მესამე პრემია – 400-400 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

წამახალისებელი პრემია – 350 ლარი – მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ „შოთაობის“ სახალხო დღესასწაულზე ვარძიაში.

საკონკურსოდ ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით (არაუმეტეს ხუთი ლექსისა). ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადა 2017 წლის 1 სექტემბერია და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3

საკონტაქტო ტელეფონი: 599 97 95 24

დაყოვნებული სულიერობა „მერანი“

◀ დასაწყისი გვ. 1

ლავეთური და მიწიერი უსასტიკესი წიოკ-ლტოლვაა დაუდგრომელი.

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი
და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა
სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა,
ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა
შენსა მხედარსა!
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა
და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს
“ტკბილმოუბარსა, –
სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი
მინა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა
მე საიდუმლო!

ამ შემთხვევაში ნიკოლოზ ბარათაშვილი კოლხ-იბერიელი უჩინარი მენსარია, მეფე აიეტის და გრძნეული ღვთივნიჭთსავსე მედეას დროინდელი შორეული მიმქრალ-მბჟუტავი ათასწლეულებიდან უკვდავების საფეხურებით დღემდე მავალი და გააგრძელებს მხედრულ სვლას, მომავალ უთვალავ საუკუნეებში და შემდეგაც.

გაივლის ათასობით წლები და საოცრება „ჯოკონდაზე“ მაღალი მხატვრულ-ფერწერული ღირსების დიდი ნაწარმოები არ შეიქმნება, რათა ის მარად მიუწვდომლობის ხატია, - ღმერთის და ადამიანის ბუნებისა. ხოლო „მერანი“ სევდიანი, ოდნავ მელანქოლიური, მაგრამ ვაჟკაცური შემტევი მძაფრი სულთ სწრაფვა გოდება-ლექსგალობაა; შეიძლება, დევგმირული გოდებაც იყოს. და, საკვირველებავ, ყველაფრის დამტევი უფლისა. იგივე ითქმის ვან გოგის პეიზაჟზე „წვიმის შემდეგ“, ნატურმორტ „მზესუმზირაზე“, ან ავტოპორტრეტებზე. უკვდავი ხელოვნების ქმნილების შესაქმნელად თითქოსდა აუცილებელია საუკუნის უახლოესი შემოქმედებითი მიმდევრობები. შემდეგ კი გენიალური ხელოვნების ნაწარმოები, ყველა თუ ყოველგვარ მომავალ მხატვრული დინებას თავის დიადური გონით და ტიტანური სხეულით უკუ უტევს და ეთანამედროვდება. გაივლის საუკუნეები, ანუ წარმოვიდგინოთ უახლოეს ორიათას ცხრაას წელს; ხელოვნების მოყვარულნი და ხელოვანნი იტყვიან. წაიკითხეთ და იხილეთ, თქვენს წინაშეა უსსოვარ დროინდელი დაუოკებელი სულით-აზროვნებით მებრძოლი ლექსი და დღევანდელობის უწინარეს ფორმათა მეწინავეობა შედევრი „მერანიო“. დიდად ჭეშმარიტ აზრთ განმცდელნო, ღმერთი და „მერანი“ ხომ დაუსაბამოა, როგორც ჰომეროსი, გოეთე, შექსპირი, რუსთაველი, დანტე, სერვანტესი, ბალზაკი, დოსტოევსკი, ვან გოგი, ფიროსმანაშვილი, სეზანი, პიკასო და სხვა მრავალნი. ყველა მათგანი მარად ახალგაზრდაა მზე და ქვეყნიერების მხსნელივით, ანუ რაღაც სხვა განსხვავებული კოსმიური ფორმა-მიუწვდომელი ნლოვანება-ეპოქაა თუ სამყაროსეული მარადიულობა და მოუშლელი დრო... რომელთაც ვერავითარი ძალა ვერ წაშლის, რათა ვარსკვლავეთის გამაოგნებელი მეხსიერების ფონდებშია ურყევად გამარადიულებული. ამ საოცრება მომთაბარე ქურუმის ნაქადაგარ ლექსქუხილზე, წაკითხული მიაქვს მრავალი მეცნიერული განხილვა - გარჩევა თუ ფილოსოფიური ტრაქტატები, მაგრამ არსაიდან დამაკმაყოფილებელი აზრთ სიტყვა შემადარი გონივრულობა ვერ ითქვა. ან მე, როგორ უნდა დავწერო მიახლოებითი მიმოხილვა „მერანზე“? ის ხომ სიცოცხლითი, სულიერებით და მხატვრული ალმავლობით უჯანსაღესი, გამჭვირვალე უსასრულობის ყველგანმყოფი ღმერთია, ლექსაზრად მოვლენილი; რომელსაც თან ახლავს სივრცობრივი დაუსრულებელი ქარიშხალი და ალიონის უსაპეტაკესი შუქითაა განათებული. „მერანი“, ზეენარული მარადიული მოძრაობის წრის უნყვეტი-ალმავლობის კვანძია, ზოგჯერ უხილაობიდანაც საკმაოდ შორეული. ამ შემთხვევაში ბრძენი ქურუმი ნიკო, მორჩილი, შენირული, დამყოლი აღვლენილი და უნიჭიერესი შეგირდია მარადიულობისა და გულ-სულმართალი შემტევ-ამხედრებული სიყვარულის გენიაა. „მერანი“ სივრცეში გაჭრილი მარად მებრძოლი წინსმსწრაფი უმძიმესი მარტვილობაა შეუცნობელ უკიდეგანობაში, და ძლიერ ქარიან ამინდში, გაბრაზებული, ჩამავალი, ალისფერ-მკვირცხლი მზესავითაა... უთუოდ რომ სხვას არავის არ ანდობდა ყოველთა უზენაესი შინაგანი ურთულესი პოეტური ფორმის, აღუწერელი მოძრაობის, ბრძოლის და კოსმოსური მოიერიშე შინაარსის შედევრის მობრძანებას, ჩვენს მრავალსახოვან, უძლიერესსა და უუცნაურეს პლანეტაზე. „მერანი“ ამჟამად ის მხატვრულ-ლიტერატურული ქმნილებაა, რომელსაც თანამედროვეობის მიმდევრობითი სკოლა და გამოკვეთილი რაობის სახელი არ გააჩნია. მხოლოდშობილი, უფლის, გამაოცებლად მიუწვდომელი ვარსკვლავეთური გენი და ლეგენდა მოძღვარ-ადამიანის სრულიად გამონაკლისი მარადიული მრავალფორმიანი ლექსად ანთებული გენიაა. უდროონი დაMმცდარი მეცნიერნი, როცა იტყვიან თავიანთ ზედაპირული უიმედობით დაღლილ-აბსურდულ გააზრებებს, ღმერთი მოკვდაო (ეშმაკს-ეტაკოს და;) მაშინ მედროვე ათეისტები უკეთურად ხარობენ და თავს იმართლებენ. მართლაცდა, დედამიწის კონტინენტთა აღმსარებლობებში რწმენათა იგნორირებები რომ მოხდეს და ვითომ ადამიანებმა მოღალატურად ზურგი აქციონ ერთსა და მთავარ დიადს, მაშინ უფალი,ფერწერული სურათ „ჯოკონდათი“, ტიციანის „დანაიათი“, სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადებით“, რემბრანდტის „მოხუცი ქალის პორტრეტით“, გოეთე, შექსპირით, სერვანტეს-დანტეთი, ომარ ხაიამის და შოთა რუსთაველით. ფიდიასის ქანდაკებებით, მიქელანჯელოს, ბურდელის, როდენის და მაიოლის ნაქანდაკარი უიშვიათესი ქმნილებებით და ათასწლეული არქაული შედევრებით მარადიულად ხომ ღმერთია მათში?! საიდანაც გამუდმებით იბადება ქვეყნიერების ზეენარული სულ-გულ-გონება და უსაზღვრო ენერგია უსასრულობაში გადის.

„მერანი“ უფლის მიუწვდომლობითი სწრაფვა, ჭეშმარიტი ზნეობა და მართალი ქმედებაა...

ღმერთის ყველაზე დიდი ღვაწლი, უკვდავ სამყაროს შექმნასთან ერთად, სიცოცხლესა და ხელოვნება-მეცნიერებაშია; სადაც სამივეთგან ნაწარმოების სულის სამარადისო სამყოფელია, სიცოცხლეში დროებით-გარდამავალი, ხოლო შედევრ ქმნილებაში და მეცნიერულ სასწაულებში – უსასრულოდ...

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ხატთა მზე! ვლადიმირის ღვთისმშობელი ყრმით. იესო ქრისტეს დროინდელი თქმულებით თუ ისტორიკოსთა გადმოცემით, ლუკა მოციქულის მიერ შექმნილიაო. აგრეთვე გენიალური რუსი ხატმწერის ანდრეი რუბლიოვის, მართლმადიდებელთ მშვენება სამებით. ბიზანტიური მაცხოვრის უკვდავება ხატი, ქართული უნიკალური ხახულის ხატი: ყინწვისის ანგელოზი და საყდარ უბისას დამიანეს ფრესკები: საოცრება ფეოფან-გრეკის და კიდევ რამოდენიმე ქმნილებებით - ღმერთი მარადიული და დაუსაბამოა, რათა ყველა მათგანში ქვეყნიერების მხსნელის, დაუსრულებელი ბუნება, სახე და სუნთქვაა.. მზედქმნილი - „ჯოკონდას“, რემბრანდტს, სეზანს და პლანეტის სუფთა ჰაეროვან-ვანგოგის რამდენიმე ანდამატური ქმნილების სიცოცხლე პეიზაჟს ადამიანები ბოლომდე ვარსოდეს ჩასწვდებიან. სასიამოვნო ზოგადი განხილვები კი იქნება; მზე ჩაღვრილი ავტორები თავიდან რომ გამოგვეცხადონ, ისინიც კალამს თუ ყალამს დადებენ და გაოგნებულნი უძირო ცას ისევ ახედავენ, უფრო მარტივად წასაკითხად, მაგრამ უფლის მიერ ამაღლებულ სწავლა-მითითებებს ვერ ასცდებიან. ყველა აქ წარმოდგენილნი ზეციური მეხსიერებიდან გამოხმობილი ქმნილებებია, მრავალი საუკუნის თუ ათასწლეულის ადამიანებს, დაუთვლელ ჯეროვანი, საფიქრალ-საზრუნავ-სააზროვნო რომ გაგვიჩინეს. საოცრებათა შედევრის მზერა, მოსმენა თუ წაკითხვა სიამოვნებაა, აზრთა ამაღლებაა თანვე შენელებული განყენებული სულიერ-გონებრივი სიმძაფრეა. ბუნების და ხელოვნების ქმნილება უსაზღვროდ გატკბობს, ხოლო გაჯერებულ-დამატებული ღვთიური ხედვით და გონებრივი სიღრმეებით ზეციურად მძიმედ და საამოდ გვტვირთავს; ჩვენივე ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარეს. სწრაფვა, დინება, სტიქიური ჯიბრი, კოსმოსური მოძრაობა, შეუპოვრობა „მერანი“, მრავალ ჩვენთაგანის ოცნება - ხილვებ- ფანტაზია, წარმოსახვა ზეციურთ მოვლენაა. შეულწევლობა ზეციური კედელ-მწვერვალი „მერანი“ ადამიანის ფიქრ-აზროვნებაზე ბევრად მაღალია, სრულად შეგრძნებითი მიახლოების მიუღწევლობაა და ვარსკვლავეთის ცის გუმბათზე მუქ-განსხვავებულ ფერებში მოხატულ-მინერილი ლექს შედევრია: ისევ უშორესი და მიუწვდომელი, მაგრამ ჩვენსკენ მუდამ ჟამს მსწრაფლმავალ-მკურნალ-მომდინარი, როგორც ხშირად ვფიქრობ და ვწერ, არაფერი იკარგება ქვეყნად და უკვალოდ არ ქრება. სამყაროს ურთულეს მოვლენათ მდინარებათა და ბნელეთის ქარიშხლის გამკვეთ-აღმწერელ, მოციქულთა სწორ მგოსანს, ღვთიურ ნიკოს, მარტოობის მბორგავ მწვერვალ ლექსი „მერანი“ სამყაროს მეხსიერებას მოძრავ სარკედ დაუბრუნდა ადამიანური გენიით დამშვენებულ-გაჯერებული და ღვთივდედანი ისევ იქ ინახება უცნაურ პირვანდელში ყოველგვარი აზრთა თუ მოვლენათა მტკიცებულების გარეშე, მგოსანს ოლიმპოს მთის ღმერთთა პანთეონის, მთავარ სულიერ მოძღვართაგანის და უთუოდ რომ დიდი ჰომეროსის ღვთიური ხელდასხმაც ექნება მიღებული. მჯერა, ყველა სარწმუნოებათა ლექსისაცავ-ოქროს ფონდებში მოიხილვება, პლანეტის მძაფრი მოვლენათა ფიქრდარდ გახელება „მერანი“ ზეგონებრივი მძაფრი უხილაობის ფორმათა უმთავრესი საწყისის კეთილისმყოფელ ჯადოშეყრილი, უფრო ქართლის, ზაფხულის ცა მოღრუბლული, სიგრძე სიგანეზე გაწოლილი მუქი ლურჯი მთისფერი პოეზიის მარადიული მორბენალი შუქია... პოეტურ, ღრმად განმცდელ ძეგლ „მერანზე“: მხოლოდ ამდაგვარად უნდა ვიფიქროთ და შეუძლებლობის დაძლევით მიუწვდომლობის ზეუცხოობა გავითავისოთ. რადგანაც ჩვენი ხედვა და გონება, მზე-ქმნილების იდუმალ ხილვებს და შუქს დამაჯერებლად ვერ სწვდება, მაშინ ჭეშმარიტი ფაქტია, რომ ქარ-გრიგალთ-მკვეთავი ლექსი, ყოველგვარი შეგონების გარეშედ, უთუოდ რომ ღვთიურია.

სამართლიანი აზრთ ჯანყი ითხოვს და სულიერად, გულ-გონებით, უფრო მჭიდროდ მივუახლოვდეთ ლექსის არამინიერ, კოსმოსურ სისხლმჩქეფარ მაჯისცემას:

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ
საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი
მწუხარის, –
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის
მინდვრის, –
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით,
მიწას მომაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან
ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი
მყივარნი!

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ღვთივსუნთქვა! სხვადასხვა შეგონებათა და განწყობილებათა ვრცლად გაშლით ხშირად ვიმეორებ და ყოველთვის ვიტყვი, ჯანსაღი ფანტაზიის, მთლიან ფიქრთა, შეგრძნებათა მოზღვავებულ ვარსკვლავეთურ ენერგიათა, გარდამავალ შუქ-ჩრდილთა ჭიდილი, მრავალფეროვანი და ნიუანსური - ჩაუწვდომლობა და გამაოცებელი განცდებითი აზრთმიუწვდომლობაა. ამღვრეულ-ატეხილი ზეციური, გახელებულ გიგანტურ მთიანეთურ ფორმათა სწრაფვაა, ლექსად თქმული, შავ ლაქებად მღელვარი სისხლშეუდედებელი სივრცის გზნებით აღტკენა, ქუხილთ გადავლა - „მერანი“, რომლის სულიერ გახელებულ ფორმათა განმარტება თემატური გაშლით, რეალურისკენ მავალ მითოლოგიათ მპყრობელია, არარსებულიდან ძლიერ დამატყვევებელი და თანაც ხილულ-რეალური, რომელიც უტყუარი-მართალი აზრთ დასტურია, მხატვარ პაბლო პიკასოსავით, ირეალურიდან გამოხმობილი ფერ-ხაზებით, თემისკენ სწრაფვის რეალურ აზრ-ფორმათა მოტანაა. დღეს რამდენიმეჯერ გადავიკითხე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ და ბოლოს განსხვავებულგანწყობილებიანი მხატვარ მუნკის ღრმად ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კომპოზიცია უკიდურესობის „კივილი“ ბნელეთის სიღრმიდან ამომიტივტივდა. მხატვრის ეს სურათი შესრულებულია ძალიან უბრალო ფერთა მონასმებით, მაგრამ ფერწერის ფარული და მარტივმეტყველი, უფრო ქვეცნობიერ ფორმათა გენიით, წარმოუდგენელი მძაფრი ხასიათ-მოტივია შექმნილი და სურათ შედევრადაა აღიარებული. ხოლო „მერანი“ მოსვლაა ბევრად უფრო ღრმად, უჩინარ ფორმათა მოხმობით, ატეხილ ხაზთა და მკაცრ კონტრასტულ ფერ-ფორმათა მოძრაობის უძლიერესი ანუ ძალიან მაღალი ტექნიკით; ჟინ-გულით დაუოკებელი სრბოლა ქართა და მთათა შემტევი გამაოგნებელი შინაგანი ამხედრებული მოუთვინიერებელი ენერგიით, რითაც სრულიად განსხვავებული განწყობილების ფერწერულ-ფილოსოფიური უმძაფრესი ლექსია გამოძერწილი. დააკვირდით, დაინახეთ, შეიგრძენით, აღიქვით და უმალ ნაწარმოების გეომეტრიულ ფორმათა კომპოზიციურ წყობას შეიგრძნობთ, თითქოსდა კუბისტური მიმდევრობის ლექსია „მერანი“. არაა გასაკვირი, კუბისტებმა ხომ ზეციურ უხილავ სამარხებში მოიპოვეს ყოველივე და ნიკოლოზ ბარათაშვილი ვისზე ნაკლები სივრცის უთვალავ უცხო ფორმათა მაძიებელია?! აქ დროის ფაქტორი არ მუშაობს, უფრო უსაზღვრო გენიაა ყოვლის მყოფელ-მპოვნელი... ხაიმ სუტინი გახლავთ უდიდესი ებრაელი ფერმწერი; პიკასოს, მოდილიანის, უტრილოს, შაგალის, კანდინსკის, მალევიჩის, ხუან მიროს დიუფის, დერენის, მატისის, ვლამინკის, ვანდონგენის, რენუარის; მოქანდაკეების: ანტუან ბურდელის, მაიოლის, დესპიოს, ცატკინის და მურის თანამედროვეობის მხატვრულ-ავარდნილი ველური ჯადო ფორმათა მომთვინიერებელი. სუტინის აღმგზნებ-აღმტყენი ფერწერა, ოდნავზე მეტად არეული ფერ-ხაზ-ფორმათა და მრავალ ტონალური ქაოსისკენ სასწაულ-მოქმედი ფუნჯით წერითი სწრაფვაა, რითაც სურათის სიბრტყეზე საკვირველ ფერთა წესრიგს აღწევს, უძლიერესად აუღერებული ფერი და ტონი თითქოსდა ცხელი ლავასავით გადმოდულს ნახატის სიბრტყიდან და აჰა-საცაა, დაამსხვრევს-დალეწავს ჩარჩოს... მხოლოდ ამდაგვარი მიდგომით, გააზრებით და შედარებებით შემიძლია ტატოს, თანამედროვე მოდერნისტულისკენ მავალი ფერწერული საოცრება ლექს „მერანის“ ახსნა, ან ჩემეული დამოუკიდებელი ინდივიდუალური აღგზნებით-ხედვითი გულმართალი წარდგენა.

მოკრძალებული თხოვნაა ზოგიერთ ლიტერატურულ მეცნიერულ-ისტორიულ მიმომხილველთა მიმართ: „მერანის“ ურთულესი შინაარსის - თემის - იდეის, უტეხი ფიქრის ფაბულის სიმბოლოთა და მთლიანი ნაწარმოების ფსიქოლოგიურად დამუხტული განწყობილების სხეულ ორგანიზმის, საკვირველი კონკრეტულ-სიბრტყე-ფორმიანი არქიტექტონიკის შინაარსობრივ განხილვა-გარჩევისას, Uუბრალოდ, ან ჩვეულებრივად გამშლელ-გამრჩეველთ, ზენაარისგან ევალებათ, არ დააზიანონ შედევრ „მერანის“: ღვთიური, თვალთ უხილავი და გონით მიუწვდომელი მაღალმხატვრულობის მთლიანობის კოსმიური უფაქიზესი აზრთდინების გარსი, რომელიც უფალზე ჭეშმარიტი ლოცვასავით ნაზი და მიუკარებაა. მოვერიდოთ ამ ღვთის ნაფიქრალთან სითამამეს, თუმცა თავისუფალნი კი ვართ! მაგრამ... აქედან, ამ საუბრიდანვე ვიტყვი „მერანის“ კონსტრუქციული რითმათ წყობა, დაუდგრომელ-ზნეობრივი სიმტკიცე, აზროვნება, ვარსკვლავეთური ხედვა ძალიან თავისებურია და თავად ავტორის სხვა ნაწარმოებთაგანაც მკვეთრად განსხვავებული. ლექსში მთლიანი ურღვევი ფორმათა მონოლითური ზნეობრივ-გონებრივი ჩამოსხმა, მკვრივი ქანდაკებურობა და ეგვიპტური პირამიდების, მოგანგაშე მზის ჩასვლისას მათივე ჩრდილებში სილუეტური იდუმალტევადი გამოსახულებებივითაა: ანუ უდიდესი არქიტექტურის ფრანგი ლე-კორბუზიეს გენიალური ეკლესია-სასახლეთა თანამედროვე დამუხტულ ფორმათა გამოსახულებებს გვაგონებს. ქმნილება „მერანში“ აზრთ შემარყეველი შიდა მრავალშრიანი განწყობილებაა უკიდურესი: უცხო ძალებს განწირულივით ბნელეთის ლაბირინთებში შეყავხარ და მხსნელის ლაზარეს აღდგინებასავით სამზეოზე განახლებული ისევ ამოყავხარ, აქაა გენიის ჯადო კოსმოსური იდუმალება...

უხილავი, თითქმის არარსებულ ჩვენს ირგვლივ აბსტრაქტულ მოხეტიალე ფორმათა სასწაულებზე ხატვა, თან ზემხატვრულობით, უკვე უსასრულობაში გასვლა და უფალთან სრული მიახლოებაა. „მერანი“ თითქოსდა მრავალწლოვანი, წითელი ღვინის უტევებლობ-გახელებაა საუკუნოვან მდუმარე ქვევრში...

უფალს ეახლა ნიკო – მგოსან მოვლენა! ოთხფეხა მითოლოგიური არსება ახალშობილი ნორჩის ტყავ-ეტრატით. ადამიანის ურთულესი ბუნების ბორგვა, ხეტიალი - სწრაფვა გამოცხადებაზე ლექსად აღვლენილი ფილოსოფიური აზრთ წესრიგ „მერანით“. ანუ მარად მოძრავი, უფსკერო და უხილავი ზეცის ფურცელზე, დრამატულ მგვრინავ ხმაზე ამოთქმული საამოდ აღმგზნები და აჩქარებულმუსიკალური დემონმოდარაჯე გამაოგნებელი ხელთუქმნელი აზრმდიდარ-მკვრივ-კუნთოვანი კომპოზიციაა...

ისევ მშვიდად გავაღოთ უხილავი კარიბჭე შედევრისა და მორიდებით შემოვაბრძანოთ ლეგენდარული მერანის დაუდეგარ-შეუპოვარი ლეგიონი...

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

იდუმალმომდინარე მრავალსხივ ფორმიანი დაუდგრომელი წინააღმდეგობა მკვეთავი „მერანი“, დაუტეველ ნიშნად გაუხსნელ ეროვნულ სიმბოლოდ, ბედი სამშობლოსი ხომ არ კრთის მგოსნისა? დიდგვაროვანი შეწირული ავტორი, და ღირსეული, მაღალი ზნეობის შვილი, თავისი ხანგრძლივწამებული ქვეყნისა, ის დღედაღამ ლოცვით, ტანჯვით განიცდიდა და გლოვობდა მტრისგან დაპყრობილი, გადაშენების გზაზე მიმდგარი მამულის ავბედით მომავალს. სულიერად შინაგანად იწვოდა და ნაკვერჩხალ-ნაცარდებოდა მაღალი პატრიოტული შეგნების და ეროვნული ვალდებულების გზნებით. პოეტის უსაზღვრო გენიამ შეპარვით უთუოდ რომ გმირულად გახსნა საქართველოს მთლიანი – თავის დროინდელი უნაკლო მრავალშრიანი ხასიათი და ამაღელვებელი ღრმად-ფსიქოლოგიური მუქფონიანი მარადიული პორტრეტი, რომელიც თითქოსდა ფრანცისკო გოიას გენიალური ნათელმხილველური გულ-გონდამატყვევებელი ფუნჯითაა მოხატული, გოიაში საოცრად ჟღერს ქართული, ან კოლხურ-იბერიული სულისთვის დამახასიათებელი ფერწერული მძაფრგანწყობილებიანი ნახევარტონები და კონკრეტულ მძაფრმეტყველ ფერთა მიმზიდველი აღმატებულგემოვნებიანი გამა. ესპანეთში ის ადგილი, სადაც გოია დაიბადა და გაიზარდა, საშუალო ზომის მთა ყოფს იბერიელებთან. პარიზში მყავს მეგობარი მხატვარი, ესპანელი კეთილშობილი ქალბატონი, ცისფერთვალება მარიამი, რომელიც ნათესავის დონეზე ურთიერთობდა ჩემთან. ხშირად დამყვებოდა პარიზის პეიზაჟებზე: მანებივრებდა საჩუქრებით, მეც უპასუხოდ არ ვტოვებდი, რადგანაც ჩემს პეიზაჟებზე იყო შეყვარებული, – სხვადასხვა დროს სამი თუ ოთხი ფერწერული ნახატიც გადავეცი. ვდგავართ, ვსაუბრობთ და მათთვის დამახა-

დაუკეტელი სულიერობა „მერანი“

ქართველი მწერლები ნ.ბარათაშვილის ცხედართან

სიათებელი ევროპული ღიმილით მეუბნება: ჩემს ქმარს მოველაპარაკე და საკუთარ სახლს რამოდენიმე თვით სამუშაოდ დაგითმობთო, რომელიც პარიზის ქალაქგარეთ დგასო. ერთხელ ესპანელი იბერიელების თემაზე მომიყვა: – მეო, მათთან ახლო ქალაქში დავიბადე და გავიზარდეო თქვენი გვარის მსგავსი გვარებია იქო! ვთხოვე, გაიხსენე რომელიმე, ქალბატონო მარიამ-მეთქი, როგორ არ მახსოვსო, აი, მაგალითად, ნოდია, გოგია, თელია, ერისთავი და რამოდენიმეც ჩამოთვალა. ძალიან პატარაა ჩვენი პლანეტა, დიდ წარმოდგენებთან, წარმოსახვებთან და ფაქტებთან: ისტორიულ მოვლენათა შედარებითაც და არაფერი არაა გასაკვირი, რა თქმა უნდა, მილიონობით მარად გაუხსნელი მოვლენების წინაშე ვცხოვრობთ ადამიანები და კერძოდ, ჩვენ, ქართველები ვფიქრობდი და ასე ვაზროვნებ დღესაც. ვგონებ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ შემთხვევაში ეროვნული გენის კოსმოსური მსგავსება-მთლიანობის ქართული იღბალი და მოწამეობრივი მღელვარი სწრაფვა-ტკივილი განავრცო, შინაგანობის გულდათუთქული მართლმსაჯულის ხედვით. სამშობლო! მგოსნისთვის უზენაესი სატრფოს დონეზეა გაიგივებული, მაგრამ აქ ვაჟკაცური სიყვარულის დრამატული ფონის, მაღალი ტონალური ჟღერაა, რომელსაც მართლაც ფრანცისკო გოიას ჯადოსნური ფუნჯის შავ-ვერცხლის მოცისფრო-მომწვანო-მოთეთრო ფერების ღრმადმეტყველ კოლორიტულ დონეზე გვიხატავს. პირადად, კრძალვით, ურთულესად ჩამობრძანებული დიდი ნაწარმოების სიმბოლო გულამდე ვაღწევ, ჩემეული გაგებით. ეს სიახლე არ იქნება, რომ ვთქვა „მერანის“ შინაგანი მსგავსება გახლავთ დაუტეველი ფიროსმანის ფერების გენიის უფსკერო აუზის ქართულ ისტორიულ თემათა ამსახველი ექსპონატებისა. მაშინ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში ყველა მოწინავე პატრიოტი ქართველი ხომ მოხერხებული მიზანხედვით ემალებოდა სტეპური დამპყრობი რუსეთის ტარტაროზულ რისხვას. დიდი და ბრძენი ოსტატის ინტუიციით პოეტმა დაგვიხატა, მარად ტანჯული, დაუჩოქებელი, პროგრესულ-მებრძოლური პატრიოტული სწრაფვის, ქარიშხალური ქროლვის საქართველო. კოსმოსური და სივრცობრივი სრბოლა და შეგონებაა უფალივით მართალი, რომელსაც ვერავითარი ადამიანურ სატანაშეპყრობილი მტრის რისხვა, ვერასოდეს ვერ შეაჩერებს... „მერანი“ ის ქართულ-ეროვნულ-ფსიქოლოგიური გმირული მცნებაა, მონობას ცოცხლად კი არა, მკვდარიც არა და ვერ შეეგუება... ამრიგად, მგონი, ვუახლოვდები ავტორის გარემოებისგან შეძრწუნებულ მარად მფეთქავ გმირულ გულს. საქართველოს და მგოსნის პირადი არსებაც წინასწარმეტყველურია და მუდმივ წმიდა-მეომრული. ნაწარმოებში ის უსიამოვნო ფრინველები, რომლებიც დაქრიან „მერანის“ მოქუფრულ სივრცეში, არასოდეს არ აკლდა საქართველოს და მასზე ტანჯვით შეწირულ მარადიულ საფლავების ზეგრძნობა. სიყვარული, სატრფო-ტრფიალი კი, ღვთიური მარად თანმდევია როგორც მსოფლიური, ასევე უკვდავი კოლხეთ-იბერიისა და მხატვრულ-იდეური ურთიერთმსგავსება რეალურია. ხატი მრავალია შექმნილ-დაწერილი, მაგრამ ღმერთქმნილი-ერთეულებშია (რელიგიური ფანატიკური რწმენით დაბინდულნი ყოველივე ამას იშვიათად ხედავენ) რამოდენიმე ათეულ წელინადს რომ ვიცხოვრო, როგორც მოგიყევით, შედევრ „მერანს“ ბოლომდე მე ვერ ჩაეწვდები. გონითი წერა, გულითადი მცდელობა იქნება პიროვნულ-მეობრივი სიამოვნება თემის სივრცობრივი ბრძოლის ფონზე და მეტი არაფერი. მხოლოდ დიდ პიროვნებებს ჰქონიათ მოწოდება და იღბალი შემოქმედ უზენაესთან გაგება-მიახლოებისა, ისიც უშუალო შეგირდობის მეოხებით, რითაც მერმე მუდმივად ჩვენთანაც არიან. ნაწარმოებ-შედევრი და ზემოთ ხსენებული ბრძენნ-ერთეულნი გვასწავლიან ხელოვნების ქმნილებაში თუ როგორი შინაარსობრივი მოსვლაა ადამიანის, კოსმოსიდან უშუალოდ ჩვენს პლანეტაზე, სასწაული „მერნისეული“ ველურ-ცხოველური დაუოკებელი ენერგიით მარადიული სიცოცხლის შენარჩუნებისკენ სწრაფვა ქროლვითი იერიშით. ყოველივე ამაზე დღენიადაგ იბრძოდნენ საუკუნეების განმავლობაში ღმერთამდე თითქმის ამაღლებული ძველი ეგვიპტის მთავარმმართველები: მარადიული სიცოცხლე თუ ვერ მოიპოვეს, მაგივრად მათმა უნიჭიერესმა მონებმა უფლის გვირგვინზიარებით და უკვდავ ხელოვანთა ავტორობით, სიკვდილთან მებრძოლი ფარაონები თავიდან შექმნეს საუკუნოვან ხელოვნებაში, რომელიც სრულიად განსხვავებული სფერო და სამყაროა მზიულეთში. მათიივე ღირსეულ რიგშია ჩამდგარი ლექს მუსიკა სიბრძნე ჩამოქნილი და მრისხანედ მოძრავი ოცნება ცას მოწყვეტილი ვარსკვლავივით გაელვებულ-გაცეცხლებული „მერანი“. თავს მივცემ უფლებას, რომ მსოფლიოს პოეზიის შედევრთა ლაშქრის ერთპიროვნულ რაინდული ზნეობის საიმედო წინამძღოლად წარმოვიდგინო, დავით აღმაშენებლის დროინდელი ძლიერების შემადარი მხედარ ნიკოს „მერანი“. უსათუოდ მის, მზისფერ მჩქეფარე, შემოქმედებით ძლიერ ძარღვებში, მზიულეთიდან ჩვენს პლანეტაზე „მერანისეული“ გზავნილი შეუპოვარი და მღელვარია ბრძოლის ველზე,ერთხელ ბოძებული სიცოცხლის გმირულად შეწირვა-შენარჩუნებისათვის მოვარდნილი ქარიშხალივით უდრეკი იერიში, რაც ლომგულ, დაუდეგარი უსაზღვრო გავარდნაა მხედარ, წმიდა გიორგივით, დადუმებულ მერანოსან ადამიანისა, რომელსაც ცივ ოღროჩოღრო შავქვაფენილიან გზაზე ქვეყნიური ჭირვარამი, მუქი ყავისფერ ზედმეტხორცივითაა აკრული, რითაც თუ არ იგულადე, ბევრად უღირსნი უნამუსოდ დაგამხობენ. სრბოლა, სწრაფვა, ჟინი, სატანისტებთან შეურიგებლობა, გახელება და სტიქიურ ჭეშმარიტ-ზნეობრივ ზეპატრიოტული ნაწარმოების მთავარ მოქმედი გმირი, (სტიქიურის ნაზავია უმეტესი მოძრაობა ქმედება ქვეყნის და ადამიანებისა.) აქ, ამ მითოსური ველის დაუოკებელი ლაშქრის, ერთ-ერთი და ფართე სიმბოლური თითქმის და მაინც შეწირულ-განიარაღებული მებრძოლია, რომელსაც ახლავს გარდაუვალი და აუცილებელი ბინდმოსილებითი და მუქფენოვანი შეუპოვარი მომავალი...

ამაოეულ გამაოგნებელი სავსეობის სივრციდან შეწირვით, ჯვარცმული და ამაღლებული მაცხოვრის ამაღლებული ხმაა აქ მოღწეული.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

წყლის ცხრაბალიანმა, მომწვანო, მოცისფრო, ზოგან გამჭვირვალე გორებად ქცეულმა ტალღამ, ზღვის აზვირთებულ ზედაპირზე, მზე-მთვარეზე შემტევ გრიგალისებურად გადაუქუხა და აცახცახებული, შიშჩამჯდარი ხმელეთისკენ, ეშვებიანი სპილოს ლაშქარივით დაიძრა. ერთდროს ნარმართობის ღმერთთმთავარი უკვდავსხივოსანი ზევსი, რომელიც სამყაროში ლაღად ისვენებს და მათ უტევ მეხსიერებას მუდმივად ავსებს. მრისხანედ გადმოხედა გაშმაგებულს, აქაფებულ უზარმაზარ მთად ქცეულს და შეეკითხა, რამ გაგაცოფა აგრე, ამხელა წყლის ზედაპირზე რომ ვერ დატეულხარო! პოსეიდონს მაინც თუ შეეკითხე რამეო. ჩემი ბატონის და აგორებულ მრავალ ტალღათა ნაშიერთა უპირველესი მიზანია. ზღვა და ოკეანის, უერთგულესი და შორეულ ლეგენდარულ მეზღვაურთა თაოსნობით, მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილის, ზეციურ მინისეული და ოკეანისეული ქმნილება „მერანი“, მოვიტაცო, ჩემს სიახლოვეს ვარბენ-ვაჭენო, გვერდით ვიყოლიო და დავიახლოვო; შემდგომ ოკეანეთა და ზღვების მომქმედ მთავარ ლაშქარში თვალსაჩინო წამყვან დაუმორჩილებელ სარდალ ძალაგონებად ჩავაყენოო; იყო პასუხი. წყალუძლეველობის უჩინარობიდან გამომდინარე,ზევსს არ გაკვირვებია ამ ფორმის ბუნებრივ სტიქიური სწრაფვა და წარმართთა ზესაუფლოში ისევ მიდუმდა... ღვთიურ ქმნილებათა შედეგრთ წინაშე, როგორც გიამბეთ, ბედნიერები ვართ და ბევრი უძლურნიც. რა თქმა უნდა, არა ჩაგრულნი. უთუოდ მათ, თავისებური სულიერ-ფსიქოლოგიური თვისებები გააჩნიათ. აბა, მიდით და ახლოს ნახეთ, მოისმინეთ, წაიკითხეთ და მოინდომეთ მთავარ შედევრებთან დაახლოება, ნდობით თავს გაგაცნობენ-დინჯად, თანმიმდევრულად – გამორჩეული ორიგინალობით გასიამოვნებენ და უკიდურესად გაგაკვირვებენ, მერმე გაგიშინაურდებიან და გამოუცნობ საიდუმლოებათა მხატვრულ სიახლეებს მდიდრულად შემოგთავაზებენ. შემდგომ შემოქმედებით სიღრმეების უჩინარი საწყისებისკენ დარბაისლურად გიხმობენ და სულგულთა და გონების მაამებლად-ფენომენალურ ნებისმიერი პიროვნების შემძვრელ ანგელოზისეულ ანდამატურსა და უმთავრეს ნაწარმოებისეულ ნარნარ გემოვნებას გაახლებენ. საბოლოოდ კი მათ წინაშე დატყვევებული მაყურებელი, მსმენელი თუ მკითხველი თაყვანისცემას რომ იწყებ-უმალ, არავითარი მოულოდნელობაა და ზეციურ მითიური ჰაერს შერეული ხაზებივით გაგედინებიან ხელთვალიდან – და ისევ ივლიან მიუნვდომელ წრიულად, ციური სიღრმეების მუდმივ მგზავრად: მათი დინების სწრაფვა, ალბათ, დაუდგენელია, მაგრამ შესაძლებელია ამ შემთხვევაში სინათლის სიჩქარე ჩვეულებრივი დონე იყოს.

უძირო და განუსაზღვრელი ტევად მზისფერი ხაზის ფორმის, მსუყე და წონითი ტონალობის ხასიათის-ინდივიდუალური გამოხატული სახის, სტილის და ხაზგასმული მკვეთრი განწყობილებებით თავისი ეპოქის ფესვებჯანსაღი შვილნი და უსასრულო მსოფლიო თუ კოლხურ იბერიული საუკუნეების სახე ქმნილება, შედევრები აუწონავი და აღუწერელი მხატვრულ საფშვინველის დონეებით არიან გამდიდრებულნი. თითქოსდა ზოგ აზრთ ვიმეორებ მოვლენათა უფრო გაღრმავებისთვის. ნებისმიერ ექსპონატ-ნაწარმოების უკვდავ-მოძრავი ცოცხალი კრთომა, ყოველი მათგანი გონებისთვის თანმიმდევრულია და ნაწარმოებიდან უწყვეტ შთამბეჭდავ თილისმად გადმოედინებ-მოედინება: უხილავ-გაივლის ჩაგონებით ჩვენ-თვალ გულ, სულ-გონების, მთლიან სხეულს, სისხლძარღვების უმცირესი კაპილარების ჩათვლით და უნაზესი ნერვული სისტემის სრული დაუფლებით: ეს ხომ გონით, ენით, აზროვნებით და კალმით აღუწერელი პროცესია ნაწარმოებ-ქმნილებისაგან, რეალურ მომდინარე მხატვრული უხილაობა, თავად ნიმუში, ფერწერული სურათი, პორტრეტი, პროზა-ლექსი თუ, საერთოდ ნებისმიერი ხელოვნების შედევრ-ნაწარმოები მუსიკის გარდა არ მოძრაობს და მოჩვენებით სტატიურია, მაგრამ რამდენადაც მეტს უყურებ, ისმენ თუ კითხულობ, თანდათანობით გრძნობ, რაღაც მნიშვნელოვანი უხილაობა ანუ დამოუკიდებელი თითქოსდა უცხო სულ-ფორმა შედევრისა განუწყვეტელ მოძრაობაშია. გიკვირს, გხიბლავს და გარემოს სხვა ყველაფრისგან ითიშები, მაგრამ გრძნობის და გონების თვალით ხედავ ცოცხალ არსებაზე არანაკლებ მარადიული აზრთამშვლელი იდუმალი სიცოცხლითაა სავსე. თითქოსდა არარსებულიდან უმძაფრესი რეალურობის შეგრძნებაა. ყოველივე ამ მალულ უცნაურობების შემდეგ წარმოიდგენ, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი შენგანაც გადის, მას უერთდება და ისევ ერთიან შემოდის მუდმივ წრიულ უსასრულობის სივრცეში... შორს თუ სიახლოვეს კოსმოსურ-სისტემურად ეახლება ქმნილება უპირველესს და ვინ იცის, მერამდენედ ასე განწმენდილ ნაკურთხ მონათლული მიდის საწყის შედევრთან; ჰაერზე უფრო გამჭვირვალე რაღაც განსხვავებული ისევ ჩასახლდება მის სასწაულ ქმნილება ორგანიზმში, კვლავინდებურად უჩინარ მოივლის ნაწარმოებიდან თავისუფალი დინებით და ისევ გადმოვა: გონებრივ სრულყოფილებაში წარმოიდგინეთ, ამდაგვარი მარადიული წრიული წერტილდაუსმელი წრიულ ჯაჭვისებური სვლაა ქმნილებაში ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ მრავალსახოვან შემადგენლობათა შორის, უკიდურესად განსხვავებული ღვთივ კოსმოსური სულისაც; რომლის ბოლომდე კი არა, მიახლოებითი შესწავლაც ურთულესია, რადგანაც ყოველივე მხოლოდ ღვთიურ-მიუწვდომელია. ამ სახის და შინაარსისაა ქმნილებათა მხატვრულ-მისაიდუმლოებული ფორმა, აზრთ მოცულობა თუ ლიტერატურული სივრცე - უთუოდ წმიდად შობილი ქმნილებებისა: ყოველივე მართალ-თქმული თვისების და მარად ცოცხალი სხეულ ორგანიზმისაა - საოცარძეგლად აღმართული ნიკოლოზ ბარათაშვილის, შედევრ-„მერანიც“ წარმოუდგენელია, მაგრამ სინამდვილეა, რომ ნებისმიერი შედევრი სამყაროს მსგავსი მარადიული უსასრულობის ნატეხ თანამგზავრება. ყოველგვარი მიუწვდომლობა ხომ შემოქმედისგან რეალურ-სახიერად ქმნილი საოცრებაა; მერმე ჟამიდან-ჟამში მათთან არყოფნისას ისინი სულიერად ჩვენგან გარდასულ მიემგზავრებიან და ყველას სინანულად იშვიათად თუ გვეკარებიან: ხელოვნების ნიმუშნი და შედევრნი ჩვენგან წუთიერ განშორებასაც კი ვერ იტანენ... უმთავრესი და საჭირბოროტო ყოველდღიური საკითხია შედევრის მარადიული ხელხება და უდიერი ხსენებაც ხომ სამყაროსეული მზაკვრული დანაშაულია. უკეთურები ნებისმიერი ქვეყნისა თუ ერისა მაღალ მხატვრული ძეგლების განადგურებით თუ განდგომით უფალს, ზეციურ ნიჭსა და ფენომენ გენიას ებრძვიან გაცოფებულ-გააფთრებულნი. თვინიერ მოკრძალებით რომ ავიღოთ ლექსად შობილი „მერანი“ ხომ ფასდაუდებელია და შეუდარებელი ყველასაგან დამოუკიდებელი განსხვავებული და მზისსახოვანი შედევრ ხატქმნილებაა; კოლხურ-იბერიული უძველეს მარადიული ერთიანი სივრცის. უმძიმეს საშინელ დღეს, შეიძლება ღმერთმა ნუ ქნას და ეშმაკმა დედამიწა ძირფესვიანად მოშალოს. ხოლო „მერანი“ ანტიკური ეპოქის ქმნილებათა დონე და როგორც ნათელი სახე, ღვთივ-ადამიანური ქმნილებისა, მზესავით მარად დარჩება სამყაროს უსაიდუმლოდინების სწრაფვა და წარმართთა ზესაუფლოში ისევ მიდუმდა... ღვთიურ ქმნილებათა შედეგრთ წინაშე, როგორც გიამბეთ, ბედნიერები ვართ და ბევრი უძლურნიც. რა თქმა უნდა, არა ჩაგრულნი. უთუოდ მათ, თავისებური სულიერ-ფსიქოლოგიური თვისებები გააჩნიათ. აბა, მიდით და ახლოს ნახეთ, მოისმინეთ, წაიკითხეთ და მოინდომეთ მთავარ შედევრებთან დაახლოება, ნდობით თავს გაგაცნობენ-დინჯად, თანმიმდევრულად – გამორჩეული ორიგინალობით გასიამოვნებენ და უკიდურესად გაგაკვირვებენ, მერმე გაგიშინაურდებიან და გამოუცნობ საიდუმლოებათა მხატვრულ სიახლეებს მდიდრულად შემოგთავაზებენ. შემდგომ შემოქმედებით სიღრმეების უჩინარი საწყისებისკენ დარბაისლურად გიხმობენ და სულგულთა და გონების მაამებლად-ფენომენალურ ნებისმიერი პიროვნების შემძვრელ ანგელოზისეულ ანდამატურსა და უმთავრეს ნაწარმოებისეულ ნარნარ გემოვნებას გაახლებენ. საბოლოოდ კი მათ წინაშე დატყვევებული მაყურებელი, მსმენელი თუ მკითხველი თაყვანისცემას რომ იწყებ-უმალ, არავითარი მოულოდნელობაა და ზეციურ მითიური ჰაერს შერეული ხაზებივით გაგედინებიან ხელთვალიდან – და ისევ ივლიან მიუნვდომელ წრიულად, ციური სიღრმეების მუდმივ მგზავრად: მათი

ესი მეხსიერების გალერეის ფონდებში, სამარხებში თუ უცხო მარად წრიულ დინებაში რათა როგორც ზეცის შორეულიდან გამოცხადება სასწაულებრივი მოძრავი ლექსფორმა, ისევე, თავის პირვანდელ უფერულ საშო განძთსაცავს სამარადისოდ ფლობს. ის ხომ ჩვენთან გამოცხადება ღმერთია და აქედან გამომდინარე, ვით კოსმოსური მკვეთავი თანამგზავრი „მერანი“ მრავალ ქართული ოხვამეს (სალოცავების) წმინდა კედლებზე, თეთრი ასომთავრული ასოებით უნდა იყოს აღბეჭდილი. თუ არადა სახე პლანეტარული ნიმუშქმნილება, რელიგიური ხელოვნების მუდმივ საცავებში, სალოცავის დონეზე დავანებული, როგორიც გახლავთ ღირსება ფრესკები, ხატები, მინიატურები, ორნამენტული ოქრომჭედლობა, გორელიეფ-ბარელიეფები, მინანქარი; მრავალი აგიოგრაფიული ლიტერატურა – წმინდანთა სარკოფაგები (მოგეხსენებათ და ყველა საფლავიც მიწას მიბარებულ-შენახულიც...) და მათ გვერდით ღვთიური ქმნილება „მერანი“. როგორც მრავალათასწლოვან კოლხურ-იბერიულ უკიდურეს განცდა-დარდს-ამოყოლილი, იდუმალ უვარსკვლავო ცას მიმსგავსებული და კაეშნურ-გაღრმავებული მქროლავი სუნთქვა.

თანამედროვე დიდმა მწერალმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ჩამაგონა და ღრმად დამარწმუნა, რომ „მერანი“ ქართული სულიერების, ზნეობის, ცნობიერების შთამაგონებელი გრაალიაო! და აუცილებელია ჩვენი მომავალთათვის, მარადიულად განმტკიცდეს ეს რწმენა-მართალი შეგონებაო, რათა ლიტერატურული ძეგლქმნილება სიცოცხლის თასია ყოველთა ქართველთათვის აუცილებელიო: მართლაც რომ „მერანი“ „ქართული მუდმივი სერობის“ გრაალია, თავისი სიწმინდით, თითქოსდა ამ შედევრის მეოხებით ზეციური სითხე კოლხურ-იბერიული ვაზის ნაჟური, უფალმაც მიიღო, საოცრებაა, აბა რაა? ნუ გიკვირთ, კეთილშობილნო!..

თამამად ვიტყვი, თუ ქართლის ცხოვრების ამსახველი უნიკალური წიგნი, ქვეყნის უტყუარი წარსულია; „მერანი“, საქართველოს აწმყო-მომავლის უხილაობიდან გამოხმობილი სამართლიანი ბრძოლა, კანონ იმედი ხომ არაა? ვარსკვლავეთური წინასწარმეტყველებითი ძახილ-კივილი, ანუ მომავლის სურათ დაუოკებელი სინამდვილე: „მერანი“ ჩვენი დღევანდელობის ეროვნული გაჭირვება-საჭიროების კოსმოსურ უსასრულო დროში ჩასახულ-ჩაკირული უდრეკი უძლიერეს განმარტოება სფინქსია...

ოდითგანვე მხოლოდ ღარიბ-შეწირულნი ყოფილან ერის ძირითადი უახლოეს გადამრჩენელნი, როგორებიცაა მოძღვარნი, ხელოვანნი-მეცნიერნი და პატრიოტნი, ამათ მიჰყავდათ და მიჰყავთ ქვეყნის გენეტიკური საიდუმლოება და კულტურა-ცივილიზაცია...

ღმერთი ხომ სამყაროს უსასრულობის უსპეტაკესი არქაულ-კლასიკური აბსტრაქციაა რეალურად ჩვენგან მცირედ აღქმულ-დანახული, რაც მარადიულობაშია ჩაძირული კოსმოსური საკვირველი ფორმათა ცამნათი უხილავი სივრცობრიობა და მასში სრული შემადგენლობით არსებული დიდი ხელოვნება.

საოცრება „მერანი“ მხოლოდ საქართველოში უნდა დაბადებულიყო, სხვაგან ის აგრე ღვთიურად ვერ იშვებოდა. კოლხეთ-იბერიის აღმოცენებამდე უთუოდ რომ უსასრულობაში უკვე არსებობდა-მეთქი რომ ვთქვა, ვერ ვბედავ, მაგრამ მართლაც შეიძლება იმ უცნაური არარსებულიდან კოსმიური შემადგენლობა მერანი მოდიოდეს. ღრმად თუ ჩავუფიქრდებით და გავიხედავთ ჩვენგან შორეული სივრცისკენ, „მერანი“ თითქოსდა არარსებულიდან შექმნილი ერთ-ერთი მართალთაგანი რეალობაა, ჩვენეული ბუნების დაუდგრომელ-მბორგავი სამყაროსი, რომელსაც ბოლომდე ვერ ვიმორჩილებთ და ვუგებთ, მის ზოგჯერ გაურკვეველ მიმართულებას; ურთულესი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, უფრო ზეძალების ტეხილხაზოვანი ლტოლვაა – შმაგი, მარადიული აზრთა ზნეობრივი არსებით უმტკიცესი მოქმედების და წარმოუდგენელი წმიდანური ტაღლების მოძრაობაა, სრულყოფილ ადამიანურთან მიახლოებით ზეციურ-სივრცობრივი რომანტიკაა ღამეული გრიგალით გამოწვეული. მხოლოდ გენიათა უკვდავ სულებს ძალუძთ მარად მოძრავ სივრცეში შეღწევა და სინამდვილის რეალურ-ანტიკურ-კლასიკურისმიერი ლექს-ქანდაკების ჩამოქნა...

ქართული ჭეშმარიტი უძველეს-კლასიკური და თანამედროვეობის ათასწლოვანი ხმა „მერანი“ ოქროს მრგვალ მედალიონში მინიატურულად, მოციმციმე ცისფერებით უნდა იყოს ჩაწერილი და ყოველ ქართველმა გულის უბით სათუთად ას წელიწადს უნდა ატაროს ლექსის სრული პატრიოტულ-სამართლიანი ტექსტი, რომელიც ერთ დროს, ვარსკვლავეთის ტალღად მოძრავ გუმბათზე იყო ფრაგმენტებად მიმოფანტული; ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათელმა შემკრებმა გენიამ კი ჩამოაბრძანა დედამიწაზე და პოეზიის შედევრ მარგალიტად აწყობილ-გარდაქმნილი უბოძა ყოველ ჩვენთაგანს.

შორეთიდან მოსული საკვირველი და ეს, მხოლოდ მუსიკალურ-პოეტური ხმა არაა, ზეცად მსრბოლელი მარადიულობის კვნესაა-ჩივილი და მიწიერი ნერვიული ბღავილ-შეძახილიცაა დაუსრულებელი...

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
ბნელეთ-ნათელის უკიდურესი დაპირისპირებაა „მერანი“...

ღმერთკაც-ქმნილება, სამყაროს, კერძოდ, დედამინის უთვალავ მძაფრ ფორმათა ჭიქა-ქუხილის მოვლენათა შემჭიდროებულ-მონოლითური, სრულყოფილი ქარიშხლურ-ცეცხლოვანი, უფრო ზეციურ ჭარბ მოვლენათა, მხატვარ-ლეგენდა ელგრეკოსეული, პლანეტის უზარმაზარი ფერწერული დამოუკიდებელი და მღელვარე საოცრება ავტოპორტრეტ-კომპოზიციაა...

უთვალავი ასტრონომიული ავბედითი საუკუნეები, შორეული ციდან განცდა მოვლენები მოდიოდა მომაჯადოებელი ლექს „მერანით“ და წმიდა ნიკოს პოეტურმა მოციქულეობრივმა გენიამ მიიზიდა, მიიტაც-მიისაკუთრა. შემდგომ, როგორც ვიაზრ-ვიხილე, ჯადო-ჰიპნოზით გარდაქმნამ შეკრა – გაითავისა და სრულიად ქართულ უკვდავ ეროვნულ მებრძოლ-სამაგალითო კანონ სახეიდეად შვა. ამდაგვარი კოსმოსურ-სივრცობრივი სიმდიდრე ლექს-სამკაული სამართლიანად ყველას ეკუთვნის განურჩევლად ერისა და ქვეყნისა, რათა ნებისმიერნი თავის საკუთარ ისტორიულ ცხოვრებისეულ რეალურ „მერანს“ ფლობს და ატარებს: როგორც დაგიხასიათეთ, ერთ დროს ვარსკვლავეთის აზროვნებათა ფიქრ-ფორრიაქი...

„მერანი“ უმძიმესი გოლგოთაგამოვლილი ჯვარია; მომავლის სიახლე ცხოვრების აღმდგენელი სრულიად საქართველოს, კოლხეთ-იბერიულისა...

ურთულეს მელანქოლიურ მდუმარე დარდიან მიწაში ჩარჩენილი, მარტოხელა ჯვარის შემანჯღრეველ მხსნელად, უზენაესმა, მგოსან-ნიკოს, მოუვლინა ლეგენდარულ-ზემითიური ლექსი „მერანი“, შეუპოვარი, უსწრაფეს-სრბოლითი ენერგია, ვარსკვლავეთური გზნებით უგზო-უკვლოდ დააქროლებს და მიმოაფრენს ჯადოსნური სივრცის დაუოკებელ თავდადებულ გრძნეულ პოეტს; რეალურის იქითასმგავარ პლანეტათა დასახლებაში, ანუ გამაოცებელივით უჩინარ ყოველივეს გაღმა უხილაობისა, სადაც ყორნისფერი ამღვრეული სივრცის აღმგზნები მონინაობაა..

უსასრულოდ ქვეყნიურსა, ყოველთა ბოლოს, იქუხა მიუწვდომლობის სიშორემ და უფროდ ბნელი მოედო ქართულ ავბედით უკუნეთს. მერმე ქროლვით გაარღვია უკიდეგანობის უმძაფრესი ენერგია „მერანმა“ და მსწრაფლშეუპოვრად შეიჭრა რეალურობის მარადიული ნათლის სინამდვილეში...

რეზო ადამია
მხატვარ-მწერალი
2017 წ. თბილისი

ირმა კეკელიძე



ორმოცი წლის შემდეგ, მეგობართან ერთად, ისევ იმ შარაგზაზე მიაბიჯებდა დინჯად, სადაც ბავშვობაში და, შემდეგ, უკვე ყმაწვილქალობაში, უყვარდა სიარული. ზაფხული, კახეთი, სოფელი, შარაგზა... უყურებდა ლამაზ მოაჯირიან სახლებს, კარგად მოვლილ, ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ, მწვანედ მობინე ეზოებს და მის თვალსა და გულს საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. ახალაშენებული ლამაზი სახლის ღობესთან შეჩერდა, შემდეგ გვერდით მდგომ მეგობარ ქალს მიუბრუნდა და შეეკითხა:

– მაიკო, რა ლამაზი სახლი აუშენებიათ, ნეტავი ვისია? მიხარია, როცა სოფლად ახალაშენებულ სახლს ვხედავ, ხოლმე.

გვერდით მდგომი მეგობარი ქალი უყურებდა ლამაზ, დიდ ეზოში, ახალაშენებულ თეთრი ფერის სამსართულიან, ულამაზეს სახლს, ლამაზი, მწვანე მოაჯირითა და სხვადასხვა ფერის კამელიებით მოხატულ ეზოს.

– არ ვიცი, ვერ ვიხსენებ. ნეტავი აქ, ადრე, როგორი სახლი იდგა? – თავისთვის ჩაილაპარაკა ქალბატონმა მაიკომ და დაფიქრებული, შუბლშეკრული უყურებდა ულამაზეს ეზო-კარსა და მასზე თეთრად ამობრწყინებულ სამეფო სახლს. უცებ რაღაც გაახსენდა და მეგობრისკენ მიბრუნდა.

– გამახსენდა, მაყვალა, გამახსენდა! აქ ხომ მართას პატარა ქვითკირის სახლი იდგა.

– რომელი მართასი, კარგად გამახსენე, ვერ ვიგონებ, – უპასუხა მაყვალამ.

– რომელი მართასი, პოეზიის საღამოზე რომ გამორჩათ და მერე გიტარით ხელში მარტო რომ მღეროდა?..

მაყვალას უცებ თვალები გაუფართოვდა, მეგობარს გაოცებულმა შეხედა და ხმის კანკალით უპასუხა:

– რას ამბობ, მართას ეზოში ამხელა სახლს ვინ ააშენებდა? ის ხომ მარტოხელა იყო. მგონი, გეშლება.

– არაფერიც არ მეშლება. ღობეს შიგნით გააყოლე თვალი. ვერ იცანი, მართას კამელიები?... ისევ ისე ჰყვავიან... კამელიები ჩვენს სოფელში მართას გარდა არავის არ ჰქონდა. ეს ხომ ის ძველი კამელიების ხეებია. ახალ ნარგავებს ნამდვილად არ ჰგავს. ეზოს ბოლოში კი მუხის ხე დგას, – სწრაფად უპასუხა მაიამ.

მაყვალა ჩუმად იდგა და გაჰყურებდა აყვავებულ კამელიებს, ულამაზეს თეთრ სახლს და ეზოს ბოლოში, სახლის მარცხენა მხარეს მდგარ დიდ მუხის ხეს...

***

მეორე კურსის სტუდენტებმა ბოლო გამოცდა ჩააბარეს და გახარებულებმა, სულმოუთქმელად, ჩამოირბინეს უნივერსიტეტის კიბეები... ივნისის მზიანი დღე იდგა. ხელს აღარაფერი უშლიდათ, სადაც უნდოდათ, იქ წავიდოდნენ და რაც უნდოდათ, იმას გააკეთებდნენ. კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდები ჩააბარეს, ბედნიერი დღეები დაიწყო...

– ერთი-ორი დღე დავისვენოთ და შემდეგ ზღვაზე წავიდეთ... კარგი იქნება, თუ ბათუმში ან ქობულეთში წავალთ, – ხალისით ლაპარაკობდა მაია და თეთრი ფერის ხელჩანთას მთელი ძალით აქნევდა.

– რა დროს ბათუმი და ქობულეთია, არ გახსოვს, რაზე შევთანხმდით?! – მოკლედ მიუგო მაყვალამ.

– რაზე შევთანხმდით?! ზაფხულია, გამოცდები ჩავაბარეთ და აღარ უნდა დავისვენოთ? – არ ჩერდებოდა მაია.

მაყვალა უნივერსიტეტის წინ, ავტობუსების გაჩერებასთან შეჩერდა. მეგობარს ხელი ხელში ჩაავლო და საუბარი განაგრძო:

– მომისმინე, მაია, ხომ შევთანხმდით, რომ სოფელში წავალთ, ჩვენს სოფელში, არბოშიკში და პოეზიის საღამოს მოვაწყობთ.

– ჰო, მართალი ხარ, შევთანხმდით, მაგრამ დავისვენოთ და ზღვიდან რომ დაბრუნდებით, კახეთში მერე წავიდეთ. კახეთი და პოეზია სად გაგვექცევა? ჩვენი მელექსე-მოშაირეები ნეტავ სად წავლენ? – ისევ თავისას გაიძახოდა მაია.

– არა, ასე არ გამოვა. მე უკვე ჩემს ძმას, ნიკოს შევუთანხმდი, რომელმაც საქმეები გადადო და ჩვენ უნდა მოგვმსახუროს თავის მანქანით. არა მხოლოდ ჩვენი სოფელი, სხვა ახლო-მახლო სოფლებიც უნდა შემოგვატაროს. პოეზიის მოყვარულები და სახალხო მთქმელები უნდა მოვიძიოთ და კარგი საღამო მოვაწყოთ! – საქმიანად უხსნიდა მაყვალა.

– პოეზიის საღამო!... უნივერსიტეტში არ კმარა?! ცოტა დავისვენოთ და მერე ვირბინოთ სოფელ-სოფელ, რა გვეჩქარება?! – თავისას არ იშლიდა მაია.

– მე გადაწყვეტილება მივიღე!... შენ, როგორც გენებოს!... შეგიძლია წახვიდე ზღვაზე და დაისვენო!... მარტო ვივლი ნიკოსთან ერთად და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თავი არ შევირცხვინო, განსაკუთრებით შენთან. ზღვიდან რომ დაბრუნდები, მოსაწვევს გამოგიგზავნი და პირდაპირ მობრძანდი პოეზიის საღამოზე! – მკვახედ, გაბრაზებული კილოთი მიაძახა მაყვალამ.

– სად უნდა დავესწრო პოეზიის საღამოს? არბოშიკის კულტურის სახლში? – ღიმილით ჩაეკითხა მაია.

– არა, პარიზში! – მოკლედ უპასუხა მეგობარმა.

– ჰო, კარგი, კარგი!... ისე იყოს, როგორც შენ გინდა!... უშენოდ ზღვაზე რა მინდა, მაგრამ, პირობა მომეცი, როგორც კი მაგ საქმეს მოვრჩებით, მეორე დღესვე წავალთ ზღვაზე, – დაიჟინა მაიამ.

– წავალთ!... აუცილებლად წავალთ!... – მაყვალას ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ავტობუსიც მოვიდა... გოგონები სწრაფად ავიდნენ ავტობუსში, სამგზავრო ბილეთები აიღეს, თავისუფალ სავარძლებში მოკალათდნენ და ერთმანეთს გაღიმებული, ბედნიერი სახით გადახედეს...

***

ერთი კვირის განმავლობაში რამდენიმე სოფელი შემოირბინეს. არბოშიკშიც მოძებნეს ხალხური პოეზიის რამდენიმე მოყვარული. ერთ დღესაც, ნაშუადღევს, სადილის შემდეგ, მაყვალას მამა-პაპისეული სახლის ეზოში, ცაცხვის ხის ძირში, ჩამომსხდარიყვნენ მეგობრები, მხიარულად ბაასობდნენ და კისკისებდნენ... როგორც იქნა კულტურის სახლის ხელმძღვანელობასთანაც შეათანხმეს პოეზიის საღამოს ჩატარების ორგანიზაცია და დღეც დათქვეს დიდი სახალხო ზეიმისთვის... გოგონები საუბარსა და სიცილ-კისკისში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს ჭიშკართან მდგარი ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც უხმოდ იდგა და მორიდებული მზერით შორიდან შეჰყურებდა მათ... სახლიდან ეზოში გამოსულმა მაყვალას დედამ, სანდომიანი სახის ქალბატონმა იზომ, მყისვე შენიშნა ჭიშკართან მდგარი მანდილოსანი და ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისკენ. ახლოს რომ მივიდა, მეზობელს გულთბილად მიეგება:

– მობრძანდით, ქალბატონო მართა, მობრძანდით. რა უხმოდ დგახართ, შემოდით ეზოში.

გოგონები სწრაფად წამოდგნენ და მოხუცს სკამი შესთავაზეს. მოხუცი ჩამოჯდა. შემდეგ ახალგაზრდებს შეხედა და მორიდებით მიმართა:

– ბოდიშს მოგიხდით, შვილებო, მე მგონი უდროო დროს შეგაწუხეთ.

– არა, რას ბრძანებთ, არანაირად არ ვწუხდებით, – მიაგება სიტყვა მაყვალამ.

– იზო, შენი გოგო რომელია, მაპატიე, მოვხუცდი და ვეღარა ვცნობ, – კვლავ მორიდებით იკითხა მოხუცმა.

– მე ვარ, ქალბატონო მართა, – შეეშველა მაყვალა.

– გამახსენე, შვილო, რა გქვია, ამ ბოლო დროს სულ მავიწყდება ყველაფერი.

–მაყვალა, მაყვალა მქვია!

– ჰო, გამახსენდა. მართლაც რომ შეგეფერება ეგ სახელი. შენს ლამაზ პირ-სახეს, სწორედ რომ მაყვალივით თვალები გიმშვენებს, – მიუალერსა მოხუცმა.

მაყვალამ ღიმილით შეხედა მართას და ფრთხილად ხელზე მოეფერა. მოხუცმა კვლავ განაგრძო საუბარი:

– შვილო, მაყვალა! მთელი სოფელი ლაპარაკობს, რომ შაბათ საღამოს, სოფლის კულტურის სახლში, დიდ ზეიმს აწყობთ. აქაურმა მაცხოვრებლებმა თავიანთი ლექსები უნდა წაიკითხონ, ზოგმა იმღეროს და ზოგმაც კიდევ იცეკვოს.

მაყვალას სახე გაუბრწყინდა. შემდეგ მაიას გადახედა და ისევ მოხუცს მიუბრუნდა:

– მართალია, მართა ბებო, ვისაც რა შეუძლია, ის უნდა გააკეთოს. ზოგი თავის დაწერილ ლექსს წაიკითხავს, ზოგიც იმღერებს...

– ჰოდა, შვილო, მეც მაგ საქმეზე გეახელით. მართალია, ხშირად აღარ ვმღერი, მაგრამ ახალგაზრდობაში გიტარასაც ვუკრავდი და, სოფლის პირობაზე, კარგადაც ვმღეროდი, – გააგრძელა მოხუცმა ლაპარაკი და თან მაყვალას მიშტერებოდა მაყვალივით შავ თვალებში.

– რა ხდება, მართა, დავიჯერო სცენაზე მოგინდა ახლა შენ შენი გიტარით სიმღერა? – ჩაეკითხა ქალბატონი იზო.

– ბებო, მართლა სცენაზე გინდათ იმღეროთ? – ვეღარ შეიკავა თავი მაიამ და მოხუცის პასუხს არც დაელოდა, სიცილი წასკდა.

დაბნეული მოხუცი ხან იზოს უყურებდა, ხანაც გაცინებულ მაიას. შემდეგ გაუხეშებულ, მომჭკნარ ხელებზე დაიხედა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. მაყვალამ არც აცია, არც აცხელა, ისე დაუყვავა და უთხრა:

– სიამოვნებით, ქალბატონო მართა, თუკი თქვენ სურვილი გაქვთ იმღეროთ, იმღერეთ!... ჩვენ ძალიან გაგვიხარდება!

მართამ ბედნიერი სახით მაყვალას შეხედა და გახარებულმა უთხრა:

– მაშ, მამღერებთ, შვილო?! უარს არ იქნებით?!

– არა, მართა ბებო, რა უარს... პირიქით, სიხარულით გელოდებით! მონაწილეთა სიაშიც შეგიყვანთ. აბა, თქვენ იცით! – კვლავ გაუმეორა მაყვალამ.

გახარებული მართა სკამიდან თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოდგა. იქ მყოფთ გახარებული გამოემშვიდობა, ჭიშკრისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა და იქაურობა სწრაფად დატოვა.

იზო გაღიმებული გაჰყურებდა მოხუცს, შემდეგ გოგოებს მიუბრუნდა და უთხრა:

– მადლი ჰქენით, საწყალ ქალს გული გაუხალისეთ. ისეთი ლამაზი გოგო იყო. მე ბევრად უმცროსი ვარ, მაგრამ მაინც კარგად მახსოვს. ისეთ კარგ ბიჭებს უნდოდათ მისი შერთვა, მაგრამ არ გათხოვდა. ორი ობოლი ძმისშვილი გაზარდა. არაფერს აკლებდა. თავისი თავი არასოდეს ახსოვდა. იმათი ცხოვრებით ცხოვრობდა. ისინიც ნიჭიერები გამოდგნენ. ორთავე თბილისში ცხოვრობს და მშვენიერი და კარგი ცხოვრება მოიწყვეს... ეს საცოდავი სულ მათ გზას გაჰყურებს, იქნებადა გამოჩნდნენო. წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვლენ, ისიც, სააღდგომოდ, მშობლების საფლავზე გასასვლელად, თორემ ამ საცოდავი მართასთვის ვისა სცალია?! ან ამაზე ვინ ფიქრობს?! არის ასე მარტო, მეზობლების ამარა.

იზომ ხელი ჩაიქნია და თავის ქნევით შინ შევიდა. გოგოები უხმოდ გარინდული ისხდნენ და თავისდაუნებურად დახურულ ჭიშკარს მიშტერებოდნენ.

***

ზაფხული იყო, მაგრამ საკმაოდ ღრუბლიანი და მოღუშული გახლდათ კახეთის ულამაზესი სოფლის, არბოშიკის ცა. მიუხედავად ამისა, ჟრიამულით, ხმაურით, შეძახილებით, ხალისითა და სიხარულით გაივსო სოფლის კულტურის სახლის ძველი დარბაზი. სოფელი ზეიმობდა. პოეზიის საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჭარმაგი თუ ახალგაზრდა... ქალი თუ მამაკაცი... ლექსის მთქმელებს – მომღერლები... მომღერლებს – მოცეკვავეები. ერთი სიტყვით, მხიარული და საამო შაბათი გაუთენდა შუაგული კახეთის კოპნია სოფელს... საღამო სოფლის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს, გულნარას მიჰყავდა. ორმოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ქალბატონი, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი იყო. ყელიც ლამაზად და ამაყად მოეღერა და ისე აცნობდა ყოველ გამომსვლელს იქ დამსწრე საზოგადოებას... მართა, რომელიც სულმოუთქმელად ელოდებოდა ამ დღეს, საგანგებოდ გამოწყობილიყო. თავისი ყმაწვილქალობის დროინდელი მუქი წითელი ფერის ატლასის კაბა ჩაეცვა, რომელიც სამი ზომით დიდი მაინც ექნებოდა, თუ მეტით არა. ფეხებზეც მისი ახალგაზრდობის დროინდელი, სათუთად და საგანგებოდ შენახული შავი ლაკის „ბასანოჩკები“ წამოეცვა, რომლითაც ძლივს მიბაკუნდა დარბაზამდე და, რაც მთავარია, ჭაღარა თმა საგანგებოდ დაეწნა და ნაწნავის ბოლოზე ლამაზი წითელი ფერის ბაფთა დაემაგრებინა... იჯდა მართა დარბაზის ბოლოში თავის ძველ გიტარასთან ერთად და სულმოუთქმელად ელოდებოდა, როდის მოუხმობდნენ სცენაზე...

საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც დარბაზის წინა რიგში მსხდომი მაყვალა და მაია კულტურის სახლის დირექტორის, ნოშრევანის თხოვნით ცოტა ხნით გარეთ გავიდნენ... ნოშრევანმა გოგონებს ყელგამოწევით სთხოვა:

– საღამოს დამთავრების შემდეგ, ძალიან გთხოვთ, არსად წახვიდეთ! რაიონის ცენტრში, რესტორანში ცოტაოდენი პატივი გვინდა გცეთ...

გოგონები შეიშმუშნენ. მაიამ სწრაფად უპასუხა:

– ჩვენ სტუდენტები ვართ. უბრალოდ, ქართულ პოეზიას და ფოლკლორს დიდ პატივს ვცემთ, ძალიან გვიყვარს.

– ჩვენი მომავლისათვის აუცილებელია და, თანაც, ჩვენ თვითონაც ლექსებს ვწერთ. დამწყები პოეტები ვართ, – მიეშველა მაყვალა.

– გასაგებია, ჩემო კარგებო, მაგრამ ჩვენც მოგვეცით ნება, რომ ეგ თქვენი თავგამოდება და მონდომება დავაფასოთ, – არ ეშვებოდა ნოშრევანი.

ნოშრევანს რამდენიმე სოფლის პედაგოგი ქალბატონიც შემოუერთდა და, ბოლოს, ყველამ ერთად შეძლეს გოგონების დაყოლიება...

გოგონები დარბაზში როდესაც დაბრუნდნენ, საღამო დაემთავრებინათ. მაყურებლები წამოშლილიყვნენ და დარბაზს სტოვებდნენ. როდესაც დარბაზი დაცარიელდა და მაიაც საღამოს წამყვანთან ერთად საუბარში გართული გარეთ გავიდა და, ის იყო, მარტოდ დარჩენილი მაყვალაც, ტოვებდა იქაურობას, უცებ სცენიდან გიტარისა და ხმადაბალი სიმღერის ხმა შემოესმა. გოგონა სცენისკენ მიტრიალდა და გაშრა, გაფითრდა, ცივმა ოფლმა დაასხა. სცენაზე წითელკაბიან და ბაფთიან მოხუც ქალბატონ მართას ხის მოკლე სკამი დაედგა, ზედ საცოდავად ჩამომჯდარიყო და ძველი გიტარით ხელში თავისთვის მღეროდა:

კამელია, კამელია,
სიყვარული გამელია,
ამდენ ტანჯვას და წამებას,
საწამლავი დამელია.

გაოგნებული გოგო უყურებდა მართას და ყელში ბურთი მოებჯინა. თავი მაინც ვერ შეიკავა. მაყვლისფერი თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა და სცენაზე ავიდა. მოხუცს მიუახლოვდა, იქვე ჩაიცუცქა და სახეში შეხედა... მართამ სიმღერა შეწყვიტა, გოგოს შეხედა და ნაღვლიანი ხმით თავისთვის ჩაილაპარაკა: „მართა, მართა, ეს რა დაგემართა“. შემდეგ მაყვალას ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– ვიცადე, ვიცადე, მაგრამ არ გამომაცხადეს.

მაყვალა ქალს მოეხვია და თვითონაც ჩურჩულით უპასუხა:

– ნამდვილად იყავით სიაში, ჩემი ხომ გვჯერათ!

მართამ ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა:

შენი მჯერა, მაგრამ გულნარამ არ გამომაცხადა.

ნირწამხდარმა გოგომ კვლავ სცადა მოხუცის დამშვიდება:

– შემთხვევით გამორჩით, ალბათ, თორემ, როგორ არ გამოგაცხადებდათ?!

გოგომ მოხუცს ხელი მოხვია და გარეთ გამოიყვანა. სოფლის მოსახლეობა ჯერ ისევ იქვე, ეზოში იყო, როდესაც მაყვალამ ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაიწყო ლაპარაკი:

– თუ შეიძლება, ყურადღება მოგვაქციეთ, მართას მოვუსმინოთ ყველამ. ის ჩვენთვის მღერის, გულით მღერის და გულით ვუსმინოთ.

ყველანი მოტრიალდნენ და დიდი წრე შემოარტყეს წითელკაბიან მართას. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ, რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო იქ მყოფთათვის. ამასობაში წვიმის წვეთებმა დაიწყო წკაპა-წკუპი. მართამ მაყვალას შეხედა და ჩუმად ჰკითხა:

– რა ვიმღერო, ისევ კამელია?

მაყვალამ ღიმილით უპასუხა:

– არა, კამელია არა, სხვა რამე იმღერეთ.

მართამ თავი მაღლა ასწია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– კარგი, მაშინ „მაგნოლიას“ ვიმღერებ. კამელიას მაგნოლია მირჩევნია.

მაყვალამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მართამაც გიტარას ხელი ჩამოუსვა და ხმის კანკალით დაიწყო:

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე
ქარებს აყოლია
და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მიწას დაჰკონვია,
ისე გული ჩემი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა,
არ ვახსოვარ, ალბათ, არ ვახსოვარ, ალბათ,
ჩემო მაგნოლია...

წვიმამ იმატა. მართას ხმას წვიმის წვეთების ხმაც შეუერთდა და წვიმის ხმასთან შეზავებული და შეხმატკბილებული მისი სიმღერა: „როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია“, ისე ისმოდა, როგორც მძინარე, ჩვილი ბავშვის სუნთქვა ისმის ჩაძინებისას...

***

– ეგ ლამაზი თეთრი სახლი მართას ძმის შვილიშვილმა ააშენა. თვითონ ამერიკაში ცხოვრობს ოჯახით. წელიწადში ერთხელაც არ ჩამოდიან... მართა, სანამ ცოცხალი იყო, საცოდავად, ქვითკირის სახლში აცხოვრეს. როგორც კი გარდაიცვალა, არიქა, სასწრაფოდ სასახლე წამოჭიმეს, ვითომდა, მამითადი არ დავკარგოთო. ნეტავ კი რად უნდათ? სახლის მომვლელი ჰყავთ აყვანილი, კარგადაც უდიან, – ეუბნება ხანში შესული დედა, ქალბატონი იზო, მაყვალას...

ორი მეგობარი ქალბატონი, მაყვალა და მაია კი სადილად გაშლილ სუფრას მისხდომოდნენ... მაყვალა, გონებაში, მისდაუნებურად, იმეორებდა: „კამელია, კამელია, სიყვარული გამელია...“

ისადილა თუ არა, ადგა და გარეთ, ეზოში გავიდა. ხარბად გადახედა იქაურობას. ხვალ ისევ თბილისში უნდა დაბრუნდეს... ისევ ოჯახი, ისევ სამსახური, ისევ ყველაფერი თავიდან... იდგა და გაჰყურებდა კახეთის შუა გულში, მის მამითადში, ლამაზ ეზოში, ლამაზად გაშლილ ვარდისფერ ვარდებს. ირგვლივ დიდებული სურნელი ტრიალებდა... ბალახზე თეთრი ზეწარივით მოფენილ გვირილებს კი ფუტკრების მთელი გუნდი შესეოდა და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ მათი ბზუილიღა ისმოდა...

ჯანსულ კორძაია

თმოგვთან

რა ფესვებს და რა სიღრმეს და რომელ
სიმაღლეებს ეძებ,
რა ხილვას და რის ჩაწვდომას ელტვი
უსაზღვრობის გზებზე?

ნანგრევები თმოგვის ბურჯია,
ვნება - ჩაკირული კლდეში,
ჟამი სუნთქავს ულურჯესი ზეცის
უმარჯანეს მზეში.

ჰა, ფესვებიც, აჰა, სიღრმეც
და სიმაღლეც
უსასრულო,
შეხედე და შეიგრძენი
და შეიცან,
ჩაწვდი
სულო!

ოქროს ციხიდან

(საქართველოს)

ცხადია – რით და როგორ გადარჩი,
ისიც ცხადია – რისთვის გადარჩი.
... ოქროს ციხიდან ელვარებს ზარზმა
და მზე ლოცულობს ზარზმის ტაძარში...

ზეცა იღვრება ჩორჩანის თავზე,
მესხეთის მთები იწვის ქარვაში...
... მე უკვე ვიცი – რისთვის გადარჩი,
და ისიც – რით და როგორ გადარჩი.

***

გასძელ!
გადურჩი ცეცხლსა და დელგმას,
მირიად ხანძარს ელდის და მეხის
და გასძელ,
რადგან მაღალ სულს შენსას
უნდა შეექმნა პოემა ვეფხვის.

ცოცხლობ!
მიდიხარ და მიაბიჯებ,
გზებზე გინთია უსაზღვროება,
და სულ გაუძლებ დროის ქარიშხლებს,
რადგანაც შეჰქმენ ვეფხვის პოემა!

გამხმარი ხე სადგერის

წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში

გამოფიტული და დაშაშრული,
ათასი წლების მზით და ქარებით,
დგას ქვადქცეული და გაქარჩხული,
დგას უხმო ცრემლით და მწუხარებით.
მაინც დგას!
მაინც!
და მზიურ ფერებს
გახსნილი ზეცა კვლავ აღვრის გულზე,

ზაალ ებანოიძე

ვბასთუმანი

მკერდის ხიხინი თუ ხეობის ბოყვი ხმაური,
ტანში სიცხე და ტყეში – გირჩები;
მინდა თუ არა, სანახევროდ, ვარ აქაური
და ათასებში ამის გამოც გამოვირჩევი.

მო, გაზაფხულო, შუბლზე გრილი შემახე ხელი
(ზამთრის ქარები მეყო სასჯელად),
და მომაწოდე ჭალებიდან მწვანე რტო თხმელის,
თერმომეტრივით იღლიაში ამოსაჩრელად.

ამონარიდი პოემიდან

„წყალგაღმიდან მოინერე“

გაფრთხობს ჩქამი უნდობარი, ხმა ჩამცხრალი ნაკადულის,
ველურობა ბუნდოვანი, თავისთავში ჩაკარგული,
თავისთავში ჩაძირული უღრანები ზამთარს ელის,
შიმშილისგან განწირული აყმუვლდება სადღაც მგელი.
ხუთზე მეტი ათეული წლების მერე მახსენდები –
დახვალ მართლა მთვარეული – თან შრები და თან სველდები.
სივრცე არის ბაიყუში, თუ სიცოცხლემ ხმა გაკმინდა,
ჩაიკეტა კარი გულში – არაფერი აღარ გინდა.
ჩირგვი, წითლად მობარბარე, მზერას ტკივილს მიაყენებს –
გაგონდება, მოკანკალემ – ქარს ლეკერტი მიახველე.
სიცხიანი ღამეც გახსოვს, განა ერთი ანდა ოცი,
და ძლივს მობრუნებულ სასო-ლანდს მორჩილად გადაკოცნი.
ჟამი, ჟამი კლინიკური – თვლემა ფეხზე პალატების,
დამფრთხალი და ირიბული მზერა ჭარბად ანანთები.
კარმელს შუშა გაუტეხავს, ასათიანს – თერმომეტრი,
„ვინ დამძრახოს, ჰაი დედა – ჩავიდინო მე რომ მეტი“.
დილის ათი საათია. შუქი ცვრიან მინდორს მოყვა.
უძილარი გაათია ღამე პავლე ინგოროყვამ.
კედელ-კედელ ღამის თოში, სარკმელ-სარკმელ ჭირხლი დილის,
ამ გაყურსულ გარემოში თვლემს რამდენი ქარტეხილი.
ლექსს ვუკითხავ ლებანიძეს, ლექსს ვუკითხავ აბულაშვილს –
ძველ ტკივილებს შეაღვიძებ, სამყაროში საკუთარში.
ქავთარაძე თამუნიას, ანდა ციცო ზვიადაძეს,
თვალწინ ბევრჯერ ჩაუვლიათ, ცრემლით გამბალ ნიადაგზე.
სხვებიც, სხვებიც გიდგას თვალში, გახსოვს ბევრის გვარ-სახელიც –
მოყოლილი იმ წარღვნაში, დღეს ლოცვაში გასამხელი.
ხუდადოვის „დაჭრილ დათვებს“, ზაფხულობით აქ ეძინათ,
სიზმარში რო გითხრეს – „გაძლებ!“ – ცხადში მწარედ გაგეცინა.
ილამბება ამ სიცილის ირონიულ ათინათით,
ბავშვობიდან დაატარებ „ჰიპოკრატეს „ტრაგედიას“...
დახვალ, ხალხის გერიდება – თითქოს რამე ბრალი გადევს,
ვერ უხერხებ ხელის ხლებას უსხეულო ბარიკადებს.
იქით-აქეთ სხვა ჟამია, სხვა ჭალის და მთის მოლია,
წამიც კმარა – გადაიარს თვალზე მთელი ისტორია.
აქ „აკაკის ნაძვი“ ხარობს, გული ითხოვს – ხატო ნებით,
დგას სასახლეც მოწითალო, რუსი იმპერატორების.

ოცხესა და ყანობილის საზიარო განთიადი.
სენი, სენი გადამდები, პირის მორიდებას ითხოვს
და ქმნის თეთრი ხალათები ცოტა შიშს და ცოტა სითბოს.
მკერდის ხიხინს აყურადებ, პერანგს სიმწრის ნამავს ხვითქი,
თავს შიგნიდან აგულადებ, გარედან რო მაჯას ითვლი.
რწმენამ ძალა შეიძინა – შუქმა გადანონა ჩრდილი –
რწმენამ არჩილ მხეიძის და თომა იაკოფაშვილის.
მაინც გესმის შინაურთა: – „მძიმე ტვირთი არა ზიდო!“,
ხელში მოგიშინაურდა „ზეკარი“ და „არაზინდო.“
ცრემლი! ცრემლის ღალა თვალებს! სადაც ცრემლი აგეთია –
წაქცეულა ობელისკი, ტანზე ხავსი მოდებია
მოუხურავს ღობეს ნისლი თუ წაყრილი ლოდებია.
ფერდობ-ფერდობ – ძახველები, გაძეძილი ქარში თმები,
გახსენდება მნახველების ნუგეშები მაშინდელი:
არ ებადათ რაც რო თავად, შენთვის უნდა შეეძინათ –
თან სახეზე საცოდავი ღიმილები შეერჩინათ.
ნაბიჯ-ნაბიჯ... გზაა ხრეშის – დაჭიმული რამე სიმი,
ტყე-ტყე ცივი ქარი ხვნეშის, თუ მოთქმაა კლავესინის.
მზე შემოდგა მახვილოზე, საფრიეთიც ინაწილებს,
სიზმარ-სიზმარ დათვი მოგსდევს თუ ხის ჩრდილი მიგაცილებს.

ლიანა სარიშვილი

დროვ, „ქვის სროლისა“

აქ შეეზვირთა ჩემს სულს წარსული,
კლდეს შეხიზნულა ბიჭი „ხიმშია“,
დროვ, „ქვის სროლისა“, აღარ დასრულდი?!–
მტერი უომრად არ გაგიშვია!

აქ ადევგმირე შალვაც, ივანეც,
კაცურკაცობის დასდგი კარავი,
გზა ასაპყარე, ხმლით დაივანე,
არ დაგრჩენია ისე არავინ!

აქ ხერთვისია და შორს ზუალი,
აშატბერდებდი ვიცი განთიადს,
შენ არასოდეს გითქვამს უარი,
ჩემსავით ოშკი არ გინატრია!

აქ რუსთაველის სუნთქავს კალამი,
ციცქნა ამბორიც რომ ვერ ეღირსა,
დაკარგულ ტაძრებს დასცქერის ღამე,
მზეს ასახჩრებს კვნესა მესხისა!

უცხო მიწაზე ვიმშრალებ ცრემლებს,
დროვ, ულმობელო, ასე მშვიდი ხარ?
მტკივა წარსული, გზას ვერ ვაგრძელებ,
მინდა ვიარო და ვერ მივდივარ!

როგორ შევხედო ოშკსა და ხახულს,
გული საგულეს როგორ დავტოვო?
ათასჯერ ნათქვამს, ათასჯერ ნახულს!
ვერ დავივიწყებ, ჩემო ბატონო!

აქ შეეზვირთა ჩემს სულს წარსული,
კლდეს შეხიზნულა ბიჭი „ხიმშია“,
დროვ, „ქვის სროლისა“, აღარ დასრულდი?!–
მტერი უომრად არ გაგიშვია!

რა დრო გასულა ..
რა დრო გასულა კოლხეთიდან რუსთაველამდე,
რა ეპოქები გვიწერია წმინდანთა სისხლად,
რა გოლგოთის გზა გაგვივლია რუსთა ჭერამდე
და რა სამოთხე დაგვიკარგავს სულ
მისხალ-მისხალ...

სულ მისხალ-მისხალ სულს აჩნია
უღვთო წყლულები,
ბებერი ტაოს გაყიდული შვილები სდუმან,
ხოდაბუნები, დედის ცრემლით გადარწყულები,
მეწყრად შთანთქავდნენ, „იქედნელებს“ განძრახ-
ვის უმალ.

და ვინც დათალხა ლაჟვარდოვან ცათა სიმაღლე,
ვინაც ქვითკირი გადგვიქცია ნამჯად და ისლად,
ვინც ვერ აფასებს სულის სიმაღლეს,
სამაგიეროს გადაიხდის, სულ მისხალ-მისხალ...

და თუ ოდესმე მოქიშპენი შეგეხებიან,
იმ უსიცოცხლო, გაყინული, უძარღვო ხელით,
შოთას გენია უმამაცესთ უხმობს რაინდებს,
ვერას დაგაკლებს მუმლი, თუნდაც აურაცხელი!..

რამდენი რამე
რამდენი ცრემლი, სისხლდათხევით გვიზავებია,
მესხური ოდის დანაცრულა ყველა სარკმელი,
რამდენი რამე მტრის ღალატით დაგვვიწყებია,
და ვეღარ გვითქვამს, რაც მთავარი იყო
სათქმელი!

და, ჰა გათენდა, – სამართლის ხემ მადლი მოისხა!
მზე ნატაძრალი ლოდებიდან გამოპარულა,
დუმანყოფილი ინანიებს სულ მისხალ-მისხალ,
მიწამ სამცხისა, – ამ ცხელ მიწამ ისასწაულა.

მესხეთის მიწავ, ცრემლდათხევით გეამბორები,
გულს ამოვიკვეთ სხვა ოშკსა და სულ სხვა
არძიას,
მესხურო სულო, აღარავის დაემონები,
ათასწლეულმა მაცხოვარად გადაგაქცია.

შავლეგოს სისხლმა ისევ იყივლა

შავლეგოს სისხლმა ისევ იყივლა,
ეყოს, რაც ტაომ თურქეთს უხასა,
მე ხონთქრის შუბით მომკლეს ფოცხოვზე,
სიმღერ-სიმღერით – „მუმლი მუხასა“!

მე ვაზის პწკალში ვსუნთქავდი კრძალვით,
და ვირწყვებოდი წინაპართ სისხლით,
მწვავდნენ და ვწვავდი, მკლავდნენ და ვკლავდი,
და თავზე ლაფი არ გადავისხი.

ვცისარტყელობდი ათასი ფერით,
ტაძრის გუმბათში ვახელდი თვალებს,
ქვას ვამღერებდი რწმენით და თმენით,
ღმერთო, რამდენჯერ გარდავიცვალე!

ვთორნიკობდი და მთავარვსარდლობდი,
ვნახე ოსმალოც, მონღოლთა ყულფიც,
მშანთავდნენ, მგლეჯდნენ, მწამლავდნენ,
მსპობდნენ,
მაინც გადავრჩი, წყალობით უფლის!

შიშველი ხელით ვკვეთდი ვარძიას,
და ვლოცულობდი ლოცვით შავთელის,
მე მიომია და მიღვაწია,–
ღმერთო, რამდენი ტანჯვით გავძელი!

შავლეგოს სისხლმა ისევ იყივლა,
ეყოს, რაც ტაომ თურქეთს უხასა,
მე ხონთქრის შუბით მომკლეს ფოცხოვზე,
სიმღერ-სიმღერით – „მუმლი მუხასა“!

ჩემი მესხეთი მხოლოდ ჩემია

ჩემი მესხეთი მხოლოდ ჩემია,
წინაპართაგან ეს დამრჩენია,
უფალო, ღმერთო, მესხი მარტოდენ
გმირულ ბრძოლისთვის გაგიჩენია.

ჩემი საფარა, ჩემი ვარძია,
ციხე რაბათის, ზარზმის სვეტები,
რწმენა მომავლის, სულის განძია,
მტრისთვის აროდეს გასამეტები!

ჩემი მესხეთი მხოლოდ ჩემია,
წინაპართაგან ეს დამრჩენია,
უფალო, ღმერთო, მესხი მარტოდენ
გმირულ ბრძოლისთვის გაგიჩენია.

მზე ვარძიას მიბრძანდება

მზე ვარძიას მიბრძანდება,
მზე მესხური მსგავსი ღმერთის,
მეწამული, ნაწამები
გზები უმზერს ცას და ხერთვისს.

„მშობლიურო ჩემო მიწავ!“
მოვკვდე, თუკი ვერ დაგიცავ,
ხმლები ბრძოლით გვიცვეთია,
მთები სისხლით გადაგვირწყავს.

მზე ვარძიას მიბრძანდება,
მზე მესხური – მსგავსი ღმერთის,
მეწამული, ნაწამები,
გზები უმზერს ცას და ხერთვისს.

შოთა რუსთველი დუზჯეში

ნესტან სულავა

2016 წელი UNESCO-ს მიერ შოთა რუსთველის წლად იყო გამოცხადებული. შარშან ეს საიუბილეო თარიღი დამოუკიდებელ საქართველოს არც დასტყობია. რამდენიმე უნივერსიტეტში ჩატარდა სიმპოზიუმები და კონფერენციები; ტრადიციულად, სამცხე-ჯავახეთმა პატივი და სიყვარული არ დააკლო პოეტს, რომელიც სრულიად სამართლიანად მიიჩნევა საქართველოს კულტურულ სავიზიტო ბარათად. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, ვფიქრობ, ჩვენთვის, – ქართველი ერისთვის, საქართველოსთვის, – საჭირო და აუცილებელი იყო სახელმწიფოებრივ დონეზე, მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, შოთა რუსთველის იუბილეს აღნიშვნა. ეს ხომ მსოფლიოსათვის ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი კულტურის კიდევ ერთხელ წარდგენის ცდა იქნებოდა. ქართველ ერს არასოდეს დაავიწყდება ტოტალიტარულ სახელმწიფოში გადახდილი შოთა რუსთველის ორი იუბილე: „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილი და შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეები თავიანთი გრანდიოზულობით, ყოვლისმომცველობით, მასშტაბებით, რის გაცნობაც ახალ თაობას იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან, დოკუმენტური ფილმებიდან, სხვადასხვა ტიპის სტატიებიდან შეუძლია. ამ გულისტკივილის აღნიშვნას რამდენიმე საფუძველი აქვს, თუმცა ამ სტატიაში მასზე მსჯელობას არ ვაპირებ. მინდა მხოლოდ დუზჯეში გამართულ შოთა რუსთველის დაბადების 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე ვისაუბრო.

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ დუზჯეში, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა არსებობს, შარშანვე ჰქონდათ გადაწყვეტილი შოთა რუსთველის დაბადების 850 წლის იუბილეს აღნიშვნა, მაგრამ სახელმწიფოში შექმნილი რთული ვითარების გამო ეს განზრახვა დროებით ვერ შესრულდა. წელს, 2017 წლის 12-14 მაისს ეს საიუბილეო სიმპოზიუმი ჩატარდა, რომლის ინიციატივა დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ **ნიგარ დემირჯან ჩაქართან** *ერთად ქართველ მეცნიერებს ეკუთვნოდათ. საერთაშორისო სიმპოზიუმის წარმართვაში მთავარი როლი იკისრეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა, ქართველმა ქალბატონებმა, თურქოლოგმა* **ნანა კაჭარავამ**, *ქართველოლოგებმა* **მაკა სალიამ** *და* **შორენა ლომაიამ**, *წარმომავლობით დუზჯელმა ქართველებმა, ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელმა* **ალი ერთუღრულმა** *და* **ფევზი ჩელებმა**, *რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს, რათა სიმპოზიუმი წარმატებული ყოფილიყო. სიმპოზიუმის წარმართვაში უდიდესი როლი შეასრულა ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტების აქტიურმა მონაწილეობამ. სიმპოზიუმის ორგანიზებასა და მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სტამბოლის, დუზჯესა და ინეგოლის ქართული კულტურის ასოციაციები, თურქეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველები. სიმპოზიუმზე ირანიდან სტუმრად იმყოფებოდნენ ფერეიდნელი ქართველებიც, რომელთაგან ისტორიკოს* **საიდ მულიანს** *ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, ხოლო მხატვარი* **ელენე იოსელიანი** *თავისი მხატვრობით სიმპოზიუმის აღმოჩენა და სიამაყე იყო.*

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ადვილი არ იყო თურქი კოლეგებისათვის შოთა რუსთველის პოემის სიდიადის ახსნა და სიმპოზიუმის ჩატარების აუცილებლობაში დარწმუნება, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანი, ჩვენი თურქოლოგების დაკვირვებით, მაინცდამაინც სიზუსტითა და პოეტურობით არ გამოირჩევა. თუმცა ჩვენმა დუზჯელმა ქართველმა კოლეგებმა ეს შეძლეს და წარმატებითაც გაართვეს თავი ამ ძნელად აღსასრულებელ საქმეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ***ამჟამად ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა თურქეთის ოთხ უნივერსიტეტში არსებობს: დუზჯეს, არტაანის, რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანისა და ყარსის კავკასიის უნივერსიტეტებში***, *სადაც ქართველი მეცნიერები და პედაგოგები ასწავლიან. დუზჯეს უნივერსიტეტში კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილება ამჟამინდელი რექტორის,* **ნიგარ ჩაქარისა** *და მისი წინამორბედი რექტორის, ქალბატონ* **ფუნდა სივრიკაია შერიფოღლუს** *ინიციატივით გაიხსნა. ჯერ ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებები ჩამოყალიბდა.*

სიმპოზიუმი საზეიმოდ გაიხსნა 12 მაისს. უნივერსიტეტში მისულ სტუმარ-მასპინძლებს საკონფერენციო დარბაზის ფოიეში სასიამოვნო მოულოდნელობა დაგვხვდა: დუზჯეს ქართული კულტურის ცენტრმა ქართული ეროვნული სამოსელი გამოფინა, საგამოფენო სივრცე დაეთმო შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს ქართულ და უცხო ენებზე, სხვა ქართულ წიგნებს, რომლებიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება, ცალკე სტენდზე იყო განთავსებული დუზჯელი სტუდენტების მიერ ქართულად კალიგრაფიულად გაფორმებული აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“, ფერეიდნელი ქართველი მხატვრის, ულამაზესი ახალგაზრდა ქალის, **ელენე იოსელიანის** *მიერ შესრულებული ხეზე ამოკვეთილი და ლაქით მოჭიქული „ვეფხისტყაოსნის“ ფერადი ილუსტრაციები, რომელთა ხილვისას შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ტიხრული მინანქრის ნიმუშებია წარმოდგენილი. სტენდზე წარმოდგენილი იყო შოთა რუსთველის ბარელიეფური გამოსახულება. „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებსა და თემებზე შექმნილი ილუსტრაციების, კომპოზიციების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, „ქალმან მისცნა მარგალიტი“..., „შიგან ასრე გავერივე“..., „აწ საყვარელსა მიუწერს“..., „რა მივაჭირვე“..., „ხრმალ-გამოწვდილი“... ილუსტრაციების მხატვრული და ტექსტის ინტერპრეტირების შეფასება მომავლის საქმეა, მით უფრო, რომ ელენე იოსელიანი ილუსტრაციებზე მუშაობის გაგრძელებას აპირებს. სიმპოზიუმის მონაწილეებს დახვდათ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების აწკარედული თარგმანი, რომელიც საგანგებოდ ამ ფორუმისთვის მოამზადა და თარგმნა თურქოლოგმა* **ნანა კაჭარავამ**.

სიმპოზიუმი საზეიმოდ გაიხსნა **მონაწილეებს** *მისასალმებელი სიტყვით მიმართა* **უნივერსიტეტის** *რექტორმა, პროფესორმა* **ნიგარ დემირჯან ჩაქარმა**, *ქართველ და ჩერქეზ მუჰაჯირთა შთამომავალმა, რომელმაც შესავალი სიტყვა* ***თავისი ქართული ფესვების გახსენებით დაიწყო და განაცხადა, რომ ის ქართველია***, *მისი წინაპრები დიდი ხნის წინ გადავიდნენ თურქეთში, ტანჯვა-წამებით აღსავსე ცხოვრება განვლეს, ვიდრე თავიანთ ადგილს მოიპოვებდნენ და ახალ სამყაროში დამკვიდრდებოდნენ. მათ ეს შეძლეს და დღეს დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორი თურქეთის მოქალაქეა, რითაც სამართლიანად ამაყობს, მაგრამ თავისი ფესვებიც არ ავიწყდება. საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა თურქეთში ბატონმა* **ირაკლი კოპლატაძემ** *სიმპოზიუმის მეცნიერულ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ღირებულებაზე ისაუბრა, მადლობა გადაუხადა დუზჯეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ქართული კულტურის პოპულარიზაციის კუთხით განეული ძალისხმევისათვის და აღნიშნა, რომ დუზჯეს უნივერსიტეტი, სადაც უკანასკნელი წლების განმავლობაში სამი ქართველი პროფესორი პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, საერთაშორისო მასშტაბით ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელ ავტორიტეტულ ცენტრად იქცა. მეტად შთამბეჭდავი იყო ელჩის მიერ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ ნათქვამი სიტყვა, რომელიც შოთა რუსთველის ცნობილი სტროფით დაასრულა და ამით დუზჯეში მცხოვრებ ტომით ქართველთა ხვედრს შეეხმიანა:*

„ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა,
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი საფიდ ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“.

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ თურქეთისა და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების, სამეცნიერო წრეების, საქართველოს საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლები, ფერეიდნელი ქართველები ირანიდან.

სიმპოზიუმის ფარგლებში მუშაობდა 9 სექცია: ,,ვეფხისტყაოსანი“ – მსოფლიო ლიტერატურის შედევრი; „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგია; „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა; „ვეფხისტყაოსნის“ თემატური მოტივები; „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა; „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ისტორია; ,,ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები და სხვ. სიმპოზიუმზე 40-მდე სამეცნიერო მოხსენება იქნა წაკითხული, რომლებიც ეძღვნებოდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას და თამარის ეპოქას, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ და ენობრივ სამყაროს, პოემის თარგმანებს. რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე წაიკითხეს მოხსენებები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე საინტერესო იყო საქართველის უნივერსიტეტების პროფესორების – ტარიელ ფუტკარაძის, როინ ყავრელიშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, გიგა ქამუშაძის, რევაზ შერიზიას, ლუკა დვალიშვილის, ნესტან კუტივაძის, თამარ ხვედელიანის, როზეტა გუჯეჯიანის, შორენა ლომაიას, ინგა არონიას, მანანა სანაძის, რამაზ ხალვაშის, საიდ მულიანის, თურქეთის უნივერსიტეტების პროფესორების – იუსუფ ზია ქავაქჩის, სულეიმან ულუდაღის, ჰუსეინ შაჰინის, ფევზი ჩელების, ფაიტჰ ოზჩელიქის, ალი ერთუღრულის, მურატ კასაპის, მეთე ჩანის, აბდულაჰ თათაროღლუს, ერგინ ერენოღლუს, გონენჩ ოკჩანის, ოსმან აითექინის, ნანა კაჭარავას, მაია კიკვიძის, რუსუდან საღინაძის, მაკა სალია-ბეშიროღლუს, თურქი მწერლის ილჰან აკინის მოხსენებები. დუზჯეში ლექციებს კითხულობენ ჩერქეზი ქალბატონები მირა კაჩემიზოვა და მირა უნაროკოვა, რომლებმაც თბილისში დაამთავრეს ასპირანტურა, აქ დაიცვეს დისერტაციები და ქართულადაც საუბრობენ; მირა უნაროკოვას მოხსენების თემა იყო „ვეფხისტყაოსანი“ ევრაზიის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში“, ხოლო მირა კაჩემიზოვას მოხსენება შეეხებოდა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ადიღეურ თარგმანს. შთამბეჭდავი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ **მარიკა ოძელის** *მოხსენება უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლების შესახებ.*

დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორისა და ქართველ პედაგოგთა თხოვნით, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებისათვის, მოხსენების გარდა, სიმპოზიუმში ჩართული იყო ჩემი საჯარო ლექცია თემაზე: „ვეფხისტყაოსანი“ – მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“. საჯარო ლექციის წაკითხვაზე ადრევე შევთანხმდით და სალექციო მასალის ორი ვარიანტიც მქონდა გაგზავნილი, ვრცელი და მოკლე, მაგრამ აუდიტორიის წინაშე მდგარი მივხვდი, რომ არც ერთი ვარიანტი არ გამომადგებოდა, ამიტომ ძირითადად ტექსტის ინტერპრეტაცია გადავწყვიტე, რამაც გაამართლა. ლექციას სტუდენტებთან ერთად ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი **ნიგარ ჩაქარი**, *მუსლიმური თეოლოგიის სპეციალისტები, პროფესორები* **იუსუფ ზია ქავაქჩი**, *რომელმაც ამაყად განაცხადა, რომ წარმოშობით ქართველია და მის წინაპრებს უტარებიათ გვარი* **ჭიშკარიშვილი//ჭიშკაროღლუ**, **სულეიმან ულუდაღი**, **ფევზი ჩელები**, *უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლები, აგრეთვე, ქართველი მეცნიერები. უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო ქალბატონ* **ნანა კაჭარავას** *მიმართ, რომელმაც ჩემი მოხსენება თურქულ ენაზე საოცარი სიზუსტით თარგმნა და ყველასთვის გასაგები გახადა, რაშიც ზემოხსენებულ პროფესორთა სამადლობელმა სიტყვებმა დამარწმუნა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მათ შოთა რუსთველის, რუსთველოლოგიური პრობლემატიკის, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ქსოვილის, პოემის სიდიადის შესახებ ადრე შექმნილი შეხედულებები შეევსოთ, მათთვის ცხადი გახდა, რატომ არის შოთა რუსთველი მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი შემოქმედი და რატომ უჭირავს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი.*

ქართველმა მეცნიერებმა იზრუნეს დუზჯეს ახალგაზრდა უნივერსიტეტის (დაარსდა 2006 წელს) ბიბლიოთეკის ქართული წიგნებით გამდიდრებაზე და საჩუქრად მათთვის აუცილებელი ქართულენოვანი წიგნები გადასცეს. ამ მხრივ განსაკუთრებული სიუხვით საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი **მანანა სანაძე** *და ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი* **თინათინ ღუდუშაური** *გამოირჩეოდნენ. შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა* **რამაზ ხალვაშმა** *სიმპოზიუმს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაბეჭდად მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, არჩილ ხალვაშისეული რუსული თარგმანი წარუდგინა საზოგადოებას და დუზჯეს უნივერსიტეტს „ვეფხისტყაოსნის“ ბილინგვური (ქართულ-რუსული) გამოცემა უსახსოვრა.*

სიმპოზიუმი შინაარსობრივად და ემოციურად დატვირთული იყო კულტურული ღონისძიებებით. გამოფენების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო დოკუმენტური ფილმების ჩვენება და კონცერტები, რომლებზეც ქართული სიმღერები და ცეკვები შესრულდა. საკონფერენციო დარბაზის სცენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები გააცოცხლეს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებმა. მხატვრული კითხვის ოსტატმა, სტამბოლელმა ქართველმა **ორჰან ბერიძემ** *„ავთანდილის ანდერძი“ წაიკითხა და გამოთქვა სურვილი, რომ თურქეთის ერთერთ უნივერსიტეტს შოთა რუსთველის სახელი მიენიჭოს. დუზჯელმა პოეტმა, წარმოშობით ქართველმა,* **აბდულაჰ ჩელებოღლუმ** *საკუთარი ლექსი „მუჰაჯირობა“ წაიკითხა, რომელმაც შეკრებილი საზოგადოება აალელვა. ამავე ლექსის ქართული თარგმანი ვიდეომონტაჟის ფორმითაც იყო წარმოდგენილი, რის გამოც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ სტუმრებზე, საზოგადოდ კი, მთელ აუდიტორიაზე. მუჰაჯირობის თემას ეძღვნებოდა სიმპოზიუმზე ნაჩვენები მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მუჰაჯირთა ტრაგედია“, რომლის ავტორი* **ერგინ ერენოღლუ** *გახლავთ.*

დასასრული მე-9 გვ. ▶

მუჰაჯირობა

შენ იცი რაა მუჰაჯირობა?
კლდის ჩამოშლაა,
მდინარის აღმა დინებაა,
გაოგნებაა მუჰაჯირობა.
ყველაფრის მიტოვება და წასვლაა;
სიზმარი არ არის – სინამდვილეა,
მწუხარებაა მუჰაჯირობა.
ბებიების, ბაბუების,
დედების, ბავშვების გზაში დაღუპვაა,
ჩამქრალი კერაა,
მინავლული ცეცხლია,
უბედურებაა მუჰაჯირობა.
არცოდნაა, სად წახვიდე,
სად დათესო,
სად მოიმკა, სად მოთიბო...
მიუსაფრობაა მუჰაჯირობა.
წინაპართაგან ნასვამი წყლის
ვეღარ დალევაა,
უცხოეთში გაქრობაა,
გადაკარგვაა მუჰაჯირობა.
ქვეყნიერების ზურგზე წამოკიდებაა,
ყინულზე ჩაჭიდების ცდაა, დაცემაა,
სიცარიელეა მუჰაჯირობა.
უკან დაბრუნების იმედია,
მაგრამ ვეღარასოდეს დაბრუნებაა,...
უცხოთა ხელში დაობლებაა,
უცხოობაში მარტოობაა მუჰაჯირობა.
ცეკვა-სიმღერის, ტრადიციების მოშლაა,
დედა ენის დაკარგვაა,
დაკარგვაა მუჰაჯირობა.
რაც უფრო შორდები, მეტია შიში,
წარსულში ჩანაცრებაა,
ტკივილია მუჰაჯირობა.
შენ იცი, რაა მუჰაჯირობა?
ნაცნობი გემოს ვერმიგნებაა,
სამოსის ვერმორგებაა,
გემებში ჩასხდომაა,
წყალში ჩაძირვაა,
დახრჩობაა მუჰაჯირობა!
შენ იცი, რაა მუჰაჯირობა?
ბათუმია, აჭარაა,
„ჩვენებურია“,
ჭირთათმენაა მუჰაჯირობა.
მიუხედავად ყველა სირთულისა,
მაინც ფეხზე დგომაა,
წარმატების მიღწევაა,
ძალიან ძნელია მუჰაჯირობა.
შენ იცი რა არის მუჰაჯირობა?
ბაბუაჩემია, ბებიაჩემია,
დედაჩემია, ჩემი ოჯახია,
ჩემი მოდგმაა, ჩემი სისხლია,
ჩემი სულია, ჩემი გულია მუჰაჯირობა.
სიმწარეა, სიძნელეა, სისასტიკეა,
სიკვდილია,
სიკვდილია მუჰაჯირობა,
ნამდვილი სიკვდილია მუჰაჯირობა!“

აბდულაჰ ჩელებოღლუ,
აწკარედულად თარგმნა **ნანა კაჭარავამ**



სახარება ოკეანი

(დასასრ. დასწყ. წინა ნომერში)

იესომ მოწაფეებს მათივე თხოვნით ასწავლა ლოცვა: *„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვიდეს სუფევა შენი; იყოს ნება შენი როგორც ცაში, ქვეყანაზედაც. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ ყოველდღე. და მოგვიტევე ჩვენ ცოდვები ჩვენი, რადგან ჩვენც მივუტევებთ ყველა მოვალეს ჩვენსას. და ნუ შეგვიყვან ჩვენ საცდუნებელში, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან“.*

თან იქვე შეახსენა, რომ თუ მეგობარი დაჟინებით მოსთხოვდა მათ უდროოდ მისული სტუმრისათვის პურს, თითოეული მათგანი უარს არ ეტყოდა და მისცემდა იმდენს, რამდენიც იყო საჭირო. სწორედ ამიტომ, თითოეულს მამაზეციერისგან შეეძლო მიეღო თხოვნისამებრ იმდენჯერ მეტი წმინდა სული, რამდენადაც მოითხოვდნენ მისგან, *„რადგან ყველა მთხოვნელს მიეცემა, მძებნელი ჰპოვებს და ვინც აკაკუნებს, გაუღებენ“.*

იესო ხალხს ეუბნებოდა, რომ როგორც იონა წინასწარმეტყველი *„იყო სასწაული ნინეველთათვის, ასევე იქნება ძეც კაცისა ამ მოდგმისათვის“* და მოუწოდებდა მათ უფლის რწმენის განმტკიცებისაკენ, ნუ მოითხოვდნენ მისგან სასწაულს რადგან *„ყოველი სამეფო თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი გაპარტახდება; და ყოველი სახლი თავისი თავის წინაღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა“*, ხოლო მწიგნობრებსა და ფარისევლებს *„უჩინო საფლავებს“* ამსგავსებდა, *„რომლებსაც ფეხით თელავენ კაცნი“,* და მიაჩნდა, რომ ისინი აშენებდნენ წინასწარმეტყველთა სამარხებს, რომლებიც მათმა მამებმა *დახოცეს, „ამიტომაც თქვა სიბრძნემ ღმრთისამ: მოვუვლენ მათ წინასწარმეტყველთ და მოციქულთ, და ზოგ მათგანს მოჰკლავენ და ზოგს განდევნიან. რათა მოეკითხოს ამ მოდგმას სამყაროს შექმნიდან დათხეული ყველა წინასწარმეტყველის სისხლი, აბელის სისხლიდან ვიდრე სისხლამდე ზაქარიასი, რომელიც მოკლულ იქნა საკურთხეველსა და ტაძარს შორის. დიახ, გეუბნებით თქვენ, მოეკითხება ამ მოდგმას;*

ამას რომ ბრძანებდა იესო, რჯულის მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ბევრი შეკითხვა მიეცათ მისთვის, „რათა მახე დაეგოთ, რაიმე დაეცდენინებინათ, და ამრიგად, ბრალი დაედოთ მისთვის“.

ცოდვების მონანიებასაც უქადაგებდა იესო ხალხს სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად და აფრთხილებდა, რომ *„თუ არ მოინანიებთ ყველანი“* დაიღუპებითო.

მაცხოვარმა ერთ შაბათს, სინაგოგაში თვრამეტი წლის განმავლობაში მოკუნტული ქალი იხსნა უძლურებისგან. განრისხდა სინაგოგის წინამძღვარი და იესოს ბრალდება წაუყენა სახალხოდ, რატომ სხვა დღეებში არ განკურნა ავადმყოფი, და რაღა მაინცდამაინც უქმი დღე აირჩია ამისათვის. უფალმა მიუგო, რომ განა შაბათობით წყალს არ ასმევენ ბაგაზე დაბმულ ხარსა და ვირს? *„და ამას რომ ამბობდა, რცხვენოდა ყველას, ვინც ეურჩებოდა მას“.*

მალე, ერთი ფარისეველი ეახლა იესოს და მოახსენა, რომ ჰეროდე სიკვდილით დასჯას უპირებდა და ამიტომ იქაურობას გასცლოდა. მაცხოვარმა უპასუხა: *„წადით და უთხარით მაგ მელიას, აჰა, დღესა და ხვალ განვდევნი ეშმაკთ და დავასრულებ სნეულთა განკურნვას, ხოლო ზეგ თავად აღვესრულები“* და დაასრულა: *„ვეღარ მიხილავთ, სანამ არ მოვა დრო, როდესაც იტყვით: კურთხეულია მომავალი უფლის სახელით!“*

შაბათ დღეს, იესო ქრისტე ფარისეველთა მთავარს ეწვია ნადიმზე, სადაც წყალმანკით დაავადებული კაცი შეხვდა. იესომ სნეულის განკურნვა ისურვა მანამდე კი, ფარისევლებსა და რჯულის მოძღვრებს შეეკითხა, მოერჩინა თუ არა, შაბათს ავადმყოფი, რაზედაც პასუხად დუმილი მიიღო. იესომ ცხადია მაინც *„განკურნა იგი და გაისტუმრა„;* ხოლო ხალხს მიმართა კითხვით, განა შაბათ დღეს დაუყოვნებლივ არ ამოიყვანდნენ ჭაში ჩავარდნილ საკუთარ ხარსა თუ ვირს?! *„ამაზე ველარაფერი მიუგეს მას“.*

იმავე ოჯახში, სუფრასთან დასხდომისას, იესომ შეამჩნია, რომ უმრავლესობა ცდილობდა სუფრის საპატიო ადგილას მოხვედრას და იგავით მიმართა მათ, რომ ქორწილში მიპატიჟებისას, თითოეულს თავი შეეკავებინა საკუთარი სურვილით სუფრის თავში დაჯდომისაგან, რადგან მასპინძელს შეიძლება უფრო საპატიო სტუმარი ჰყოლოდა დაპატიჟებული და მისი მოგვიანებით გამოჩენისას, ეთქვა: *„ადგილი დაუთმე ამ კაცს!“* მაშინ, შერცხვენილს მოუწევდა სუფრის ბოლოში გადაჯდომა, ამიტომ ურჩია სუფრის ბოლოში დაჯდომა, ხოლო თუ მასპინძელი შეტყვით: *„მეგობარო, სუფრის თავში გადმობრძანდით“,* პატივი დაგედებათ ხალხის თვალში, *„რადგანაც ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება„;* ხოლო მასპინძელს მიმართა, როცა სადილს გამართავდა, ნუ დაპატიჟებდა მდიდრებს, მეგობრებს, ნათესავებს, რათა სანაცვლოდ მათაც არ დაეპატიჟნათ იგი; არამედ წვეულებაზე მოეხმოთ ღარიბი, ბრმა და საპყარი ხალხი *„და ნეტარი იქნები ვინაიდან ვერაფრით მოგაგებენ სანაცვლოს, ამიტომაც მოგეზღვება შენ მართალთა აღდგომისას“.*

სუფრასთან მსხდომი ცოდვილნი და მებაჟენი უსმენდნენ იესოს, ფარისეველები და მწიგნობრები კი დრტვინავდნენ და ბრალს სდებდნენ: *„ცოდვილებს იწყნარებს და მათთან ჭამსო“.*

მათ გასაგონად იესომ წარმოსთქვა იგავი, რომელშიც ასი ცხვრის პატრონი, ერთი დაკარგულის მოსაძებნად წავა და როცა იპოვნის, გახარებული მხარზე შეისვამს მას და ყველას ამცნობს, დაკარგული ცხვარი ვიპოვეო, და სთქვა: *„ასევე ხარობენ ღმრთის ანგელოზნი ერთი მონანიე ცოდვილის გამოო“* დაიქვე ერთი იგავიც უამბო მათ; აი, ისიც:

ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა.

უმცროსმა თავისი წილი ქონება მოსთხოვა მამას, რომელმაც უსიტყვოდ შეუსრულა სურვილი.

წავიდა ის ვაჟი უცხო ქვეყანაში და სულ ერთიანად გაანიავა სიმდიდრე. მალე ისეთ დღეში ჩავარდა, რომ საჭმელსაც ვეღარ შოულობდა.

დარცხვენილი დაბრუნდა მამასთან და პატიება სთხოვა.

მამამრა თქმა უნდა მიიღო, ყოველივე აპატია და დიდი ნადიმი გამართა, ხოლო შვილს ძვირფასი სამოსელიც კი უბოძა.

იმ დროს, უფროსი ძმა მუშაობით დაღლილ–დაქანცული შინ დაბრუნდა; როდესაც წვეულების მიზეზი გაიგო, მამას უსაყვედურა კიდეც: მთელი ცხოვრება ვშრომობ, ერთხელაც არ გადამიხვევია შენი სურვილისათვის და ერთი თიკანიც კი არ მოგიცია ჩემთვის მეგობრებში მოსალხენად, ჩემმა ძმამ მთელი ქონება გაანიავა და ასეთი პატივი ეციო.

მამამ მშვიდად მიუგო:

„შვილო, შენ ყოველთვის ჩემთანა ხარ და ყველაფერი, რაც მაქვს შენია. ამჯერად კი გვმართებს ვიხაროთ და ვიმხიარულოთ, ვინაიდან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, და დაკარგული იყო და გამოჩნდა“.

ამის შემდეგაც მრავალი იგავი უამბო იესომ თავის მოწაფეებს, სადაც თავმდაბლობის, პატიოსნების, სიყვარულისა და უფლის პატივისცემის შესახებ იყო საუბარი და სთქვა: *„შეუძლებელია, რომ არ მოვიდნენ საცდურნი, მაგრამ ვაი მას, ვისგანაც მოვლენ. უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვაში დანთქან, ვიდრე აცდუნოს თუნდაც ერთი ამ მცირეთაგანი“* და ურჩია: დღეში შვიდჯერ რომ შეგცოდონ, შვიდჯერვე აპატიეთ, თუ გითხრან ვნანობო.

იერუსალემში მიმავალმა იესომ, სამარიასა და გალილეას შორის ათი კეთროვანი განკურნა. მათგან მხოლოდ ერთი სამარიელის, უცხო თესლის კაცი მობრუნდა მასთან და მადლობა უძღვნა. მაშინ, იესომ ბრძანა: *„განა ათივე არ განიწმინდა? სადღა არიან ცხრანი?“* და მიუგო მას: *„ადექ და წადი! შენმა რწმენამ გადაგარჩინა“.*

მაცხოვარი მოწაფეებს გახშირებულ ლოცვას ავალებდა და მოუწოდებდა არასოდეს მობეზრებოდათ აუცილებელი რიტუალი; თვითონ კი კვლავინდებურად იგავებით საუბრობდა მათთან; ასწავლიდა რომ *„კაცთათვის შეუძლებელი შესაძლებელია ღმერთისათვის“.*

უსაყვარლესმა მოწაფემ, – პეტრემ ერთხელ, იესოს უთხრა, რომ მათ ყველაფერი დათმეს და მას გაჰყვნენ. იესომ უპასუხა: *„არ არის კაცი, რომელმაც მიატოვოს სახლი, გინდა ძმები, გინდა ცოლი, გინდა შვილები ღმრთის სასუფევლისათვის, და ახლავე არ მიიღოს გაცილებით მეტი, ხოლო მომავალში – საუკუნო სიცოცხლე“.*

ხშირად ადამიანებს ჰგონიათ, რომ მართალნი არიან და სხვებს არად აგდებენ, სწორედ ამის შესახებაა მაცხოვრის ასეთი შინაარსის იგავი:

მებაჟე და ფარისეველი შევიდნენ ტაძარში სალოცავად. ფარისეველი მადლობდა უფალს, რადგან მიაჩნდა, რომ არ იყო სხვების მსგავსად უსამართლო, მტაცებელი, მემრუშე, *„და არც ამ მებაჟეს“* ჰგავდა. *„ორჯერ ვმარხულობ კვირაში, და ვიხდი მეათედს იმისას, რასაც ვიხვეჭ„;* ხოლო მებაჟე ზეცისკენ თვალის აპყრობასაც ვერ ბედავდა და მკერდზე მჯიღის ცემით *„ამბობდა: ღმერთო, მილხინე მე, ცოდვილს“.*

უფლის წინაშე გამართლებული სწორედ მებაჟე *აღმოჩნდა, „რადგან ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება“.*

თორმეტივე მოწაფესთან ერთად იერუსალიმის გზაზე დამდგარმა იესომ თქვა: ახდება წინასწარმეტყველთა ნათქვამი და კაცის ძეს შეურაცხყოფენ, შემდეგ კი წამებით მოჰკლავენ *„და მესამე დღეს აღდგება იგი„;* მინიშნებით ნათქვამი ვერ შეიცნეს მოწაფეებმა.

იერიხონთან ერთ ბრმას აუხილა იესომ თვალი; რადგან, როდესაც გაიგო იმ სნეულმა კაცმა, რომ იესო მოდიოდა, წრფელად სთხოვა განკურნება. იესომ უთხრა: *„შენმა რწმენამ გადაგარჩინა“* და ისიც *„გაჰყვა მას, და ადიდებდა ღმერთს. და ამის მხილველმა მთელმა ხალხმაც ადიდა ღმერთი“.*

იერიხონში მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი იესოს დასანახავად; ტანმორჩილი, მდიდარი ზაქე კი ლეღვის ხეზე ავიდა, რათა კარგად შეეხედა მაცხოვრისათვის.

შეამჩნია იესომ და ძირს ჩამოსვლა სთხოვა, ხოლო შემდეგ სახლშიც ესტუმრა მებაჟეს; ზაქემ ღარიბთათვის თავისი ქონების ნახევარი შესთავაზა იესოს, ხოლო ურწმუნონი *„ამბობდნენ: ცოდვილთან შევიდაო“* სახლში.

მაშინ, მაცხოვარმა ასეთთა გასაგონად მშვიდად წარმოსთქვა: *„ძე კაცისა მოვიდა დაღუპულთა საძებნად და დასახსნელად“.*

მაცხოვარი თორმეტ მოწაფესთან ანუ იგივე – მოციქულთან ერთად, იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე ზეთისხილის მთას მიუახლოვდა, საიდანაც ორი მოწაფე გაგზავნა და დაავალა, სოფელში შესვლისთანავე, ბაგაზე მიბმული ჩოჩორი, *„რომელზედაც ჯერ კაცი არ მჯდარა“,* აეხსნათ და მისთვის მიეყვანათ.

მოწაფეებმა შეასრულეს იესოს დავალება.

ჩოჩორზე შემჯდარ მაცხოვარს უამრავი ხალხი ხვდებოდა გზაში და საკუთარ სამოსს უფენდა.

ტაძარში შესულ იესოს უმსგავსოება დახვდა იქ, – წმინდა ადგილი ყაჩაღთა ბუნაგად და ბაზრად ექციათ. მაცხოვარმა ყველანი გამოყარა იქედან; შემდეგ კი ასწავლიდა ტაძარში უამრავ ხალხს.ყველა *„მონუსხულივით უსმენდა მას“,* თუმცა მათში ერივნენ შენიღბულნიც, რომლებიც ვითომდა უფლის სიტყვის მიმდევარნი, სინამდვილეში კი ცბიერნი იყვნენ და ცდილობდნენ სიტყვით დაეგოთ მახე უფლისათვის, შემდგომში მთავრებთან დასასმენად. ასეთნი უამრავ კითხვას აძლევდნენ მაცხოვარს; აი ერთი მათგანი: *„გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარსო?“* მიუხვდა მათ მზაკვრობას უფალი და უპასუხა, რატომ ცდილობდნენ მის ცდუნებას? შემდეგ კი, დინარი გამოართვა და კითხვითვე მიმართა: *„ვისი ხატია ზედ და ვისი წარწერა? მიუგეს: კეისრის. და უთხრა მათ: მაშ, მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“.*

ვერ შესძლეს მახის დაგება *„და მისი პასუხით განცვიფრებულნი დადუმდნენ“.* მაინც ვერ მოითმინა ერთმა მწიგნობარმა და შეეკითხა: რატომ თვლიან ქრისტეს დავითის ძედ? აკი თვითონ დავითმა ბრძანა *„ფსალმუნთა წიგნში: უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე ფერხთით დაგიმხობ შენს მტრებს. ამრიგად, დავითი უფალს უწოდებს მას; როგორღა ეკუთვნის ძედ?“*

მაშინ, ხალხის გასაგონად, მაცხოვარმა მოწაფეებს მიმართა, რომ ჭეშმარიტად მძიმე იქნება მწიგნობართა სასჯელი, რადგან ისინი მართალია ლოცულობენ დიდხანს, მაგრამ სინამდვილეში სხვა რწმენისანი არიან, სინაგოგებში და წვეულებებზე თვალთმაქცურად თავში ჯდომას ესწრაფვიან.

იესო ხალხს აფრთხილებდა, რომ დადგებოდა დრო, ქვა ქვაზე არ დარჩებოდა და დაინგრეოდა ყოველივე. ზუსტად მაშინ უნდა ყოფილიყვნენ ფხიზლად, რადგან უფლის სახელით მოვლენილნი იტყოდნენ, - მოახლოვდა ჟამი. *„ნუ შეუდგებით მათ კვალს“,* აფრთხილებდა ის ხალხს და ეუბნებოდა, რომ იმ დროისათვის მოხდებოდა საშინელი მიწისძვრები, ომები, შიმშილობა და ნუ *შეძრწუნდებოდნენ, „ვინაიდან ეს უნდა მოხდეს პირველად, მაგრამ მაშინვე როდი დადგება აღსასრული“.* იმასაც ბრძანებდა კაცობრიობის მხსნელი, რომ მის მიმდევრებს დევნას დაუწყებდნენ, ზოგიერთებს მოჰკლავდნენ კიდეც და მოუწოდებდა ყველას: *„მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი„–ო;* ხოლო როდესაც იერუსალიმს გარს ლაშქარი შემოესეოდა, მიხვედრილიყვნენ *„რომ მოახლოვდა მისი მოოხრების ჟამი“,* – შურისგების დღეები, რათა აღსრულებულიყო *„ყოველი წერილი“.*

დიდი გაჭირვება და რისხვა დაატყდება ხალხს და იერუსალიმი წარმართთა მიერ მიწასთან გასწორდება, *„ვიდრე არ აღსრულდება წარმართთა ჟამი. და იქნება ნიშნები მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავეთში, ხოლო მიწაზე – ზღვის ღრიალითა და ტალღების ზათქით შეძრწუნებული ხალხის ურვა, სწორედ მაშინ ძეს კაცისას, იხილავენ ღრუბელზე მომავალს ძალითა და დიდებით მრავლით“* და მიხვედრილიყვნენ, *„რომ ახლოა ღმრთის სასუფეველი“,* ხოლო როდის დადგებოდა ის ჟამი, არავისთვის იქნებოდა წინასწარ ცნობილი; ამიტომ აფრთხილებდა ერს მზადყოფნაში ყოფილიყვნენ, ეფხიზლათ და ელოცათ უფლისათვის, ეცხოვრათ პატიოსნად, კაცის ძის წინაშე წარმსდგარიყვნენ მართლად.

დღის განმავლობაში ტაძარში ქადაგებდა მაცხოვარი, ხოლო ღამეს ზეთისხილის მთაზე ათევდა.

დადგა პასექი – უფუარობის დღესასწაული.

მოციქულებმა საპასექო სუფრა მოამზადეს, დარბაზი კი იესოს სურვილით შეარჩიეს.

სწორედ იმ სუფრაზე, რომელიც საიდუმლო სერობადაა ცნობილი, მაცხოვარმა ღვინო შეასვა და პური აჭამა მოწაფეებს, რითაც ამცნო საიდუმლო და სთქვა: *„ეს სასმისი ახალი აღთქმაა ჩემი სისხლის მიერ, რომელიც დაითხევა თქვენთვის“,* ხოლო *პური „არის ჩემი ხორცი, რომელიც მოგეცემათ თქვენ. ეს ჰყავთ ჩემს მოსახსენებლად“.*

საიდუმლო სერობაზევე გაამხილა იესომ, რომ ერთი თორმეტთაგანი გასცემდა მას. გამცემი იუდა ისკარიოტელი იყო, რომელიც მღვდელმთავრებმა ვერცხლით მოისყიდეს. გაოცებული მოწაფეები კითხულობდნენ, ნეტა ვინ ერია მათ შორის უფლის გამცემი?! სიმონ–პეტრე მიეახლა იესოს და უთხრა: *„მზადა ვარ საპყრობილეშიც წამოგყვე და სასიკვდილოდაც“,* რაზედაც იესომ უპასუხა, რომ სწორედ ის, იმ დღესვე, მამლის ყივილამდე სამჯერ უარყოფდა მას და ჩვეულებისამებრ, ზეთისხილის მთისაკენ გაემართა.

მოწაფეებიც თან მიჰყვებოდნენ. ილოცა იესომ *„და ამბობდა: მამაო, თუ გნებავს, ამაცილე ეს სასმისი! თუმცა იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი“.* ზეცით მოვლენილმა ანგელოზმა განამტკიცა იგი.

სწორედ მაშინ გამოჩნდა ხალხი, რომელსაც წინ მოუძღოდა იუდა ისკარიოტელი, იესოს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი.

იუდა ეამბორა იესოს, რითაც გას-

დასასრული მე-11 გვ. ▶

სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან

როლანდ თოფჩიშვილი

(დასასრული. დასაწყ. იხ. N11-12 - 2016, N1-6 - 2017)

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ჯავახეთიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველები როდი გადმოსახლდებოდნენ. მიგრანტთა შორის იყვნენ მაჰმადიანი ჯავახებიც, რომლებსაც, როგორც ჩანს, ისლამის სარწმუნოება ახალი მიღებული ჰქონდათ და გადმოსახლების შემდეგ, ისინი, მაშინვე, კვლავ ქრისტიანებად ინათლებოდნენ. სამწუხაროდ, მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი, რომელთა დედაენა კვლავ ქართული იყო, თურქეთში გადადიოდა საცხოვრებლად. ეს მიგრაციული ნაკადი უფრო გაიზარდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში ქართველ მაჰმადიანებს ძალიან ხშირად ასეთი ფრაზები აქვთ მიწერილი: *„პასპორტის გარეშე წავიდა თურქეთში ოჯახით. უკან აღარ დაბრუნებულან“; „წასულია თურქეთში“* და ა. შ. ძალიან მრავალმა იერლიმ (მაჰმადიანმა ქართველმა) დატოვა ჯავახეთი და თურქეთში გადასახლდა 1918 წელს. ამ წელს მათ მიუტოვებიათ სოფლები: *ხოსპიო, მურჯახეთი, ღულალისი, პატარა ხანჩალი...* მათ ნასახლარებზე კი სომხები სახლდებოდნენ. 1933 წლისთვის, როდესაც **ნიკო ბერძენიშვილმა** ჯავახეთში იმოგზაურა, ადგილობრივი მუსლიმი ქართველები მხოლოდ სამ სოფელშიღა იყვნენ შემორჩენილნი: *ოკამში, თოკში* და *ქილდაში*. (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბ. 1964). მეცნიერი იმასაც აღნიშნავდა, რომ *„გადასახლებულმა ჯავახებმა თან წაიღეს ქვეყნის ტოპონიმიკაც“*. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ ჯავახეთიდან თურქეთში დაახლოებით 60 ათასი მაჰმადიანი ქართველი გადასახლდა (თ. იველაშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური დახასიათება გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით. გვ. 52).

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჯავახეთის ქრისტიანი ქართველების შემცირებაში დიდი როლი შეასრულეს ახალციხის საფაშოში მოკალათებულმა ლეკებმა. XVIII საუკუნეში ჯავახეთი, თრიალეთთან ერთად, ნაწილობრივ ლეკიანობამაც ამოაგდო. „ეს იყო პერიოდი, როცა თრიალეთში *„ორმოციდან ერთი დარჩენილიყო“*, ხოლო ჯავახეთში, ამავე მიზეზით, მოსახლეობის ნახევარზე მეტი დატყვევებულიყო ან გადასახლებულიყო“ (შ. ლომსაძე. მესხები (ახალციხური ქრონიკები), II, თბ., 1997, გვ. 31).

ოფიციალური მონაცემებით, მარტო 1802 წელს დაღესტნელმა მოთარეშეებმა ქრისტიანი ჯავახების ოთხი სოფელი ამოაგდეს, მათი ქონება მიითვისეს, ხალხი და საქონელი გაყიდეს (Акты КАК, Тиф. 1869, т. 3, გვ. 702; შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), გვ. 107).

მაგრამ, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია გარკვეული, ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანებს ჰქონდათ უკან დაბრუნების მცდელობა, მაგრამ როგორც თურქთა, ისე რუსების მხრივ საზღვარზე ისინი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ (შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), გვ. 365-368). მხოლოდ მალულად თუ ახერხებდა 1828-1832 წლებში თურქეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანების მცირე ნაწილი უკან დაბრუნებას. მიუხედავად ამისა, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართველ მაჰმადიანთა თურქეთში გასვლა ინტენსიური იყო. ასე დაიცალა საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – ჯავახეთი ქართული მოსახლეობისაგან.

ზემო ქართლის (მესხეთის) მოსახლეობის საქართველოს დანარჩენ მხარეებში გადასახლების შესახებ ზემოთ არაერთი მასალა მოვიხმეთ, როგორც ქართული საისტორიო საბუთებიდან, სააარქივო ფონდებიდან, ისე ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან. ზემო ქართლელთა (მესხთა) აყრა-გადასახლების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებშიცაა ფიქსირებული. მაგალითად, *ვახუშტი ბაგრატიონი*, როდესაც აღგვიწერს 1660-იანი წლების ამბებს, წერს: "... *რამეთუ ან უმეტესადრე მოოÃრდებოდნენ ეკლესიანი დიდშუენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურნი და ივლტოდნენ კუალადაცა რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს და წარუქუნდათ ხატნი და ჯუარნი და წმინდათა ნაწილნი, მოისპობოდნენ ეპისკოპოზი, თუ სადმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი“* (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 729). ე. ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ქართველი ქრისტიანები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში გადასახლდებოდნენ.

იგივეს ვკითხულობთ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“, როდესაც საუბარია *უსუფფაშას ძის როსტომ-ფაშას* პერიოდზე: *„მიერითგან იქმნა რისხვა ღÃთისა საათაბაგოსა ზედა: გაირყუნა წმინდანი ეკლესიანი, შეირია და იავარ-ყუეს ყოველივე უსჯულოთა თათართა, დაიპყრეს და ყუეს წმინდანი მონასტერნი სამრონლედ და ცხვართა სადგურად. და დაუტევეს მნეთა ეკლესიათა და სამღვდელოთა კრებულთა, ეფისკოპოზთა და მოწესეთა კაცთა, საყოფელი თვისი, წარიღეს თანა წმინდანი ხატნი და ჯვარნი და ნაწილნი და წარმოვიდეს რომელნიმე საქართველოსა შინა, და რომელნიმე გურიასა და იმერეთს და დაემკვიდრნენ იგინი სანახებთა ქართლისათა და იმერეთისათა, და, რომელიცა დაშთეს მუნ ნეშტნი ქრისტიანენი, იგინიცა მძლავრობით და იძულებით მიიზიდნეს თÃსათ და მცირედ-მცირედ ვიდრე აქამომდე მიდრკეს ქრისტიანობისაგან და აწ სრულიად არღარა იპოებიან მუნ მორწმუნეთაგანი, თვინიერ კლარჯეთისა მსხემთა, რომელ არს ჯავახეთი“* (ბერი ეგნატაშვილი. „ახალი ქართლის ცხოვრება. ივანე ჯავახიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 187-188). ჩვენ ვნახეთ, რომ ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობის მიგრაცია XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ორ ათეულ წელს ძირითადად ქართლისა და კახეთისკენ იყო მიმართული. რაც შეეხება სამცხის, შავშეთ-კლარჯეთის და ზემო ქართლის სხვა მხარეების მოსახლეობას, ისინი ძირითადად დასავლეთ საქართველოში, როგორც *ვახუშტი ბაგრატიონი* და *ბერი ეგნატაშვილი* ამბობენ, იმერეთში, გურიასა და ოდიშში გადასახლდებოდნენ.

ზემო ქართლელთა/მესხთა და, მათ შორის, ჯავახთა საქართველოს სხვადასხვა მხარეში გადასახლება იყო როგორც ინდივიდუალური (გაჟონვითი) ოჯახებით, ისე ჯგუფური. მაგალითად, ასე ერთპირად აყრილან ჯავახეთის სოფელ *ხუირანის (ხორანიას)* მკვიდრნი XVII საუკუნის დასაწყისში და შიდა ქართლში, სოფელ ბებნისში დასახლებულან. ბებნისში დამკვიდრებულ მოსახლეობას *მანუჩარ ათაბაგი* რუისის საყდარს სწირავს: "*...ჩვენ ათაბაგმან ბატონმან მანუჩარ, ეს შემოწირულობისა მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა რუისის საყდარსა ღვთაებისასა და ხატს ფერიცუალებისასა შემოგწირეთ სრულიად ხუირანიელნი ბებნის მსახლობელნი და რაცა ამ ქუეყანასა იყუნენ და ან იქიდაღმა ჩამოვიდნენ ვერავინ შემოეცილოს რუისის საყდარსა... ვინცა და რამანცა მონათესავემან კაცმან Ãელყოს შეცულად და შლად ამისა, მეფემან ანუ დიდმა, ანუ მცირემან, ანუ მეფეთა კარისა მოსაქმეთა, ანუ თემის უფროსთა კაცთა, ესე ჩუენგან შეწირული და დამტკიცებული წიგნი, რა უფლება არს, ჩუენთა მესხურთა და ჯავახურთა მამულთა ზედა...“* (ს. კაკაბაძე ისტორიული საბუთები. ტ. IV. ტფ. 1913, გვ. 5-6).

ფაქტობრივად, დაკარგულ თუ მისგან მისივე ნებით გასულ გლეხებს ათაბაგი, რა თქმა უნდა, ქართული წესით, თავისად მიიჩნევს და ის მათ რუისის საყდარს სწირავს.

ამრიგად, ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში (ძირითადად შიდა ქართლში, აგრეთვე: ქვემო ქართლსა და კახეთში) არის მიგრირებული. ეს მიგრაცია ინტენსიური იყო XVII-XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის დასაწყისში. მაინცდამაინც შიდა ქართლისაკენ რატომ ჰქონდათ ჯავახ გლეხებს გადასახლებისადმი სწრაფვა, სადაც შეიძლება ითქვას, არაა სოფელი, რომ ჯავახეთიდან მიგრირებული ორი-სამი გვარი მაინც არ მოსახლეობდეს. პირველ რიგში, ალბათ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გეოგრაფიული სიახლოვე, რაც შიდა ქართლსა და ჯავახეთს შორის არსებობდა. აქ გადიოდა როგორც სამხრეთისა და ჩრდილოეთის, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი გზები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ჯავახეთსა და ქართლს მეურნეობრივი, ეკონომიკური კავშირებიც განსაკუთრებული ჰქონდათ. **დ. ბერძენიშვილის** ხაზგასმით აღნიშნავს: *„კარგად ჩანს ჯავახეთის სიახლოვე ქართლთან“* (დ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან – თორი, ჯავახეთი. თბ. 1985, გვ. 75). ქართლისა და ჯავახეთის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების დასადასტურებლად ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოს მიერ ჯავახეთში საძოვრებზე ქართლელი მეცხვარეების ნახვაც ადასტურებს. *ნიკო ბერძენიშვილი* კი შენიშნავდა, რომ „ქართლის ძლიერ ფეოდალებთან ბრძოლის დროს *„აფხაზთ მეფეები“ უმთავარესად ამ ტერიტორიას (ჯავახეთს – რ. თ.) ეყრდნობოდნენ... ასეთივე იყო ტანას და ძამის ხეობები შიდა ქართლში. ამათ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა ჯავახეთი...“* (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I, გვ. 52. შესავალში *ივანე ჯავახიშვილის* დაკვირვებაზეც მივუთითეთ, რომ ჯავახეთს, მიუხედავად ამ პროვინციის თურქთაგან დაპყრობისა, არასოდეს შეუწყვეტია სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ქართლთან და რომ ასეთი ურთიერთობანი საქართველოს ამ მხარეს არასოდეს არც ჰქონია არც სომხეთთან და არც თურქეთთან. ჯავახეთისა და ქართლის მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური და დემოგრაფიული კავშირები კი განპირობებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული/ლანდშაფტური ფაქტორებით. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ასე იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ფაქტობრივად, ჯავახეთს ქართლის გარეშე დამოუკიდებლად არსებობა არც შეეძლო. ამიტომაც იყო, რომ მისი მოსახლეობა მუდმივად მოისწრაფოდა ქართლისაკენ და ეს პროცესი – მიგრაცია, არა მხოლოდ XVII-XVIII და XIX საუკუნეების დამახასიათებელი მოვლენა იყო, არამედ წინა საუკუნეებისაც. სხვათა შორის, სამცხეს ანალოგიური სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჩრდილოეთის მიმართულებით უპირატესად იმერეთთან ჰქონდა; ისინი ერთმანეთის შემვსები ეკონომიკური მხარეები იყო. ამ ურთიერთობის გარეშე მათი ცხოვრება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელიც იყო. ეს დადასტურდა 1811 წელს, როდესაც რუსეთმა, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, *ზეკარის* გადასასვლელი გადაკეტა. ამის გამო ხალხი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ახალციხელებმა რუსებს სთხოვეს, რომ იმერეთთან აღედგინათ თავისუფალი მიმოსვლა და სავაჭრო ურთიერთობა. თუშებს ცხვარი, ძველი წესის თანახნად კი, ჯავახეთის საძოვრებზე დაჰყავდათ (შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 461-462). თავის მხრივ სამცხესთან ასეთი ურთიერთობა კოლა-არტაანისა და შავშეთ-კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს ჰქონდათ. მნიშვნელოვანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები გააჩნდა შავშეთ-კლარჯეთის მოსახლეობას კოლა-არტაანთან. ეს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ჯავახეთიდან გადმოსახლებულებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართლელი ფეოდალები, რადგან მოსახლეობისაგან, მწარმოებლისაგან, შეთხელებული მათ სამფლობელოები შევსებას საჭიროებდნენ. მიგრაციის ამ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში წახდენილი დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, ხაზი უნდა გაესვას, რომ ჯავახეთიდან ქართველების გადასახლებით ჯავახეთში ეთნოდემოგრაფიული ვითარება უარესდებოდა, მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მუსლიმი ქართველები თურქეთში გადადიოდნენ (ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მხარის რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, XIX საუკუნეში). ჯავახთა გადასახლებებმა საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის კატასტროფული შედეგები გამოიღო, რასაც, საბოლოოდ, აქ, სხვა ეთნოსების (სომხების, სექტანტი რუსების) დამკვიდრება მოჰყვა (სხვათა შორის, ჯავახეთის იმ ნაწილს, სადაც რუსი დუხობორები დასახლდნენ, XIX საუკუნეში ცარიზმის ოფიციალურმა ხელისუფლებამ **„დუხობორია“** შეარქვა). თუ XVIII საუკუნის 70-იან წლებში, *გიულდენშტედტის* მიხედვით, ჯავახეთი მთლიანად ქართული მხარე იყო, 1830 წელს ეს ვითარება აქ უკვე რადიკალურად შეცვლილია. ამ დროს შექმნილი ეთნიკური ვითარების შესახებ სომეხი *ვერმიშევი* წერდა: **„თურქეთის მხრიდან ჩამოსახლდნენ სომხები და ახალქალაქის მაზრა თითქმის დაჰფარეს მჭიდრო მოსახლეობით, რომელთა შორის აქა-იქ პატარა ოაზისებად დარჩნენ ქართული სოფლები“** (მითითებულია დ. ბერძენიშვილის ნაშრომიდან: „ისტორიის „შეცნობილი გზები“. ანალები. 2004. N4, გვ. 70). ჯავახეთის ანალოგიური ეთნოდემოგრაფიული პროცესები განვითარდა დვალეთში, შიდა ქართლის მთიანეთში, აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში), ქვემო ქართლში...

ზემოთ მიმოხილული საარქივო მონაცემებით აშკარაა აგრეთვე ქართლის მოსახლეობის ჯავახეთში გადასახლების ფაქტებიც. როდესაც საგარეო ფაქტორის გამო ქვეყანას ძალიან გაუჭირდებოდა, ქართლელი გლეხები ჯავახეთში გადაიხვეწებოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით გააქტიურდა ქართლიდან ჯავახეთში მიგრაცია 1724 წლის შემდეგ, ქართლში „ოსმალობის“ დამყარების შემდეგ. „ყიზილბაშობა“ და ლეკიანობაც მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ჯავახეთში ქართლის მოსახლეობის გადასახლებისა. თუმცა ლეკები ხეირს არც ჯავახეთის ქრისტიან ქართველებს აყრიდნენ. *ვახუშტი ბაგრატიონი* აღნიშნავდა, რომ *„ვინაითგან იყო ქართლი ჭირსა დიდსა, აღეშენებოდა ჯავახეთი და სამცხე მუნიდამ ვინაÃთგან გარდმოშენდებოდნენ და გამდიდრდენიცა ბეგნი, ალაიბეგნი, აღანი და ფაშანი ხუეჭითა მათითა“* (ბატონიშვილი ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 738).

თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართლელთა ჯავახეთში მიგრაცია მაინც დროებითი იყო. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ ისინი მშობლიურ კერებს უბრუნდებოდნენ და, უნდა ვივარაუდოთ, თან ადგილობრივი მკვიდრნიც მოყავდათ, გადასახლების გზას და მიმართულებას აძლევდნენ. ასევე ორმხრივი იყო მოსახლეობის მოძრაობა სამცხესა და იმერეთს შორის. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობა მთელი მისი ისტორიის მანძილზე მუდმივად მოძრაობდა. სწორედ ამას გულისხმობდა ნიკო ბერძენიშვილი, როდესაც წერდა, რომ საქართველოს არც ერთი კუთხის მოსახლეობას არ მოუღწევია ჩვენამდე თავისი თავდაპირველი სიწმინდით. ასე რომ, მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები მუდმივად ხდებოდა და, მათ შორის, ერთ-ერთი იყო აღმოსავლეთ საქართველოში ჯავახთა მიგრაცია, რამაც მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილ ქართლში მისი კვლავწარმოების საშუალება თუ მოგვცა, ჯავახეთში მან ქართული ეთნოსის მინიმუმამდე დაყვანა გამოიწვია.

დაბოლოს. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართლის მოსახლეობის შემავსებელი მხოლოდ ჯავახეთი არ იყო. ქართლისათვის მოსახლეობის შევსების წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე საქართველოს მთიანეთი, რაჭა და იმერეთი.

„მე რუსთაველის სამშობლოდან ვარ“!

მესხეთი, საქართველოს ულამაზესი მხარეა, რომელმაც არაერთი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა ქვეყანას. თავმდაბლობით ერთობ გამორჩეულ მესხებს კი შოთა რუსთაველი, თავისი სიდიადითა და გენიალობით, განსაკუთრებულ მედიდურობას მატებს.

ძნელად თუ მოიძებნება ქართველი კაცი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე სტროფი თუ არა, თითო-ოროლა აფორიზმი მაინც რომ არ იცოდეს, ვინაიდან „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს



სავიზიტო ბარათია.

თუმცა, იყო დრო, როდესაც საქართველოში, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა რაოდენობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო და საზოგადოების ინტერესიც განუსაზღვრელი. დღეს კი ასეთები სანთლით საძებარნი არიან.

„ვეფხისტყაოსნის“ მოსწავლე-ახალგაზრდებში ზეპირად ცოდნის პოპულარიზაციას მიეძღვნა ახლახან ადიგენის საგანმნათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით დაბა ადიგენში ჩატარებული ღონისძიება სახელწოდებით: „მე რუსთაველის სამშობლოდან ვარ,“ რომელიც ერთდაგვარი გაგრძელება იყო შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ადიგენის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლამ. მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ეპიზოდები, სცენაზე გააცოცხლეს მისი უკვდავი პერსონაჟები; ასევე წაიკითხეს „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები, ჩანახატები; მაყურებელს წარუდგინეს საკუთარი ხელით ამოქარგული აფორიზმები; გააცოცხლეს თამარ მეფის ეპოქა და ლეგენდებიდან და თქმულებებიდან პოეტის ბიოგრაფიული ეპიზოდები; შეასრულეს თამარ მეფის საყვარელი ცეკვა „სამაია,“ მესხური მრავალჟამიერი, ასევე დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საკუთარი ლექსები, რითაც შეგვახსენეს, რომ მესხეთში კვლავაც დიდია პოეზიის სიყვარული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ზაქარია ენდელაძე** და საგანმნათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ინგა ბოჭორიშვილი,** რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას აღუთქვეს, რომ მსგავსი და უფრო მასშტაბური ღონისძიებები მომავალშიც ჩატარდება, რადგან ამოუწურავია „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მესხეთში ქართული მწერლობისადმი ინტერესი – განსაკუთრებით დიდი.

ნინო ბერიძე,
ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი

სახარება ლუკასი

◄ დასაწყისი გვ. 7

ცა და ნიშანი მისცა ბრბოს.

შეპყრობილი იესო მღვდელმთავარს წარუდგინეს.

სიმონ–პეტრემ კი, გათენებამდე მართლაც სამჯერ უარყო მაცხოვარი, – როცა ეკითხებოდნენ შენც მისიანი არ ხარო? ის პასუხობდა, საერთოდ არც კი ვიცნობო მაგ კაცს და, როდესაც მესამედ უარყო, მამალმაც იყივლა.

მაშინ, მწარედ ატირდა პეტრე...

შეპყრობილ იესოს უმოწყალოდ სცემდნენ და მასხრად იგდებდნენ.

სინედრიონის წინაშე წარმდგარს ჰკითხეს: „გვითხარი, შენა ხარ თუ არა ქრისტე?“ იესომ მიუგო, რომ თუ იტყოდა არ ერწმუნებოდნენ და სთქვა: ***„ამიერიდან დაჯდება ძე კაცისა ღმერთის ძლიერების მარჯვნივ. და თქვა ყველამ: მაშ, შენ ხარ ძე ღმრთისა? და მიუგო მათ: თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ. ხოლო მათ თქვეს: რაღად გვინდა მოწმობა? ვინაიდან თვითონვე მოვისმინეთ მისი პირით“.***

მაცხოვარი წარუდგინეს პილატესა და უსაფუძვლო ბრალდებებიც წაუყენეს.

გაიგო პილატემ, რომ იესო გალილეველი იყო და მაშინვე „გაუგზავნა იგი ჰეროდეს, რომელიც იმ დღეებში თავადაც იერუსალიმში იყო“.

ჰეროდემ უკანვე დაუბრუნა იესო პილატეს.

მაშინ პილატემ შეკრიბა ხალხი და მიმართა: ***„მე თქვენთან ერთად გამოვიძიე და ვერ ვუპოვე ამ კაცს ვერცერთი დანაშაული, რასაც ბრალად სდებთ“,*** ასევეა ჰეროდეც; ასე რომ, სიკვდილით დასჯის ღირსი ნამდვილად არ არისო და მის გაშვებას ითხოვდა.

ხალხის ბრბო კი იესოს ჯვარზე გაკვრასა და მის ნაცვლად, მკვლელი ბარაბას საპყრობილედან განთავისუფლებას ითხოვდა. პილატე იძულებული გახდა ***„და გაუშვა ის, ვინც საპყრობილეში იჯდა არეულობისა და მკვლელობისათვის; ხოლო იესო მისცა მათ ნებას“.***

უამრავი ხალხი ტირილითა და გლოვით მიჰყვებოდა იესოს, ხოლო მინდვრიდან შემთხვევით მომავალ, ვინმე **სიმონ კირენელს** აჰკიდეს ჯვარი, ***„რათა წამოეღო იესოს კვალდაკვალ“.***

მიაღწიეს ადგილს, რომელსაც თხემი, ანუ გოლგოთა ეწოდება და ორ ბოროტმოქმედთან ერთად, იესო ჯვარს აცვეს; მაშინაც კი, მაცხოვარი ამბობდა: ***„მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან. და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი“.***

ურწმუნონი დასცინოდნენ იესოს, თუ ქრისტეა, სხვების მხსნელმა იხსნას საკუთარი თავიო, ამასვე ამბობდა მაცხოვრის გვერდით ჯვარცმული ერთი ბოროტმოქმედიც, ხოლო მეორე სიკვდილმისჯილი ეუბნებოდა მას: ***„ღმერთის მაინც არ გეშინია, რადგანაც მისებრ დასჯილი ხარ. ჩვენზე ახია; რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით, ხოლო მას არაფერი ცუდი არ უქნია“*** და იესოს სასუფეველში მოხსენება სთხოვა. იესომ მიუგო: ***„დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“.*** ამასობაში დაბნელდა კიდეც და იესომ შეღაღადა: ***„მამაო, შენს სულს ვაბარებ ჩემს სულს; და ამ სიტყვებით განუტევა სული“.***

იმ სურათის შემყურე ასისთავმა კი აღიარა: ***„ეს კაცი მართალი იყო“.***

იოსებ არიმათიელმა პილატესგან გამოითხოვა ჯვარცმული იესოს სხეული, გაახვია ტილოში და სამარხში დაასვენა; ეს პარასკევს მოხდა. ქალებმა, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს ყოველივე ეს, ნელსაცხებელი გაამზადეს, მაგრამ ვინაიდან შაბათიც დადგა, ***„მცნებისამებრ უქმად იყვნენ“.***

მეორე დღეს გავიდნენ სამარხთან მარიამ მაგდალელი, იონა და მარიამ იაკობისა და ამცნეს ჯერ მოციქულებს, შემდეგ კი ყველას, რომ იესო აღდგა და სამარხში აღარ ესვენა მისი სხეული. პეტრე მივიდა სამარხთან და საკუთარი თვალით როდესაც იხილა ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული მართლაც აღარ იყო, გაკვირვებული უკან გაბრუნდა.

იმავე დღეს, ქრისტეს მოციქულთაგან ორი, დაბა ემაუსში მიემგზავრებოდა; მათგან ერთ–ერთი სიმონი იყო. მიდიოდნენ და საუბრობდნენ იმათზე, რაზეც უკვე უამრავი ხალხი მსჯელობდა და ქრისტეს აღდგომასთან იყო დაკავშირებული.

მიუახლოვდა მაცხოვარი და „უთხრა მათ: რა სიტყვებს ეუბნებით ერთმანეთს გზაში, ან რატომა ხართ ასე მწუხარნი?“ ვერ იცნეს ქრისტე და კლეოპამ კითხვაზე კითხვითვე უპასუხა, ნუთუ შენა ხარ ის ერთადერთი იერუსალიმში, რომელმაც არ იცის, რა საოცრება მოხდა, განა არ იცი, ღმერთისა და ხალხის წინაშე მართალი იესო ნაზარეველი ჯვარს რომ აცვეს? მთელ ხალხს მხოლოდ მისი იმედი ჰქონდა, რადგან ***„სწორედ ის იყო, ვისაც უნდა ეხსნა ისრაელი; მაგრამ აი, უკვე მესამე დღეა, რაც ეს ამბავი მოხდა“.*** და აი, დღეს, ქალებმა და ჩვენც, ვნახეთ ცარიელი სამარხი, ანგელოზებს ისიც უთქვამთ, ცოცხალიაო იესო. ***„განა ასე არ უნდა ვნებულიყო ქრისტე და მისულიყო თავის დიდებაში?“*** უპასუხა მაცხოვარმა და მოსედან მოყოლებული ყველა წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი შეახსენა მათ.

ამასობაში მიუახლოვდნენ დაბა ემაუსსაც.

უკვე ბინდდებოდა და არ გაუშვეს იესო მარტო.

მოშივდათ კიდეც. იესომ ***„აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მისცა მათ. და აეხილათ თვალი, და იცნეს იგი. მაგრამ მაშინვე უჩინარი შეიქნა მათთვის“.***

იერუსალემში დაბრუნდნენ და ხალხს უთხრეს, რომ ჭეშმარიტად აღდგა უფალი და ეჩვენა სიმონს. ყველაფერი დაწვრილებით უამბეს ხალხს. მათ შორის იესოც ჩადგა.

შეძრწუნდნენ მის დანახვაზე; პირველად მხოლოდ სული ეგონათ, ***„მაგრამ იესომ უთხრა მათ: რას ძრწიხართ, ან რა აზრები აღიძვრებიან თქვენს გულში?“*** გაოცებულ ხალხს მაინც ვერ წარმოედგინა და ვერც აღექვა ყოველივე.

იესომ საჭმელი მოითხოვა.

მიართვეს მას შემწვარი თევზი და ფიჭის თაფლი „და აიღო და შეჭამა მათ თვალწინ“. შემდეგ კი ხალხს შეახსენა, რომ ყოველივე უეჭველად უნდა აღსრულდეს ***„რაც დაწერილია მოსეს რჯულში წინასწარმეტყველთა მიერ და ფსალმუნში“.***

მაშინღა გაეხსნა ხალხს გონება; მაცხოვარმა კი განაგრძო:

„ასე დაიწერა და ასე უნდა ვნებულიყო ქრისტე და მესამე დღეს აღმდგარიყო მკვდრეთით. და ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული და ცოდვათა მიტევება ყველა ხალხში, იერუსალემიდან მოყოლებული. ხოლო თქვენა ხართ ყოველივე ამის მოწმენი“.

გაიყვანა იესომ ის ხალხი ბეთანიამდე და აკურთხა, თვითონ კი ზეცად ამაღლდა.

გახარებული ხალხი იერუსალემში დაბრუნდა; შევიდნენ ტაძარში, აკურთხეს და ადიდეს ღმერთი.

ამინ.

ლევან გვეტაძე

შოთა რუსთველი დუზჯეში

სიმპოზიუმის მონაწილეთა ჯგუფი (ცენტრში ნ.სულავა)

◄ დასაწყისი გვ. 5

ქართული ხალხური მუსიკის საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის ანსამბლმა „კაფდაღმა“, დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის მომღერალთა გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა **იბერია მელაშვილი** *და დუზჯელი ქართველების ახლადშექმნილმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა* **ბესიკ ბუხაიძის** *ხელმძღვანელობით. ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ სიმპოზიუმის დღეები გასცდა სამეცნიერო ფორუმის ფარგლებს და ქართული კულტურის დღესასწაულად გადაიქცა.*

სიმპოზიუმის დასკვნით შეხვედრაზე პროფესორმა **ტარიელ ფუტკარაძემ** *აღნიშნა, რები მომავალშიც აუცილებლად უომ ამგვარი წარმომადგენლობითი-კულტურუ რუმნდა სამეცნიერო გაიმართოს ლი ფოროგორც თურქეთში, ისე საქართველოში. მან წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ* **სერგო ვარდოსანიძის** *მინწვევა გადასცა დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ* **ნიგარ დემირჯან ჩაქარს**, *რომელიც ამ წინადადებას მიესალმა და გადაწყდა, რომ მომდევნო საერთაშორისო სიმპოზიუმს საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი უმასპინძლებს. ორი წლის შემდეგ კი სიმპოზიუმი ისევ დუზჯეს უნივერსიტეტში ჩატარდება და მუჰაჯირობის საკითხებს მიეძღვნება.*

შოთა რუსთველის დაბადებიდან 850 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა უდიდესი როლი შეასრულა, მან ჩვენს მეზობელ ქვეყანას აჩვენა რუსთველის სიდიადე, მისი იდეალების მარადიულობა, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გამორჩეულობა, რამაც დუზჯელ ქართველებს სიამაყის სიმი შეურხია, რომ ისინიც შოთა რუსთველის მიწა-წყლის შვილები არიან, რომელსაც ბედის უკუღმართობამ თუ ადამიანთა უსამართლო დამოკიდებულებამ სამშობლო დააკარგვინა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ენა არ იციან, იქ თავიანთი საქართველო შექმნეს, რაც მათ კულტურასა და ყოფაში ნაწილობრივ გამოიხატა და შენარჩუნდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

...ვინ არ იცის... რა დიდძალი გურჯები, სიგელები, და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო ადგილას ყრია დღეს აქაოდ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში ისინი იკარგება, ფუჭდება და იღუპება. ეხლა კი – რაკი მუზეუმი არის, ყოველივე ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენი ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა... ყოველი ნივთი თუ ნაწერი წესსა და რიგზე გარიგებული იქნება და ამ გზით ყოველს მოწადინეებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი და სამეცნიერო თუ სასწავლებლად გამოსაყენებელი იქნება“.

ილია ჭავჭავაძე

„მუზეუმი რთული ორგანიზაციული აპარატია და მის მიერ განხორციელებულ სამუშაოთა მოცულობა მეტად რთული და მრავალფეროვანია“ – წერდა აკად. ლევან ჭილაშვილი და, იქვე განაგრძობდა – „საქმეში ჩაუხედავი პირისათვის, რომელიც მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებს ათვალიერებს, ალბათ ძნელი მისახვედრი იქნება, რომ სანამ ნივთი იქცევა სამუზეუმო საგნად, კუთვნილ ადგილს დაიკავებს ექსპოზიციაში და უშუალოდ შემეცნების წყაროდ იქცეოდეს, გრძელი და რთული გზა უნდა გაიაროს. სწორედ ეს გზა განსაზღვრავს მუზეუმის მუშაობის შინაარს და სპეციფიკურ მხარესაც.“ ამ შემთხვევაში აკად. ლევან ჭილაშვილი გულისხმობს – მუზეუმში შემოსული ნივთის დამუშავების დროს, აუცილებელ შემდეგი სახის საფეხურების გავლას. კერძოდ: ნივთის მოკვლევა და განსაზღვრა მისი სამუზეუმო მნიშვნელობისა; მისი მოძიება და მოტანა მუზეუმში; შემოსვლის სათანადოდ ფიქსირება; წინასწარი დამუშავება; მეცნიერული დამუშავება; მისი პოპულარიზაცია. სწორედ ასეთი მძიმე სამუშაოებით დაიწყეს პირველი ნაბიჯები ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აქედან გამომდინარე, მუზეუმის დირექტორის – **დ. ლობჟანიძის** ხელმძღვანელობით თანამშრომლები მუშაობას შეუდგნენ. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მუზეუმის არქივში ვკითხულობთ – საშტატო აპარატი თავიდანვე ინტენსიურად გადაერთო საფონდო საქმიანობის მოსაწესრიგებლად. შესაბამისად დიდი ყურადღება მიექცა ექსპონატების მოძიებით-შემგროვებლობით და სამუზეუმო ფონდების შექმნას – განურჩევლად იმისა, თუ რა პროფილის მუზეუმთან გვქონდა საქმე. მალე, მიღწეულმა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მარტო 1938 წლის პირველი იანვრის აღწერით ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უკვე 1257 დასახელების 1600-ზე მეტ ექსპონატს მოეყარა თავი, რომელთა კლასიფიკაცია ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ: ნუმიზმატიკა, საომარი და სამუშაო იარაღები, ტანსაცმელი, ჭურჭელი – ადგილობრივი შინამრწველობის ნიმუშები, ისტორიული ძეგლების ნახატები (აკვარელით შესრულებული), ფოტოფირები, ისტორიული მნიშვნელობის მქონე წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვის ძეგლები, ხელნაწერები ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მინერალები და სხვ. გარდა ამისა, მუზეუმთან არსებული შემსყიდველი კომისიის მიერ შეძენილი იქნა 840 ცალამდე სამეცნიერო ხასიათის წიგნი. რადგან აქ შემსყიდველი კომისია ვახსენეთ, მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას რომ, საერთოდ, სამუზეუმო ნივთების მუზეუმში მოხვედრის სამი საშუალება არსებობს – შემოწირულობის გზით (კერძო პირისაგან თუ ორგანიზაციებიდან); შესყიდვით და უშუალოდ მუზეუმის მიერ შემგროვებლობითი საქმიანობის მეშვეობით. როგორც ხედავთ, პირველი ორი გზის შესახებ არაფერს ვიტყვით, რამდენადაც ეს გასაგებია და განსაკუთრებულ განმარტებას არ მოითხოვს. ხოლო, რაც შეეხება შემგროვებლობას, ეს რთულია და სამუზეუმო საქმიანობის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საექსპოზიციო მუშაობასთან დაკავშირებით. სწორედ ამ რთულ საქმეს შეეჭიდნენ ახლად ჩამოყალიბებული მუზეუმის დირექტორი – ბატონი დავით ლობჟანიძე და მისი მეცნიერ-თანამშრომლები: **კოსტანტინე გვარამაძე, გიორგი გოგოლაძე, ვახტანგ სუდაძე, ბესარიონ ტაბიძე** და **ი. პაპისმედოვი**.

პირველ რიგში დაგეგმეს და მოაწყეს ჯავახეთის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული აღწერა. ასევე, აღწერეს და შეისწავლეს მესხეთის რაიონებში არსებული ნასოფლარები; შეაგროვეს გეოგრაფიული ტერმინები; დაამუშავეს მესხეთ-ჯავახეთის ბიბლიოგრაფია და ა.შ. აქედან გამომდინარე გააქტიურეს ახალი სამუზეუმო კოლექციების შეგროვება და მუზეუმში დაუნჯება; ძირითადი ფონდის გამდიდრება და შევსება ხომ მუზეუმის ყოველდღიურ საზრუნავს შეადგენდა, რამდენადაც ეს არის მთავარი საშუალება ექსპოზიციის და ფონდების შევსებისა და სრულყოფისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მართალია ახლად დაარსებული მუზეუმის დირექციამ ფონდების შევსების მიზნით პირველი ექსპედიცია ჯავახეთში მოაწყო, მაგრამ პარალელურად განახორციელეს სამცხის რაიონებში არსებული ნასოფლარების შესახებ ცნობების ჩაწერა და გეოგრაფიული ტერმინების შეგროვება.

გაკვირვებას იწვევს მუზეუმის დირექტორის დავით ლობჟანიძის მიზანსწრაფულობა, რომელმაც ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციების წარმატებით გაშლასთან ერთად მიზნად ისახავდა მესხეთის ბიბლიოგრაფიის გამოცემას – „ძველი მესხეთი, ანუ ზემო ქართლი“. ამ უზარმაზარი და ურთულესი სამუშაოების შესასრულებლად 1937 წლის ოქტომბრის 22-ს უკვე დადებულია ხელშეკრულება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ორ თანამშრომელთან – **მიხეილ ვლადიმერის ძე კახიანთან** და **ნიკოლოზ აკერმანთან**, რომელთა საქმიანობას აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილი უნევდა ხელმძღვანელობას.

პარალელურად, ამ პერიოდში, შეძენილი მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო **ივანე გვარამაძის** – „ვინმე მესხის“ – არქივი, რომელიც 1360-ზე მეტ დოკუმენტს, წიგნს და სხვა მასალას შეიცავდა. აქვე დაცული იყო პატრის – **მიქელ თამარათის (თამარაშვილის)** ზოგიერთი ხელნაწერი და რამდენიმე პერგამენტი, რომელთაც დიდი ისტორიული ღირებულება ჰქონდათ. ამასთანავე, მუზეუმს შეუძენია ადგილობრივი მემამულის – **არტემ ბაიბურთელის** საოჯახო არქივი და კოლექციები.

ო. ღამბაშიძე (მარცხნივ) ან მეორე ექსპედიციის წევრებთან

მუზეუმის 60 წლის იუბილეს მონაწილეთა ჯგუფი

მესხეთის სიძველეთა საცავი

მუზეუმის არქივის ფურცლებიდან ვგებულობთ იმასაც, რომ ძალიან მოკლე დროში, საგრძნობლად გაიზარდა მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. კერძოდ, ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობამ 2700-ს გადააჭარბა, რომელთა შორის ჭარბობდა ისტორიული და ეთნოგრაფიული ლიტერატურა ძველი და ახალი გამოცემებით. სხვადასხვა ჟურნალისა და პერიოდული გამოცემის რაოდენობა უკვე 2112 ცალს აღწევდა...

იმისათვის, რომ მუზეუმის მუშაობა ორგანიზებულად წარმართულიყო, სამეცნიერო საქმიანობას სწორი და მიზანდასახული მიმართულება ჰქონოდა, საჭირო იყო გარკვეული გამოცდილების დაგროვება, რის გამოც ბატონმა დავითმა, პირველ რიგში, საქმიანი ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან დაამყარა. ასევე, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ – გორკის სახელმწიფო ინსტიტუტთან, მოსკოვის ლიტერატურულ ინსტიტუტთან და ა.შ. და რაც მთავარია, ჩამოყალიბდა – სამეცნიერო საბჭო, რამაც საფუძველი განუმტკიცა მუზეუმში შემოქმედებითი საქმიანობის აღმავლობას და ახალი ხიბლი შეიძინა – ისტორიის, ეთნოგრაფიის, ტოპონიმიკის შესწავლა-გამოკვლევებისათვის მიმართულმა საქმიანობამ, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა დროს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის დროს მოძიებული მასალების დამუშავებითა და სამეცნიერო კვლევებში მათი გამოყენებით, რის შედეგადაც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას თვალნათლივ დაეტყო ტემპების ზრდა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სამხრეთ საქართველოში ერთ-ერთი მეცნიერული კერა გახდა, რომლის პერსპექტივები თვალნათლივ იზრდებოდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუზეუმის ფონდები უკვე მრავალი მკვლევარის ყურადღებას იპყრობდა თავისი სიმდიდრითა და მნიშვნელობით. ამ თვალსაზრისით მარტო დიდ დავთარში, უკვე რეგისტრირებული და აღწერილია 15 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც, დაყოფილი სახეების მიხედვით, ასე გამოიყურება: **ა)** ხელნაწერების, **ბ)** არქეოლოგიის, **გ)** ეთნოგრაფიის, **დ)** ნუმიზმატიკის, **ე)** საეკლესიო და ბუნების. ცალკეული ფონდი კი შემდეგ სურათს იძლევა: ხელნაწერთა ფონდში თავმოყრილია გამოჩენილი მოღვაწეების პირადი არქივები, ჩანაწერები, პუბლიცისტური და საეკლესიო ხასიათის მასალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი მხარის ისეთი ცნობილი სასულიერო თუ სამოქალაქო მოღვაწეების მემკვიდრეობა, როგორიც იყვნენ – *პავლე შაჰყულიანი, პეტრე ხარისჭირაშვილი, „ვინმე მესხი“ – ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი, ნიკო (ნიკოლოზ) ასათიანი,* დეკანოზი *იოსებ ორბელიანი*, ექიმი–*ვასილ გამრეკელი* და სხვები. აქვე დაცულია მუზეუმის პირველი მეცნერ-თანამშრომლების – *გ. გოგოლაძის, ვ. სუდაძის, ი. პაპისმედოვის, ბ. ტაბიძის, ი. მაისურაძის* და სხვათა მიერ ველზე მოპოვებული მასალები.

როდესაც მუზეუმის ფონდებზე ვსაუბრობთ, ყურადღების მიღმა არ შეიძლება დაგვრჩეს მუზეუმის უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც უკვე მრავლად იყო დაცული სხვადასხვა სახის უნიკალური გამოცემები. მუზეუმის ბიბლიოთეკაში მაშინვე მოხვდა ძვირფასი წიგნების 12 ათასზე მეტი გამოცემა. მათ შორის: 90 ცალი უნიკალური ენციკლოპედია; პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი – ირბახის ქართულ-იტალიურ-ინგლისური ლექსიკონების 1711 წლის გამოცემა, ამავე ავტორის მიერ იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი – „წიგნი საქრისტიანო მოძღვრების შესახებ“, **ს. დოდაშვილის** – „ღრამატიკა“, გამოცემული 1830 წ. აქვეა დაუნჯებული ორი ეტრატი, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება და ა.შ.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებს შორის იმთავითვე არანაკლებ საინტერესოდ შეიცვლო ნუმიზმატიკის ფონდი, რომლის შესახებაც მინდა წინ წამოვწიო ის ფაქტი, რომ ახალციხის რაიონი ნუმიზმატიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. აქ აღმოჩენილი უძველესი მონეტა იწყება ძვ.წ. აღრიცხვის V საუკუნით (კოლხური თეთრი). ჩვენთვის ცნობილია, რომ კოლხური თეთრიდან მოყოლებული, სამხრეთ საქართველოში უწყვეტად გრძელდებოდა ქრონოლოგიური ხაზი, როგორც საქართველოში მოჭრილი მონეტების, ისე, უცხო ქვეყნებიდან შემოსული მონეტებისა... ეს ასეც რომ არ იყოს, საქართველოში არსებული 5 სამონეტო კარიდან (ზარაფხანა) ერთ-ერთი ზარაფხანა ახალციხეში მდებარეობდა... ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებს სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიაზე ექსპედიციების დროს გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა სახის მონეტა მოეძიებინათ. მათ შორის: XIII-XIV საუკუნეების ყაზან-ყაენის დროს მოჭრილი მონეტები, ყვარყვარე ათაბაგის დროინდელი მონეტები, რაც მისი ფეოდალური აღზევებისა და დამოუკიდებლობის დამადასტურებელია და ა.შ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონეტების სიმრავლე სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მეზობელ სახელმწიფოებთან მხარის სავაჭრო და ეკონომიურ ურთიერთობებზეც მიუთითებს…

მუზეუმის ფონდებს შორის თავიდანვე იკვეთებოდა არქეოლოგიური ფონდის სიდიდე და სიმრავლე, იშვიათი და უძველესი ეპოქის ექსპონატებით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი „ამირანის გორის“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული თიხის ჭურჭელი IV ათასწლეულის დასასრულისა და III ათასწლეულის დასაწყისს მიეკუთვნება. ეს კერამიკული მასალა დატვირთულია მთელი ბრინჯაოს პერიოდის დასასრულამდე, ანუ მთავრდება გვიანი ბრინჯაოს ადრეული რკინის ხანის უნიკალური ნიმუშებით.

„ამირანის გორაზე“ დაზვერვითი სამუშაოები ჯერ კიდევ 1955 წელს დაიწყო მკვლევარმა **ტარიელ ჩუბინიშვილმა.** მან „ამირანის გორის“ პარალელურად მკვლევართა ერთი რაზმი, არქეოლოგ **შიო დედაბრიშვილის** ხელმძღვანელობით, ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის მიმართულებით – ულვა-ლოდობანას შესასწავლად გაუშვა.

ჯერ კიდევ 1942-1943 წლებში, ქართული არქეოლოგიის პატრიარქმა – გიორგი ნიორაძემ არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა მტკვრის ხეობაში.

შეგვეძლო აქ შეგვეწყვიტა არქეოლოგიური კვლევა-ძიების საკითხი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, მაგრამ, – კალამიც გამექცა და სურვილიც გამიჩნდა რამდენიმე სიტყვით მადლიერება გამომეხატა სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოღვაწე იმ მკვლევართა მიმართ, რომლებმაც მოგვცეს საშუალება – ასე ხვავრიელად და ძალიან ღრმად ჩაგვეხედა ჩვენი სამშობლოს წარსულის საამაყო ლაბირინთებში...

ჯერ კიდევ XX საუკუნეში 50-იან წლებში დაზვერვითი სამუშაოები აწარმოა გამოჩენილმა მკვლევარმა, ბატონმა **ოთარ ღამბაშიძემ** ბორჯომის ხეობაში – კვირაცხოვლის, ბორნიღელის, ჭობისხევისა და სხვა საინტერესო ადგილებში, რომელთა შესწავლას შემდგომ ათწლეულებში ემსახურებოდა... ბატონმა ოთარმა დიდი ღვაწლი დასდო სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს. მის მიერ სამცხე- ჯავახეთში ჩატარებულ ექსპედიციებში ხშირად ჩვენი მუზეუმის თანამშრომლებსაც გვაძლევდა მონაწილეობის უფლებას, რაც ჩვენთვის დიდი სკოლა იყო და ეს სკოლა მისთვის საყვარელ ჩითახევში მდებარეობადა...

XX საუკუნის 70-იან წლებში ვარძიის, ჭაჭკარისა და ნიალის ველის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფ. **ოთარ ჯაფარიძე** და მისი მოადგილე – **იაზო კიკვიძე,** რომლებმაც დასახელებულ ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს ხანის ყორღანი შეისწავლეს და დაამუშავეს. პროფ. ოთარ ჯაფარიძის კონსულტაციით, როგორც ამას, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი – **რომან მაისურაძე** გადმოგვცემს, მუზეუმის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიტატის, ბატონ **სერგო ხოსიტაშვილის** ხელმძღვანელობით, მუზეუმის მამაკაც თანამშრომლებთან ერთად მოუწყიათ დამოუკიდებელი არქეოლოგიური ექსპედიცია და გაუთხრიათ ნიალის ველზე დუმეილას ღვთისმშობლის ეკლესიასთან მდებარე ყორღანი, სახელწოდებით – „ჰოკოანთან კოჟრების“ მეორე ყორღანი. ყორღანის გათხრის დროს უპოვნიათ რომაული მონეტა, გვიანი ბრინჯაოს ჩაშვებული სამარხი და მის ძირში დამკძალავი კამერა შუა ბრინჯაოს პერიოდისა. მეტად საინტერესო არქეოლოგიური ექსპედიცია ჩაუტარებია მკვლევარ არქეოლოგს – **კარლო კალანდაძეს** აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე, მდ. ოძრხის მარჯვენა სანაპიროზე, ე.წ. ჭალის საბაგირო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მონეტებთან ერთად ანტიკური პერიოდის სხვადასხვა საინტერესო ნივთები იქნა აღმოჩენილი.

მკვლევარ-არქეოლოგი **გურამ გრიგოლია** დიდი ენთუზიაზმით იკვლევდა ჯავახთში ძველი ქვის ხანის ბაზალტის იარაღებს.

პროფესორი **მანანა გაბუნია** კი ოთხი ათეული წლის განმავლობაში იკვლევდა ჯავახეთში, თავფარავნიდან-ბავრამდე განლაგებულ პირველყოფილი ადამიანის გამოქვაბულებსა და მათ მიერ დამზადებულ ქვისა და ბაზალტის იარაღებს.

მნიშვნელოვან არქეოლოგიურ მასალებს იძლევა ახალქალაქის ციხის ტერიტორიაზე პროფ. **ეკა ჯანდიერის** არქეოლოგიური გათხრები, რომელიც მე-9-მე-12 საუკუნეების პერიოდს მოიცავს. აქ დადასტურდა მეთუნეობის განვითარების მაღალი კულტურა მოჭიქული ჭურჭლის სახით და ა.შ.

ერთობ საინტერესო და მიმზიდველი იყო პროფ. **ვახტანგ ლიჩელის** არქეოლოგიური ექსპედიცია სოფ. აწყურის ტერიტორიაზე. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის თანამშრომლები თავად გავხდით მონაწილენი ანტიკური პერიოდის ნაქალაქარის (ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ნაქალაქარი, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, სწორედ „სოსანგეთი“ იყოს) შესწავლაში რომელიც გამოირჩეოდა მოკირწყლული ქუჩებით, სიმტკიცით ნაგები დიდი ზომის სახლებით, დამხმარე შენობების ნაირსახეობებით და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალაქი შემოსული მტრებისაგან იყო გადამწვარი, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენა იყო იმ პერიოდისათვის. აქვე დადასტურდა ზეითუნის ხის ფესვები და ქერქის ნაშთები.

ამასთანავე, დიდი ზეიმით აღინიშნა აწყურში, გასიტაშვილის ეზოში, შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები, რაც პირველი აღმოჩენა იყო აწყურის თემის ტერიტორიაზე...

მეტად საინტერესოა გამოჩენილი მკვლევარის **გივი გაფრინდაშვილის** მიერ ჩატარებული არქეოლოგიური საქმიანობა. მისი კვლევის სფერო ძირითადად კლდეში ნაკვეთი ძეგლები და მათთან დაკავშირებული საკითხები გახლდათ. რომელთა შორის, მნიშვნელოვანია თრეხვის ქვაბების ღეონტი მროველისეული (1066წ.), გურგენიძეთა ფეოდალური სახლის XII ს-ის ორ წარწერას – მირაშხანის (XII ს.), და თმოგვის ციხის წმ. მარინეს ეკლესიის (1303წ.) შესწავლა და ა.შ. იგი მრავალი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეცაა, კერძოდ – შორეთის მონასტრის, თმოგვის ციხე-ქალაქის (1989წ.), ვანის ქვაბების, უდაბნოს მონასტერში 1964 წლიდან, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სახელგანთქმული გრანდიოზული სამონასტრო ანსამბლი და მიუძღვნა ილუსტრირებული მონოგრაფია – „კლდის არქიტექტურის ძეგლი ვარძია“, „კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში (ქვაბსაცხოვრისის ნიმუშები ფეოდალურ საქართველოში)“. ვანის ქვაბებში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს მან მიაკვლია XII ს-ის მიწურულით დათარიღებული იჩქით გურგენიძის ორ მნიშვნელოვან წარწერას, გამოავლინა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ნაშთები, მათ შორის ვერცხლის თასები, რომელთა აღმოჩენამ ჭეშმარიტად დაამშვენა 1966 წლის რუსთაველის საიუბილეო დღეები და ა.შ.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების მშენებლობისას ე.წ. გადარჩენითი არქეოლოგიური პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ექსპედიციების მიმდინარეობის პერიოდში პროფ. **ვახტანგ ლიჩელმა** და **გიორგი რჩეულიშვილმა** ისევ აწყურის მიდამოებში აღმოაჩინეს საწნახელები, რომელთაც, როგორც მეცნიერები განმარტავენ – ახალი ნიუანსები შეიტანეს სამცხისა და, საზოგადოდ, შუასაუკუნეების საქართველოს მეღვინეობის ისტორიაში. ანუ, მათი დასკვნებით, ვაზს საქართველოში 7000-წლოვანი ისტორია მაინც აქვს...

მის მიერ განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც ნასოფლარ ჭორატის ნამოსახ-

ილია და მესხეთი

ვისაც სამშობლო უყვარს ცხოვრება მისთვის ომია.

ვაჟა

მიმდინარე წელს შესრულდა ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლის ილია ჭავავაძის გარდაცვალებიდან 110 წლისთავი. მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. XIX საუკუნემ განსაკუთრებული ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში, რაც იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით იყო განპირობებული. ეს იყო ქართველი ერის გამოღვიძებისა და გამთლიანების ეპოქა. როდესაც ერს ჰყავდა ძლიერი წინამძღოლი, რომელსაც სრულიად სამართლიანად, სიცოცხლეშივე უწოდეს საქართველოს „უგვირგვინო მეფე“. A

ილიას კარგად მოეხსენებოდა მესხეთის წარსული, აწმყო, მისი როლი ქართველი ერის ისტორიაში. შემთხვევითი არ იყო მესხეთის ისტორიის ილიასეული შეფასება: **„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა.“** *(ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ.კრ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 11-12).* აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ამ კუთხესთან და მის ღირსეულ შვილებთან. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და იქვე არსებულ ილია მაისურაძის ფონდებში, ქართულ პერიოდიკაში დაცულია მდიდარი და საინტერესო მასალა, რომელიც ნათელს ჰფენს აღნიშნულ საკითხს.

ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გაზეთი „ივერია“, თავის დროზე, ფართოდ გამოეხმაურა რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომს. ომის დაწყებისთანავე თვითონ ილიამ ფართოდ გააშუქა ეს ფაქტი: უძღვნა სპეციალური საპოლემიკო მიმოხილვა – „აღმოსავლეთის საქმე“. რასაც მოჰყვა მისივე დაკვეთით პეტრე უმიკაშვილის საგანგებო წერილების სერიალი –„ოსმალოს საქართველო“. *(ასათიანი ლ., „ქართული მწერლობა“, 1949, გვ. 226).*

აღნიშნული წერილებით ილიამ მიზნად დაისახა ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ნაწილის ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა: მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ადათ-ჩვეულება... ილიამ ამ გზით ქართველ ხალხს არა მარტო შეახსენა, არამედ ერთგვარად შეამზადა კიდეც ნიადაგი საუკუნეობით მოწყვეტილ მესხებთან შესახვედრად.

უნდა აღინიშნოს, რომ თანდროული იყო ილიას და მესხ განმანათლებელთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ილიას ესმოდა რა სამშობლოსთან ახლად შემოერთებული სამცხე-ჯავახეთის პრობლემები, აქტიურად თანამშრომლობდა მესხ განმანათლებლებთან. უფრო მეტიც, მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი ინტელიგენცია და თვითონ ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საგანმანათლებო საქმიანობას ამ კუთხეში იმდენად, რომ სწორედ მათგან წამოვიდა ტერმინები: „მესხური განმანათლებლობა“ და მის შესაბამისად „მესხი განმანათლებელი“, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმდროინდელი საქართველოსათვის.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ილიას, გარდა პიროვნული სიმპატიებისა, ფართო საზოგადოებრივი თანამშრომლობა აკავშირებდა მესხ განმანათლებელთა წინამძღოლთან, კათოლიკე მღვდელთან ივანე გვარამაძესთან. კერძოდ, ივანე გვარამაძის ფონდში ინახება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი მიმართვა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ივანე გვარამაძემ ჯავახეთის ერთ-ერთ უძველეს სოფელში – ხიზაბავრაში, სახალხო სკოლის დაარსებისას, დახმარებისათვის თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს, როგორც ამ საზოგადოების მდივანს. ილია 1881 წლის 9 ოქტომბერს ატყობინებდა საზოგადოების გადაწყვეტილებას, ანუ ნებართვას, სკოლის გახსნაზე, აძლევდა საჭირო მითითებებს *(სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემდეგში ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.) # 3977, ილია ჭავჭავაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი).* ილიას უშუალო დახმარებით სოფელ ხიზაბავრაში 1881 წლის 21 ნოემბერს დაარსდა სახალხო სკოლა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელშეწყობით, სამცხე-ჯავახეთში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნდა. მათ შორის, ათობით სკოლა: ხერთვისში, ჭობარეთში, უდეში, არალში და ა.შ. ასევე ათობით ბიბლიოთეკა: ახალციხეში, უდეში, ხიზაბავრაში, ახალქალაქში, ადიგენში და ა.შ.

ყველასათვის ცნობილია ისიც, რომ ივანე გვარამაძე იყო გაზეთ „ივერიის“ მუდმივი კორესპონდენტი. ივერიის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები და მასალები. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საგაზეთო სტატიებით გაიცნო ქართველმა საზოგადოებამ „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით მოღვაწე მესხი განმანათლებელი.

ივანე გვარამაძეს, როგორც კორესპოდენტსა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრს ხშირად უწევდა მიმოწერა ილიასთან. აღნიშნულს ასაბუთებს მის არქივში დაცული ერთ-ერთი წერილის დედანი. ივანე გვარამაძე წერდა: **„პატივცემულო რედაქტორო – თავადო ილია ჭავჭავაძევ, მომილოცავს ქრისტეს აღდგომის წმინდა დღესასწაული, ვსთხოვ მოწყალე ღმერთსა თქვენს ძვირფას დღეკეთილობასა და თქვენს ჯანმრთელობასა ჩვენს და ჩვენთა შთამომავალთა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. მე დღეს ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავსა, რომ ივერიის სახელის ხსენებას ვღირსებივარ ჩემს თანამემამულეთ მაძმებთან ერთად... გიგზავნით საქართველოს ცხოვრების წყაროებს... და თუ შეიძლებოდეს დაბეჭდეთ თქვენს პატივცემულს ივერიაში, ანუ ცალკე როგორც გნებავთ... მინდა ჩვენი ისტორიის ნაწილები სრულ გამოვკრიბო“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. #3975, ივანე გვარამაძის წერილი ილია*



ჭავჭავაძისადმი). აღნიშნული წერილი თარიღდება 1878 წლის 6 აპრილით. ე.ი. როცა ივანე გვარამაძეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრება“.

ილიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა მიერ ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის წარმოებული ბრძოლა. გაზეთი „ივერია“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავისი პოზიცია – უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა **ბარონ დე როპპის** გადაწყვეტილებაზე: სომეხ კათოლიკეთათვის **„ცალკე მიტროსანის დანიშვნის შესახებ“**. ივერიელების აზრით, ამიერ კავკასიაში კათოლიკეთა შორის განხეთქილებას ბოლოს მოუღებდა საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა: **„ტირასპოლის ეპისკოპოსის სამწყმსო გაიყოს ამიერ კავკასიაში იმდენ ჯგუფად, რამდენიც ერია (ე.ი. ქართველის, ქალდეველთა და სომხისად) და თითო მათგანს დაენიშნოს საკუთარი კეთილი მოწესე წინამძღვარი, მისივე შთამომავლობისა და ექვემდებარებოდეს ტირასპოლის ეპისკოპოსს“** *(გაზ. „ივერია“, #145, გვ.1, 1903).*

მესხეთისთვის ილიას ასეთი დამოკიდებულებისა და, საერთოდ, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო, ივანე გვარამაძე XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შორის უპირატესობას ილიას ანიჭებდა: **„ყველამ თავიანთ მოღვაწეობით შეძლებისაებრ მოუტანეს სიკეთე ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ილია ჭავჭავაძისაებრ თავიანთი სულისა და გულის ნადები ვერ მოიყვანეს სისრულეში ვერც ერთმან“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. #3042, ივ. გვარამაძის სიტყვა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შესახებ).*

ილიას მკვლელობა ქვეყნისათვის უდიდეს ტრაგედიად აღიქვა ივანე გვარამაძემ. იგი ერთ-ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელებმაც გადაწყვიტეს თავიანთი სტატიებით პატივი მიეგოთ ილიასათვის. ამასთანავე, ქართველი ერისათვის დაენახვებინათ მისი დამსახურება. ერთ-ერთი ხელნაწერიდან ჩანს, რომ ივანე გვარამაძეს განუზრახავს ილიას ვრცელი ბიოგრაფიის დაწერა და საჭირო მასალების მიწოდების თხოვნით მიუმართავს **ვასილ გამრეკელისათვის** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. #1831, ვ. გამრეკელის წერილი ივანე გვარამაძისადმი).* როგორც **ლუარსაბ ბოცვაძისადმი** გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომელიც 1908 წლის 27 იანვრით თარიღდება, სთხოვდა მას, როგორც რედაქტორს, რომ ადგილი მიუჩინოს თავის გაზეთში მის მიერ დაწერილ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. #2283, ივ. გვარამაძის წერილი ლუარსაბ ბოცვაძისადმი).*

ივანე გვარამაძე მოუწოდებდა თანამემამულეებს, რომ გაჰყოლოდნენ ილიას გზას. უპირველესად კი ივანე გვარამაძე თვითონ იყო ილიას კვალზე მავალი მოღვაწე. უფრო მეტიც, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის საფუძვლიანი შესწავლა უფლებას გვაძლევს, რომ მას **„მესხეთის ილია“** ვუწოდოთ.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალა ნათელს ჰფენს ილიასთან კიდევ ერთი მესხი განმანათლებლის – **კონსტანტინე გვარამაძის** დამოკიდებულებას. შეიძლება ითქვას, რომ კ. გვარამაძე სწორედ ილიას უმადლოდა თავის სამწერლო მოღვაწეობას. ერთ-ერთ წერილში იგი გულწრფელად წერდა: **„პირველი კორესპოდენცია დავბეჭდე ილია ჭავჭავაძის გაზეთში თექვსმეტი წლისამ, მოწაფეობის დროს, რამაც ერთობ წამახალისა და წამათამამა ვითომ და სამწერლო ასპარეზზე მუშაობაზე.“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. #4044, კ. გვარამაძე, „აკაკი წერეთლის 100 წლისთავის იუბილე“).*

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტანტინე გვარამაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაშრომს: *„სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა“.* სტეფანე მესხელის გადმოცემით, კონსტანტინე გვარამაძეს ილიას მკვლელობის საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები მოუწყვია ქალაქ ახალციხეში. ამას არ დასჯერდა და იმავე წელს – 1907 წელს ილიას მიუძღვნა დასახელებული მონოგრაფია.

კონსტანტინე გვარამაძეს სწამდა, რომ ილიას ცხოვრების გაცნობით მკითხველი დიდ სარგებლობას შეიძენდა **„როგორც ზნეობრივათ, ისე გონებრივათაც და თვით დიდებული ავტორის სახელსაც ღირსეულად დაიხატჯვარეებენ გუნდრუკის საკმეველათა ქვეყნის დასასრულამდე“** *(გვარამაძე კ., „სარკე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა,“ ახალციხე, 1907, გვ.2).*

მონოგრაფიაში კონსტანტინე გვარამაძე შეეცადა გადმოეცა თავისი დამოკიდებულება და შეფასებაც ილიას მიმართ, მისი დახასიათება, მისი მოღვაწეობისა და ქართველი ხალხისათვის გაწეული ამაგის გაცნობა-გაცნობიერება. იგი სამართლიანად დაასკვნიდა: **„ილია გენიოსი იყო არა იმიტომ, რომ ის ილია იყო, არამედ იმიტომ რომ მას მოსდგამდა მაღალაზროვნული ბუნება, მეცნიერების ნიჭი, რაიცა ნებას აძლევდა მას ეწერა და ებჭო უმაღლეს თემებზე და შექმნილიყო, გენიოსი... ილია მამა იყო საქართველოსი... აღარა გვყავს ჩვენი სახელოვანი მწერალი, მაგრამ გვეყოლება კი მუდამ სახსენებელი მისი დიდებული სახელი, რომელიც ძეგლათ დაგვიტოვა იმისმა სიკვდილმა თავისი დიდებული ძვირფასი ღვაწლისათვის ქართველებისათვის“.** *(გვარამაძე კ., სარკე დასახ. ლიტ. გვ.2).* ეს იყო ილიას ღვაწლის მიუკერძოებელი შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით **კუკური თორდია** სამართლიანად მიუთითებდა რომ კოტე გვარამაძემ დიდ ქართველს ოცდაათი წლის წინ მისცა ის შეფასება, რაც 1937 წელს ილიას იუბილეზე ითქვა *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. #927, გვ.).*

ამრიგად, ილია ჭავჭავაძისა და მესხ მოღვაწეთა ურთიერთობა მხოლოდ პიროვნულ სიმპათიებს არ ემსახურებოდა. ეს იყო საქმიანი თანამშრომლობა – მიმართული ერთიანი მთავარი მიზნისაკენ: არ დაეშვათ არცერთი ქართველის ეროვნული გადაგვარება, რისი რეალური საფრთხე ყველაზე მწვავედ სწორედ სამცხე-ჯავახეთში არსებობდა. ილიას ესმოდა რა ეს, იმთავითვე მიანიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ჯერ ტერმინში – „მესხური განმანათლებლობა! აისახა, შემდეგ კი მის მრავალმხრივ საქმიანობაში. ასევე უდაოდ დიდია ილია ჭავჭავაძის როლი სამცხე-ჯავახეთში საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებაში, რითაც მართლაც შესაძლებელი გახდა ამ კუთხეში სარწმუნეობრივად გათიშულ ქართველ ერში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება.

ნატო ყრუაშვილი

მესხეთის სიძველეთა საგანე

ლარებს, რომელსაც ვალის მოსახლეობა „საურმე სერს“ უწოდებს, მკვლევარები – **მალხაზ ბარამიძე** და **გურანდა ფხაკაძე** ხელმძღვანელობდნენ. აღმოჩენილია ანდეზიტ-ბაზალტისა და ოფსიდიანის ხელცულები, საფხეკები, სახოკები, სახვრეტები, რაც აქ, დაახლოებით 700 მ 2 ფართობზე ქვედა პალეოლითის აშელ-მუსტიეს მძლავრი ღია სადგომის არსებობას გვავარაუდებენებს... ანალოგიური ძეგლები ცნობილია ჯავახეთის პლატოზე... ამავე ტერიტორიაზე **ვერა ჩიხლაძემ** დაადასტურა – ჭორატის ტერიტორიაზე ადრექრისტიანული ხანის ქვის სამარხები, რომლებიც საოჯახო-კოლექტიურ ნაკრძალებს წარმოადგენენ, ხოლო, რაც შეეხება თისელის ნასოფლარს, მისი შესწავლით არქეოლოგი **დავით მინდორაშვილი** ასკვნის, რომ თისელის ნასოფლარის შესწავლით საინტერესო მასალები გამოვლინდა სამხრეთ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის სამეურნეო დანიშნულების, სოციალური ყოფის, დემოგრაფიული სიტუაციის გასარკვევად, რომელსაც ავტორი XVI ს-ის ოსმალთა შემოსევისა და მათი ამ რეგიონში დამკვიდრების მცდელობას შეეწირა.

მის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში მუშაობდა ჩვენი მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი **ალექსანდრე ორჯონიკიძე,** რომლის მიერ მეცნიერებაში გაბედული ნაბიჯები ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. **ალ. ორჯონიკიძე** და **გიორგი გოგოჭური** შეისწავლიდნენ თისელის სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარს და სამაროვანს. **ალ. ორჯონიკიძემ** და **ლერი ჯიბლაძემ** კი ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობისთვის სამხრეთ საქართველოში (ორჭოსანის ნასახლარის მიხედვით) საინტერესო მასალა მოიძიეს.

პირველ შემთხვევაში დადასტურდა, რომ თისელის სერის ნასახლარი წარმოადგენს მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური და სამხრეთული ვარიანტების საკონტაქტო ძეგლს, რომელზედაც უკანასკნელის ნიშნები გაცილებით მეტია; მეორე შემთხვევაში მკვლევარები ასკვნიან – ორჭოსანის ნასახლარი წარმოგვიდგება იმ პუნქტად, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა ადრებრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველის კულტურათა ტრადიციები, რომლებიც, თავის მხრივ, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მეზობლად მდებარე დიდ კულტურულ წრეებთან.

ირინა ღამბაშიძე და **თენგიზ მეშველიანი**-ის ხელშეკრულებით, ტაბაწყურის მიდამოებში, „თავკვეთილიდან“ მოყოლებული, მთელს ტერიტორიაზე სწავლობდნენ შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებსა და ტაბაწყურში – თოფიოლის სარიტუალო მოედნებს, ქციის მინდვრის ანტიკური პერიოდის მასალებს, მოლითის ყორღანებსა და ცხრაწყაროს – ენეოლითის ხანის სადგომს, საკირის ციხესთან, კოდიანის ყორღანებს, ასევე შუასაუკუნეების პერიოდის მასალებს.

ირინა ღამბაშიძემ არქეოლოგიური ექსპედიციის მიმართულებით გააგრძელა საკირის ციხესთან, კოდიანის მიმართულებით და იმუშავა ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანებზე. ასევე, ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების პერიოდის მასალებზე.

2015 წელს ირინა ღამბაშიძე დაინიშნა მის მიერ ორჭოსანის ექსპედიციის ხელმძღვანელად.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მერბურის (ავსტრალია) უნივერსიტეტის ერთობლივი ექსპედიცია უკვე მესამე წელია მუშაობს ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთის „სათიკნეს გორის“ ტერიტორიაზე, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს **ანტონიოს ჰებინა,** ხოლო მისი თანახელმძღვანელია **კახა კახიანი** და ერთი წლის განმავლობაში ამავე ექსპედიციის მეორე თანახელმძღვანელად მუშაობდა ირინა ღამბაშიძე. ჭობარეთის „სათიკნეს გორის“ ექსპედიცია კვლავ აგრძელებს მუშაობას დასახელებულ ტერიტორიაზე.

არქეოლოგიაში ყველა ნივთი საინტერესოა არა მარტო ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობით, არამედ, ხელოვნების თვალსაზრისით, დამუშავების სინატფიით და დახვეწილობითაც, რასაც არაერთმა მკვლევარმა მიაქცია თავის დროზე ყურადღება, ამასთან, აქ არსებული ბევრი ექსპონატი კვლავ ელის მკვლევართა ახალ თაობას და მუზეუმის, ჯერ კიდევ მდუმარე საცავებიდან ცხოვრების თვალსაზიერზე გამონათებას.

ციური ლაფაჩი

ლეგენდა სოლომონ ბრძენზე

იყო ფრიად მდიდარი, ლამაზი ახალგაზრდა ქვრივი ქალი. მოსწყინდა უძრავათ ადგილას ყოფნა, სურდა რამეფრათ გეერთო თავი, მოისურვა წასვლა სამოგზაუროთ ქვეყნიერების ნახვა დათვალიერება. მხოლოდ ერთი გარემოება აბრკოლებდა, – ვის ენდოს, ვის მოაბაროს თავისი სიმდიდრე, ოქროს ფული?

მიეცა ფიქრს, აზრათ ვერ გამონახა ისეთი სანდო ადამიანი, რომ მინდობოდა. როცა მოიკითხავდა მინაბარ ოქრო-ფულს, არ ეთქვა უარი ამისთვის, მინაბარ ფულზე. ჩავარდა საგონებელს, მრავალი უძილო ღამე დაათენდა, ბოლოს გამოძებნა საშვალება: – ორ კოკაში ჩავყრი ოქროს ფულს, მოვყელავ კოკებს ოქროთი, ზემოდამ დავასხავ თაფლს, ვითომც მთლათ თაფლია, მივაბართ ჩემს კარ-მეზობელს, რომელიც ჩემთან კარგ განწყობილებაშია.

შეუდგა სამოგზაურო სამზადისს. როცა ყოლიფერი სისრულეში მოიყვანა, სპილენძის კოკაში ჩაყარა ოქროს ფული, ზემოდან თაფლი დაასხა, შეავსო, გაუკეთა სახურავი კოკებს, ზედ გადააკრა ხამლი, გარს შემოუჭირა წვრილი თასმა, მიატავინა სანდო მეზობელთან, რომელსაც მიემშვიდობა, მიესალმა... მეზობელმაც პატივის ცემით მოიკითხა ქალი. მცირე მისალმება მუსააფის შემდეგ ქალმა განუცხადა მეზობელს: მომწყინდა ერთ ადგილს უძრავათ ყოფნა, მსურს სამოგზაუროთ წასვლა, ქვეყნების ნახა, შესანიშნავ ადგილების დათვალიერება... შენთან მაქვს მცირე რამ სათხოვარი: თუ არ შეგანუხებთ, ეს ორი კოკა თაფლი მიიბარე ჩემს მოსვლამდის; მეფიქრება, ჭიანჭველი არ დაეხვეს, თაფლი არ გამიფუჭოს, როცა მოვალ მგზავრობიდან, მაშინ წავიღებ.

მეზობელმა მოახსენა: – აბა, ეგ რა შესაწუხებელია, თქვენს მზესა?! დიდის სიამოვნებით შეგინახავთ საკუჭნაოში, გავუფრთხილდებით, რომ ჭიანჭველმა არ ავნოს რა და არც ვისმეს ხელი მოხვდება, თქვენს მოსვლამდის. დაიმედებული ახალგაზრდა ქვრივი გამოემშვიდობა მეზობელს, შემდეგ ამისა, გეემგზავრა სამოგზაუროთ.

მეზობელს, რომელმაც ქვრივისგან ორი კოკა თაფლი მიიბარა, ყავდა ვაჟი დასაქორწილებელი, რძალი მოსაყვანი, სახლში. შეუდგა ქორწილისთვის სამზადისს. როცა ყოველივე მოიმარაგა, იმ ხანათ ვერ იშოვა სასყიდლათ კარგი თაფლი, რომ შერბათით გამასპინძლებოდა სტუმრებს. მცირე ფიქრის შემდეგ სთქვა გუნებაში, – თაფლის უშოვნელობის გამო, რათ ვბრკოლდები! აი, მეზობლისგან მონაბარ ერთ კოკა თაფლს დავხარჯავ, ხელს მოვინაცვლი, შემდეგ, როცა კარგი თაფლი შემხვდება, ვიყიდი, კოკას ავავსებ თაფლით, მეზობელს არც კი გავუმხელ, რომ მისი თაფლით მოვინაცვლე.

დადგა თაფლის დახარჯვის დრო. კაცმა კოკა თაფლით მოამხო ქვაბში, თაფლის დასაცლელათ. წამოდინდა თაფლი, გამოყვა თაფლს ოქროს ფული. ეს შენიშნა კაცმა, განცვიფრებით დააჭყიტა თვალები: ვაჰ! რა მომდის ეს?! რას ხედავენ ჩემი თვალები? ასე უცებ რათ შემერყა თვალთა მხედველობა, მზერა“? – გაუელვა აზრმა. უცებ შეწყდა თაფლი და... ჩაჩხრიალდა ქვაბში ოქროს ფული, რაც კი კოკაში იყო. ახლა კი გონს მოვიდა, მიხვდა მდიდარი ქვრივის ცბიერებას. სიხარულით დაცალა მეორე კოკა თაფლიც.

ყოლიფრით დიდებულათ გადიხადა შვილის ქორწილი; ყოლიფრით უხვათ გაუმასპინძლდა მოწვეულ სტუმრებს. განვლო მცირე ხანმა, იყიდა საუკეთესო თაფლი, აავსო კოკები, შეინახა.

განვლო დიდმა დრომ. მოგზაურობიდან ნასიამოვნები მოვიდა ქვრივი, თავისი სახლი – ოჯახი უვნებელი, ყველა კარგათ დახვდა. ინახულა მეზობელი, რომელსაც მოჰკითხა მიბრილი ორი კოკა თაფლი. მეზობელმა პატივისცემით მოიკითხა ქალი მოისმინა ზოგი რამ ამბავი მგზავრობაში ნახულ-განცდილი ქალისაგან. გამოუტანა საკუჭნაოდან ანაბარი ორი კოკა თაფლი, გადასცა ქალს და მოახსენა: – აჰა, მიიღეთ თქვენი მონაბარი! ხომ ხედავთ უვნებელია“?!

ქალმა მადლობა გადაუხადა, წამოაღებინა კოკები თავის მხლებელს სახლში... მოისურვა კოკების დაცლა, რომ შიგ შენახული ოქრო შეინახას საიმედო ადგილას. მოაპირქვავა ქვაბში ჯერ ერთი კოკა თაფლი, ჩამოწურა, მაგრამ – ოქროს ფული რატომ არ ჩამოდინდა? ვაი, დედასა! დავიღუპე... არც ერთი ცალი ოქროს ფული. მოხსნა მეორე კოკას, ესეც მოამხო ქვაბში, ჩამოიწურა თაფლი. არც ამაში აღმოჩნდა ოქროს ფული.

– დავიღუპე, – შეჰკივლა ქალმა: დამწუხარებული, გააფთწებული მიიჭრა მეზობელთან. განუცხადა: რომ ორივე კოკა ოქროს ფულით იყო სავსე, მხოლოდ სათვალფერისოთ დასხმული ჰქონდა თაფლი. – შენგან არ მოველოდი ასეთ ღალატს, დამიბრუნე ჩემი ოქროს ფული, სრულათ!

მეზობელმა წყრომით და განრისხებით უთხრა: – მეხუმრები თუ მასხრათ მიგდებ? რა საკადრისია შენგან ეგეთი უაზრო ხუმრობა? ნუ თუ სხვა საშვალება არ გამოთნება სახუმაროთ, საოხუნჯოთ“?

– როგორ თუ ვხუმრობ, ვოხუნჯობ! ეგ რა პასუხია: მომე ახლავ ჩემი მონაბარი ოქროს ფული, თორემ, მე ვიცი, რასაც დაგმართავ!

– ქალო, რას გადარეულხარ, რას მიედ-მოედები, როდის მომაბარე ოქრო? შარი ხარ თუ რა! – თაფლი მომაბარე და არა ოქრო. ხელი არ მიხლია, შენ ხომ წაიღე ორივე კოკა სავსე მობარებული თაფლი“?

– კი, მაგრამ, კოკები ოქროს ფულით იყო სავსე, თაფლი მხოლოთ ზემოდან პირზე მქონდა დასხმული.

– შენ, უთუოთ, ჭკუაზე შეშლილხარ მგზავრობაში, თორემ, საღი ჭკუის პატრონი, აგრე არ როშავს, როგორც შენ ეხლა.

– გამეცალე აქედან, აღარ დამენახო თვალით, თორემ ჩემს ასეთ შეურაცხოფას არ გაპატიებ, სასტიკათ გადგიხდი...

დამწუხრებული ქვრივი მოვიდა შინ. მრავალი მწუხარე ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა: – მივალ მეფე დავითთან, მას შევჩივლებ, მოვახსენებ, როგორც იყო საქმე, ვთხოვ დახმარებას-სამართალს, იქნება რამ წამალი დამედოს მე უბედურს.

მივიდა ქალი მეფე დავითთან, შესჩივლა ყოველი, როგორც იყო საქმე. სთხოვა სამართალი.

რა მოისმინა მეფე დავითმა, ჩაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ შეეკითხა ქალს: ეგ ფრიად ბნელი გამოსარკვევია. შენ ხომ არ გითქვამს მისთვის, რომ მინაბარ თაფლში ოქრო არის გარეული“?

– არა! – მოახსენა ქალმა. – კარგი, როცა კოკების წამოღება დაუპირე იქვე, მის თვალ წინ, შეამოწმე თაფლი, ან კოკების პირი ხამლით რომ იყო გადაკრული? დაზიანებული იყო ხამლი, ვერ შენიშნე რა“?

– არ შემიმოწმებია და არც ხამლი იყო დაზიანებული. – მოახსენა ქალმა.

– ეგ ძნელი გამოსარკვევია. თუ ის კაცი უარზეა, ვერაფერ სამართალს, განჩინებას ვერ დავადგენ, რადგანაც შენ თაფლი მიაბარე, ოქროზე არა გაგიმხელია რა – მიბრის დროს. ყოველ შემთხვერვაში, მოვაყვავინებ მე შენს მეზობელს და მოვთხოვ პასუხს. თუ უარი თქვა, ვერაფერს დავაკისრებ.

ქალი გამოვიდა სახლიდან უიმედო, დაღონებული, ცრემლმორეული. ამ დროს სახლის ეზოში თამაშობაში იყო გართული მეფე დავითის შვილი, ნორჩი სოლომონ ბრძენი, რომელმაც შენიშნა ქალი დამწუხრებული. შეაჩერა, გამოკითხა მიზეზი მისი მწუხარეების. ქალმა გაიღიმა, ესიამოვნა რომ მეფის წული ნორჩი, ასე გულკეთილათ ეკითხება მწუხარების მიზეზს, გულში რაცხა ნუგეში იგრძნო. ქალმა ყოველივე უნაკლოთ უამბო, რაც ჩაიდინა და რა გადახდა თავს, თან დაასმინა: რომ მეფე დავითმა უნუგეშოთ გამომისტუმრაო.

– სოლომონმა უთხრა ქალს: მომიცადე აქ, ვინახულებ მამაჩემს და ახლავ მოვალო.

სოლომონი ეახლა მამას, მეფე დავითს, რომელსაც მოახსენა: ახლა რომ შენთან მომჩივარი ქალი იყო, შენ უნუგეშოთ გამოგისტუმრებია, მეც გამოვკითხე მისი გასაჭირი, მოვისმინე და, ვფიქრობ, რომ ქალი მართალი უნდა იყოს, ამიტომ გთხოვ დასტურს, მაგ საქმეს მე გავარჩევ, თქვენის თანდასწრებით.

მეფე დავითმა, შვილის სურვილით ნასიამოვნებმა, უბრძანა შვილს: სიამოვნებით გეთანხმები, გაძლევ ნებას: რომ ჩემისა და ნაზირვეზირების თანდასწრებით გაარჩიო ეგ, შენთვის პირველი საჩივარის გარჩევა.

მამის დასტურით გახარებული ნორჩი ბრძენი სოლომონი ჩამოვიდა ეზოში, ნახა მისი მომლოდინე ქალი, რომელსაც უთხრა: ნუღარ სწუხარ, ამ საქმეს მე გავარჩევ. ხვალ ის ორივე კოკა, რომლითაც გქონდა მიბრილი თაფლი, აქ მოიტანე, გამოურეცხავი.

მეორე დღეს სოლომონის ბრძანებით მოიყვანეს ის კაცი, რომლისთვისაც ქალს თაფლი მიებარებინა; მობრძანდა მეფე დავითი ნაზირ-ვეზირებით და ამალათი. ქალმა მოიტანა კოკები. სამსჯავროს შუა გულს სამეფო სავარძელში დაჯდა სოლომონი. შეეკითხა მოპასუხე კაცს: – რას იტყვი, პასუხს, შენი სიმართლისთვის? ოქროს მითვისებაზე? ხომ ეს კოკებია, რომლითაც თაფლი მიიბარე?

მოპასუხე კაცმა მოახსენა: – დიახ, ეს კოკები გახლდა, მაგრამ ჩემთვის ოქროს ფული თაფლში გარეული არ მოუბრია, არც გაუმხელია ჩემთვის და ან საიდან მივხვდებოდი, თუ ამ კოკებში ოქროს ფულია შენახული და ზემოდან თაფლი დასხმული?! არ ვიცი, არ მინახია და არც მიმიძღვის რამ დანაშაული.

სოლომონმა ბრძანა: მოიტანეთ ცული. მოიღეს.

შემდეგ ბრძანა სოლომონმა: — აი, ახლავ ვნახავთ ვინ არის თქვენში მართალი, ვინ მტყუანი. უბრძანა კარის მცველს: ამ კოკებს ფსკერი გააგდებინეთ და ბრძანა: – ამ კოკებში ოქროს ფული იყო, იმ შემთხვევაში უთუოდ კოკებს ფსკერზე ან გვერდებზე თაფლისა გამოჩარჩენილი ექნება, მიკრული ოქროები, რამდენიმე მაინც.

კოკებს ფსკერები გააგდებინეს. მეფე დავითი, იქ ყველა დამსწრენი, დიდის ცნობის მოყვარეობით დაკვირდნენ კოკების შიგნით მოცულობას, ფსკერებს. მართლაც აღმოჩნდა, რომ კოკებს შიგნიდან, გვერდებზე და ფსკერზე, თაფლისაგან მიკროდა რამდენიმე ცალი ოქროს ფული.

უბრძანა მოპასუხე კაცს: აბა დააკვირდი, შეიგნე, რომ სიმართლე თავის კვალს არ დაკარგავს.

– კაცი გამოტყდა თავის დანაშაულობაში. ქალს აუნაზღაურა უკლებლივ მითვისებული ოქროს ფული.

ფრიად ნასიამოვნები და გახარებული დარჩა მეფე დავითი შვილის ბრძნული სიმართლით.

ჩაიწერა ნიკო ასათიანმა. 4-8 აპრილი, 1930 წელი. ახალციხე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი N3100.

მოგვაწოდა **გრიგოლ ჯვარიძემ** და **ლევან ლაფაჩმა**

ეთნოგრაფია

ქოფი

ქოფი ბავშვების ერთგვარი გასართობი თამაშია, თამაშის მსურველები ბანიანი სახლის კალოზე ბუხრის საკვამურის კედლის ძირში ამოთხრიდნენ პატარა ორმოს – ქუფეს, შემდეგ გაითვლიდნენ – ვინ გაჩერდებოდა „დედონოზე“ და რიგითობით ვინ ისროდა ქუფეში პირველი, მეორე და ა.შ. მერე გადაზომავდნენ დედონოდან მანძილს სამი ან ხუთ ნაბიჯს და გახაზავდნენ, აქედან მოხდებოდა მრგვალი ქვის სროლა ქუფეში ისე, რომ ქვა უნდა ჩაეგდოთ ქუფეში. ამ თამაშობაში მოგვიანებით ქვის ნაცვლად პატარა, მუჭისტოლა რეზინის ბურთსაც ისროდნენ ჩასაგდებად. ვინც პირველ ცდაზევე ჩააგდებდა ქვას, გამარჯვებულიც ის იყო და ის დადგებოდა დედონოზედ და ა. შ. გაგრძელდებოდა თამაში.

ქუფეში კაკალსაც ისროდნენ. თამაშის დაწყებამდე მოთამაშეები შეთანხმდებოდნენ, ვინ იქნებოდა დედონოზე ორმოსთან და კენტი კაკალი ესროლათ თუ წყვილი. თუ კენტი კაკლის სროლაზე შეთანხმდებოდნენ და მსროლელი წყვილ კაკალს ჩააგდებდა მაშინ წყვილი კაკლის რაოდენობას მსროლელი აძლევდა დედონოზე მდგომს, თუ პირიქით იქნებოდა მაშინ დედონოზე მდგომი მოთამაშეს მისცემდა იმდენ კაკალს, რამდენიც ქუფეში იქნებოდა და ადგილსაც დაუთმობდა. თამაშობის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო მოთამაშეთა სურვილზე.

გადახტომანა

გადახტომანა ყველიერში თამაშობდნენ და ერთმანეთს სიგრძეზე ხტომაში ეჯიბრებოდნენ. შეჯიბრი ძირითადად ბანიანი სახლის კალოებზედ იმართებოდა ხოლმე. შეჯიბრებაში მონაწილეები გაითვლიდნენ, ვინ ვის მერე გადახტებოდა, შემდეგ გაავლებდნენ ათვლის ხაზს, აირჩევდნენ „მსაჯს“.

შეჯიბრებაში მონაწილე ახალგაზრდები აიღებდნენ მანძილს და რომ გამოექანებოდნენ – გადახტებოდნენ სიგრძეზე, გადახტომისას თუ სად დახტებოდა და რა მდგომარეობაში, ამის მიხედვით იყო მანძილის ათვლა და მიწაზე ხაზს გაავლებდნენ, შემდეგ მეორე, მესამე... და გადახტებოდნენ, გამარჯვებული ის იყო, ვინც ყველაზე შორს გადახტებოდა.

ასევე იცოდნენ ადგილიდან ორთავ შეტყუპებული ფეხებით ახტომა რაიმე სიმაღლეზე, ვინც ახტებოდა და არ გადმოვარდებოდა, გაჩერდებოდა წამიერად სიმაღლეზე, ის იქნებოდა გამარჯვებული.

ჩაიწერა **რეზო ანდღულაძემ**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ პრესის გარე გამავრცელებლებთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე
ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com